



ციბახანი

№ 119 / 10 - 16 დეკემბერი / 2012

- ივანიშვილის პირველი საერთაშორისო კრიზისი **33. 10**
- ბრძოლა თვითმმართველობისთვის **33. 24**
- საქართველოს პალესტინური დილემა **33. 30**
- ბარამბო – ტკბილი გიზნასი **33. 34**
- ციხე – რეაბილიტაციის აღბილი **33. 38**
- ლიბერალი „ნაციონალები“ კონკორდატს იცავენ? **33. 42**
- თბილისის ფილტვები **33. 46**

ISSN 1987-7528



ვანი 2 ლარი



მთავარი თემა
**ჯიბნაიხი
სამედიცინო
დაზღვევა
მედიკოს და
ლხიბს**

33. 18

ՈՅՄՅԿՈՒ
 ՁՆՆԵՐԻ ՆԲՆՈՒ
 ԹՆՆՁՁՅՆՅԲԻՅԻՅԻ



	POS.	FREC.	STD.	SR.	FEC.
EUTELSAT 36B	36°	11446 H	DVB-S	2222	3/4
HOTBIRD 13A	13°	11585 V	DVB-S	27500	3/4
TURKSAT 3A	42°	12639 V	DVB-S	4070	5/6



ლიბერალი

№ 119 / 10 - 16 დეკემბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები
ნინო ბექიშვილი
სოფო ბუკია

შურნაღისტიკა:

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიანი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭიჭიანი, სოფო აფციაური, ეკა მაღალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ლვედაშვილი

კონტრაბუსტა:

ჩარლზ ფერბენქსი, ვასო კუჭუშიძე, სემურ ქაშიშვილი, მანანა ვარდიანი, დავით თინიკაშვილი, არჩილ ქიქოძე, ნინო ნატროშვილი, კახა თოლორდავა

რედაქცია:

ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი
ნინო ბექიშვილი
კორექტორი
თამარ ლონდაძე

გამომცემლობა:

ლიბერალი
ქეთევან ზაბუნაშვილი
გაყიდვებისა და ბიზნესის
განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი
გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი
მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი
დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

შურნაღის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge



რაც უფრო ვმორდებით 1 ოქტომბერს, მით მეტად ცდილობს „ლიბერალი“ დაუბრუნდეს ისეთ ფუნდამენტურ თემებს, რომლებიც, ხშირად საინფორმაციო ნაკადს მიღმა რჩება ან ძალიან ზედაპირულად შუქდება.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში ჯანდაცვის სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები მოკლედ, მთავარი პრინციპების დონეზეა გადმოცემული. ეს პროგრამა ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი ამ დრომდე არ გამხდარა და ჯერ საზოგადოებისთვის არავის აუხსნია, რატომ სჯობია „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული პროგრამა ძველს, რატომ არის ის უფრო ეფექტიანი და რა რისკები ახლავს მის განხორციელებას?

„ჩემი აზრით, დაფინანსება კონცენტრირებული უნდა იყოს მათზე, ვისაც ამ პაკეტის შექმნა თვითონ არ შეუძლია. ჩვენ არ გავაჩნია იმდენი ფული, რომ ყველა მოქალაქისთვის სრული პაკეტის დაფინანსება უზურუნველყოფო. არის კი იმის აუცილებლობა, რომ მდიდარსაც და ღარიბსაც სახელმწიფომ გადაუხადოს თანხა, როცა მოქალაქეთა ნაწილს შეუძლია თვითონაც დაიზღვიოს თავი? ჩემთვისაც და ღარიბი ადამიანისთვისაც სისხლის ანალიზის დაფინანსება სწორად არ მიმაჩნია“, – ამბობს კაკი ზოიძე და მიაჩნია, რომ უფრო სწორი და სამართლიანი არალირიბი მოსახლეობისთვის კატასტროფული სამედიცინო დანახარჯების დაზღვევა იქნებოდა“, – ჯანდაცვის პოლიტიკა (ავტორი ლიკა ზაკაშვილი) ამ ნომრის მთავარი თემაა.

გრძელდება ბრძოლა თვითმმართველობისთვისაც. გიორგი ჭიჭიანი მოიარა ლანჩხუთი და მარტვილი, სადაც ეს დაპირისპირება ყველაზე თვალსაჩინოა.

„თუ ადგილობრივი თვითმმართველობა არსებული შემადგენლობებით 2014 წლამდე დარჩება, საკრებულოები, რომლებიც 90 პროცენტით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებითაა დაკომპლექტებული, საკუთარი პარტიის ინტერესს გაატარებენ. „ეს რაიონში დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს... ბიუჯეტი ისევე ამათ უნდა მიიღონ და განკარგონ?! კიდევ რამდენიმე თვე ამათი დარჩენა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს!“ – ამბობს გია ფირცხალაიშვილი, აქციის მონაწილე.

ეკა მაღალაძე წერს რეკრეაციულ ზონებზე:

„რა მდგომარეობაა თბილისის პარკებში? ვინ და როგორ ზრუნავს მათზე? ვინაა პასუხისმგებელი ქალაქის გამწვანებაზე? რა ღონისძიებები ტარდება სკვერების მოსავლელად? რა ფართობი უკავია პარკებს, რომლებიც ქალაქისთვის სასიცოცხლო ჟანგბადს გამოიმუშავებს?“

იმედია, ქვეყანაში ისე განვითარდება პოლიტიკური პროცესები, რომ „ლიბერალის“ მთავარი თემები სულ უფრო ხშირად გახდება განათლება, ჯანდაცვა, გარემო, ეკონომიკა თუ ადამიანის უფლებები.

შორენა შავერდაშვილი



ბახაბო - ტახილი ბიზნესი

საკონდიტრო სანარმო „ბარამბოში“, რომლის დიდი წილიც ბიზნესმენ იაგო ჩოჩელს და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეგობარს, ლუხუმ კაპანაძეს ეკუთვნით, საპარლამენტო არჩევნებიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ წილების გადაფორმების პროცესი დაიწყო. რა შეიცვლება „ბარამბოსთვის“ კომპანიაში წილების გადათამაშებით და ახალი პოლიტიკური რეალობით?



მანანა ვარდიაშვილი 83.34

ჯიონაიხი სახელისინო დაზღვევა ბიზნეს და ლაიხის

მომავალი წლიდან საქართველოს ყველა მოქალაქე ერთიან სადაზღვევო პაკეტს მიიღებს. „ქართული ოცნების“ პროგრამის ავტორები არ ერიდებიან იმის აღიარებას, რომ პროგრამის ბიუჯეტი დეფიციტური იქნება. ამ რისკების მიუხედავად, ხელისუფლებაში მოსული გუნდი წინასაარჩევნო დაპირებაზე უარს არ ამბობს და სახელმწიფო დაზღვევისთვის განკუთვნილ ხარჯებს მხოლოდ ლარიბებზე აღარ მიმართავს. არაღარიბ მოსახლეობასთან ერთად დაზღვევას მდიდრებიც მიიღებენ.

ლიკა ზაკაშვილი 83.18


"ადამიანის უფლებებისადმი ხელისუფლების დამოუკიდებელი შეფასება"

ზუსტად 64 წლის წინ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია მიიღო. ამიტომ 10 დეკემბერი მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დღედ მიიჩნევა. როგორია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოში, რეგიონსა თუ მსოფლიოში? „ლიბერალი“ სამხრეთ კავკასიაში Human Rights Watch-ის წარმომადგენელს და უფროს მკვლევარს, გიორგი გოგიას ესაუბრა.

ზურაბ ვარდიაშვილი 83.16

Google-ს ყოველთვის ახსოვსაი


„გახსოვთ, რაზე ფიქრობდით ერთი წლის წინ, ორი დღის წინ, სამი თვის წინ? არ გახსოვთ... აი, Google-ს კი ახსოვს“, -ეს ჯულიან ასანჟის ციტატაა მისი ახლახან გამოცემული წიგნიდან „Cypherpunks: freedom and thente future of the internet“. მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილი ინტერნეტ-კომპანიების მუშაობას და მათ მიერ მომხმარებლების პირადი ინფორმაციის გამოყენებას ეხება. ახალი წესებით Google-მა თვალთვალის, ინფორმაციის შეგროვების და მისი რეკლამის მიზნებისთვის გამოყენების უფლება თავს ოფიციალურად მისცა.

 ნინო ნატროშვილი
03:56

ფოსტოქაოხსაუი

ნისლი სოფელ როშკაში



 არჩილ ქიქოძე
03:50-55

გამომცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

სხვა გამომცემები:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ნომერი:



- 04 მოკლედ
- 06 ციტატები
ორი აზრი
- 08 სწორია თუ არა ხელისუფლების პოლიტიკა ქართველ მუსლიმებთან მიმართებაში?
ზაქარია ქუცნაშვილი vs სერგო რატიანი
კომენტარი
- 10 ივანიშვილის პირველი საერთაშორისო კრიზისი
პოლიტიკა
- 24 ბრძოლა თვითმმართველობისთვის
- 30 საქართველოს პალესტინური დილემა
რეგიონი
- 32 ოჯახური ძალადობის შემთხვევები აზერბაიჯანში
სამართალი
- 38 ციხე – რეაბილიტაციის ადგილი
ადამიანის უფლებები
- 42 ლიბერალი „ნაციონალები“ კონკორდატის დამცველად?
გარემო
- 46 თბილისის ფილტვები
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 58 მოვდივარ და მოვიმლერი

ახალ მახსოვანს NASA კოსმოსში 2020 წლის ბაზაზე



აშშ-ის კოსმოსური სააგენტო NASA ახალი მარსმავლის კოსმოსში გაგზავნას 2020 წლისთვის გეგმავს. მეცნიერები ახალი ეკიპაჟის შექმნას გეგმავენ, რომელიც დაფუნდებული იქნება მარსმავალი რობოტის, „კურიოსიტის“ შექმნისას მიღებულ გამოცდილებაზე. „კურიოსიტი“ 2012 წლის აგვისტოში წარმატებულად დაეშვა წითელ პლანეტაზე. პროექტი 2.5 მლრდ დოლარის ღირებულების გახლდათ და მასზე 400-მდე მეცნიერი მუშაობდა მთელი მსოფლიოდან.

რაც შეეხება ამერიკის კოსმოსური სააგენტოს ახალ პროექტს, მის შესახებ ცნობილი სულ ცოტა ხნის წინ ამერიკის გეოფიზიკური კავშირის შემოდგომის შეხვედრაზე გახდა, რომელიც კოსმოსისა და პლანეტების შესწავლის ყველაზე მნიშვნელოვან ყოველწლიურ შეკრებად ითვლება.

ახალი მარსმავლის შექმნისას მეცნიერები მთლიანად დაეყრდნობიან „კურიოსიტის“ მუშაობის შედეგად მიღებულ გამოცდილებას. ცნობილი გახდა ის დეტალებიც, თუ რით იქნება ახალი ეკიპირება კურიოსიტისაგან განსხვავებული. მეცნიერთა თქმით, 2020 წლისთვის დაგეგმილ პროექტში გათვალისწინებულია რაკეტული სიმძლავრის მქონე ამწეც, რომელიც „გეილის“ კრატერს გამოიკვლევს. ახალი პროექტისათვის, 1.5 მლრდ დოლარია გათვალისწინებული.

ახოჯაფიის ალქის ინდიანი საუბრით

4 დეკემბერს არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ მსოფლიოში კორუფციის აღქმის

ინდექსი (CPI) გამოაქვეყნა. CPI-ის მიხედვით, რომელიც მსოფლიოს 176 ქვეყანაში, საჯარო სექტორში არსებულ კორუფციის აღქმას 100-ბალიანი შკალით ზომავს, საქართველომ 52 ქულით, 51-ე ადგილი დაიკავა.

შკალის მიხედვით 0 ყველაზე კორუმპირებულ საჯარო სექტორს, ხოლო 100 კორუფციისაგან აბსოლუტურად სუფთა საჯარო სექტორს შეესაბამება. საქართველომ წინა წელთან შედარებით მდგომარეობა მცირედით გაიუმჯობესა და პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართული საჯარო სექტორი CPI-ის მიხედვით ერთ-ერთი ყველაზე არაკორუმპირებულია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ მიერ გამოქვეყნებული ინდექსის მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე არაკორუმპირებული სექტორი დანიაში, ფინეთსა და ახალ ზელანდიაშია. ყველაზე კორუმპირებულად კი სომალის, ჩრ. კორეისა და ავღანეთის საჯარო სექტორები ითვლება. მსოფლიოს მასშტაბით კი, სპეციალისტების შეფასებით, ზოგადი სიტუაცია არ შეცვლილა. რაც შეეხება საქართველოს მეზობლებს, რუსეთი 28 ქულით 133-ე ადგილზეა, აზერბაიჯანი 27 ქულით – 139-ზე, სომხეთი 34 ქულით – 105-ზე, თურქეთი კი – 49-ზე ადგილზე 54 ქულით.

ფილიპინებში წყალდიდობა ათობით ადამიანის სისუსხე იმსხვეპდა



ფილიპინების სამხრეთით, ძლიერმა ტაიფუნმა და შტორმა ათობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ტაიფუნი ბოფა, რომელიც 4 დეკემბერს კუნძულ მინდანაოს დაატყდა თავს, დასავლეთ-

ითი გავრცელდა. მიუხედავად სამამულო სამსახურების მცდელობისა, ვერ მოხერხდა მოსახლეობის სრული ევაკუაცია, რის გამოც საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები მსხვერპლის 100-მდე გაზრდას ელოდებიან. უკვე ცნობილია, რომ „ბოფას“ გამოწვეული წყალდიდობის შედეგად 43 ადამიანი დაიღუპა ერთ-ერთ სოფელში, კუნძულ მინდანაოს აღმოსავლეთით.

სააგენტო France Presse-ის ცნობით, რეგიონში დაავადებების გავრცელების საშიშროებაც არსებობს. ფილიპინების სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის მდივნის განცხადებით, კლიმატური პირობების გამო ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ტაიფუნითა და წყალდიდობით დაზარალებული ტერიტორიებიდან გვამების გამოტანა, რის გამოც შესაძლებელია ამ ადგილებში სანიტარული პრობლემები შეიქმნას.

წყალდიდობას ქვეყნისათვის მძიმე შედეგები დაახლოებით ერთი წლის წინაც მოჰყვა, როდესაც 2011 წლის 16-18 დეკემბერს, ქვეყნის სამხრეთით მომხდარი ბუნებრივი კატაკლიზმები შედეგად 1300-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

ნატო-ში სხიხეთის ელჩა თაქი მოიხდა

ნატო-ში სერბეთის საგანგებო ელჩი ბრანისლავ მილინკოვიჩი ბელგიაში, ბრიუსელის აეროპორტის ავტო-პარკინგის პლატფორმიდან გადმოხტა. როგორც საერთაშორისო მედია წერს, სერბეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე დაადასტურა 52 წლის ელჩის დაღუპვა, თუმცა, დეტალებზე საუბარს თავს არიდებენ.

ბელგიური მედიის ცნობით, მილინკოვიჩი პლატფორმიდან მაშინ გადმოხტა, როდესაც ბრიუსელში სერბეთის ოფიციალური წარმომადგენლები უნდა ჩამოსულიყვნენ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად. ინციდენტი 4 დეკემბერს, ადგილობრივი დროით 18:00 საათზე მოხდა. ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების მანქანას ელჩი უკვე გარდაცვლი-



ლი დახვდა. ნატო-ს გენერალური მდივანი ანდერს ფოგ რასმუსენი მეორე დღესვე გამოეხმაურა მომხდარს. „ელჩი ბრანისლავ მილინკოვიჩი თავისი ქვეყნის საპატივცემულო წარმომადგენელი იყო. ის ძალიან დააკლდება ნატო-ს შტაბს“, – აღნიშნა რასმუსენმა.

მსოფლიოში ყვანაზ ხანდაზაი ქაშინი ბახაიწვანა



მსოფლიოში ყველაზე ასაკოვანი ადამიანი 116 წლის ასაკში გასულ კვირას გარდაიცვალა. ბესი კუპერი, რომელიც 1896 წელს დაიბადა ტენესის შტატში, პირველი მსოფლიო ომის დროს გადავიდა ჯორჯიის შტატში საცხოვრებლად, სადაც ის მასწავლებლად მუშაობდა. ბესი დედამიწაზე ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად ჯერ კიდევ 2011 წლის

იანვარში დასახელდა, თუმცა მსოფლიო გინესის რეკორდების კომისიამ ბრაზილიაში მასზე 48 დღით უფროსი ქალბატონი მარია გომეს ვალენტინი აღმოაჩინა. თუმცა ვალენტინი დაახლოებით ერთი თვის წინ გარდაიცვალა, რის შემდეგაც ყველაზე ხანდაზმულ ადამიანად კვლავ ბესი კუპერი აღიარეს. კუპერი ჯორჯიის შტატ ქალაქ მონროში მოხუცთა თავშესაფარში გარდაიცვალა. გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე, როდესაც მას ხანგრძლივი ცხოვრების საიდუმლოზე ჰკითხეს, კუპერმა განაცხადა: „სხვის საქმეში არ ვერეოდი და არაფრანსად საკვებს არ ვეკარებოდი“. ამ დროისთვის, ყველაზე ასაკოვან ადამიანად, აიოვას შტატში მცხოვრები, 115 წლის დინა მანფრედინი ითვლება.

სოოჰიბის ონის მიხეღი, თბილისი კჰოჰის ყვანაზ სე ქანანე დასახეღა

კომპანია „მერკურის“ ყოველწლიური კვლევების მიხედვით, რომელიც მსოფლიოს ქალაქებში ცხოვრების დონის ინდექს ადგენს, თბილისი 213-ე ადგილზე გავიდა და ამ შედეგით ის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დაბალ,

ევროპაში კი ყველაზე დაბალ ადგილს იკავებს. მერკურის ცხოვრების დონის ინდექსის მიხედვით, საცხოვრებლად საუკეთესო ქალაქად ზედიზედ მეოთხედ, ავსტრიის დედაქალაქი ვენა დასახელდა. პირველ ათეულში მას ციურხი (შვეიცარია), ოკლენდი (ახალი ზელანდია), მიუნხენი (გერმანია) და ვანკუვერი (კანადა) მოსდევს. ყველაზე ცუდ საცხოვრებელ ქალაქად კი ერაცის დედაქალაქი ბალდადი დასახელდა. მან 221-ე ადგილი დაიკავა. „მერკურის“ კვლევები სხვადასხვა კრიტერიუმს ეყრდნობა, მათ შორის, ხელისუფლებებისა და მთავრობის სტაბილურობას, მომსახურების სფეროში არსებულ მდგომარეობას, ჯანდაცვასა და ეკონომიკურ სფეროებში არსებული სიტუაციას და ა. შ. ■





„სამწუხაროდ, შანსი გვექონდა რომ მიგველო მაპ-ი. იყო დისკუსიები, რომ რადგან ასე კარგად ჩატარდა არჩევნები, რადგან იყო კონსესუსი ახალ კოალიციასა და პრეზიდენტს შორის, რომ საქართველო უნდა შევიდეს ნატო-ში. იყო შანსი და მითხრეს პირადად, რომ შეგვეძლო დეკემბრისთვის მიგველო მაპ-ი. სამწუხაროდ, ბოლო თვეების მოვლენებმა, ამ ეტაპზე, არ მოგვცა ამის საშუალება. გუშინ შეხვედრამ ისე ჩაიარა, რომ ახალი ინსტიტუციური წინსვლა არ გვექონია. ეს გამოსწორებადია. თუ გადავხედავთ რაღაცებს ქვეყნის შიგნით პოლიტიკაში და საერთაშორისო ურთიერთობებში, შევძლებთ, რომ წინსვლა გავაგრძელოთ. ეს არის ყველა პოლიტიკური ძალის ინტერესებში, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა ერთმანეთი“, –

მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი



„მალე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არაბული ქვეყნებიც აღიარებენ“, –

პაატა დავითაია, „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი



„თუ ლაპარაკია უფლებების დარღვევაზე, მოლა რომ ილოცებს დილის 6 საათზე, რატომ არ უშვებთ იმას, რომ დაირღვევა ქრისტიანების უფლებებიც? დილის 6 საათზე იქნებ არ უნდათ მოისმინონ მუსულმანების ლოცვა? სახლში ვისაც უნდა, ილოცოს, სხვას ნუ შეაწუხებენ თავისი ქმედებით“, –

ვიქტორ ჯაფარიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი



„ქართულ ოცნებას“ ძალიან მაღალი რეიტინგი აქვს, რომელიც მართლა კოსმოსშია ასული“, –

დავით საგანელიძე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი



„ჩვენი შეცდომის ერთ-ერთი ყველაზე იდეალური... იდეალური, ალბათ, ბრჭყალებში, მაგალითი არის სწორედ ირაკლი ოქრუაშვილი. კიდევ უფრო მეტი სირცხვილია, რომ ეს ადამიანი დიდი ხნის განმავლობაში ჩვენ გვერდით იდგა და ჩვენი ერთ-ერთი ლიდერი იყო“, –

ნინო ბურჯანაძე, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერი



ბარათების ფესტივალი

- გადაიხადეთ თიბისი ბანკის ნებისმიერი პლასტიკური ბარათით და ჩაერთეთ გათამაშებაში
- მოიგეთ 10.000 ლარი, მოგზაურობა, Xbox და Apple-ის 500-მდე პრიზი
- გათამაშება გაიმართება 31 დეკემბერს და 9 თებერვალს



☎ 227 27 27 | 📠 * 27 27
www.tcbank.ge

ღიას

ზაქარია ქუცნაშვილი


ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერი

„ხელისუფლების ე.წ. „ჩაურევლობის“ პოლიტიკა, რასაც ოპონენტები ხშირად უწოდებენ, ეს სინამდვილეში არაძალადობრივი ჩარევის პოლიტიკაა. ჩვენ არ მივმართავთ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლებრივ ზომებს პრობლემებში ჩარევისათვის და ვიყენებთ სხვა ინსტრუმენტებს პრობლემის მოსაგვარებლად. ეს არის დიალოგის ფორმა. დაშორიშორება – ეს არის დარეგულირების მცდელობა არაადმინისტრაციული ზომით.

ამ პრობლემის მოსაგვარებლად „ქართულმა ოცნებამ“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ჩვენ ვატარებთ ისეთ სამუშაოებს, რომელიც არაადმინისტრაციული და არაძალადობრივი მეთოდებით პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული.

ბუნებრივია, რომ საზოგადოების ინტერესი ამ საკითხებთან დაკავშირებით ძალიან მაღალია. არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა ქვეყანაში რელიგიური თემა ყველაზე მგრძობიარედ ითვლება, რომელიც განუსაზღვრელ გავლენას ახდენს, მათ შორის, მრავალსაუკუნოვანი დემოკრატიული ტრადიციების მქონე საზოგადოებებზე.

ერთი რამ ნათელია, რომ ამ საკითხების დასარეგულირებლად უნდა არსებობდეს სპეციალური ინსტიტუტი, რომელიც მიზნობრივად და ორგანიზებულად იმუშავეს. მომწონს ის ფორმა, როდესაც დიალოგის და მოლაპარაკების სასარგებლოდ არაძალადობრივ მეთოდოლოგიას მივმართავთ. მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ პროცესში ინსტიტუციონალური ჩარევა საჭირო იქნება. უნდა არსებობდეს ინსტიტუტი, რომელიც იმუშავეს ამ საკითხზე, რათა სახელმწიფო და საზოგადოება არ იყოს მუდმივად „მეხანძრის“ პოზიციაში.

ძალიან ბევრი არაკეთილმოსურნე არის დაინტერესებული ამ თემით წახალისებით და ახალი დაპირისპირების დაწყებით. ერთ-ერთი კარგი გამოსავალი აქედან იქნება სწორედ ინსტიტუციონალური მექანიზმი. ასეთი სამსახურის შექმნის ინიციატივა საქართველოს იუსტიციის მინისტრს თუა ნულუკიანს ეკუთვნის. მე ამ ინიციატივას მხარს ვუჭერ და ამაზე მუშაობა დაიწყება. 



ფოტო: გიორგი გოგია

სწორედ თუ ახა ხად ქართული მუსლიმები

■ ამ პრობლემის მოსაგვარებლად „ქართულმა ოცნებამ“ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ჩვენ ვატარებთ ისეთ სამუშაოებს, რომელიც არაადმინისტრაციული და არაძალადობრივი მეთოდებით პრობლემის მოგვარებაზეა ორიენტირებული.



არა

სერგო რატიანი

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი

„საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა ქართველ მუსლიმებთან დაკავშირებით არათუ არასწორია, არამედ დანაშაულებრივია. მათი წინასაარჩევნო პოლიტიკის პირდაპირი შედეგია ის, რაც დღეს ქვეყანაში ხდება. მათ არ აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ ქართველი მუსლიმებიც ჩვენი ქვეყნის ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც დანარჩენები. სხვა სარწმუნოება არ არის ნაკლი ნაციონალური იდენტობისთვის. მათ არ ახსოვთ ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „სარწმუნოების სხვადასხვაობა ჩვენ არ გვაშინებს. ქართველმა თავისი სარწმუნოებისთვის ჯვარცმულმა, იცის პატივი სხვის სარწმუნოებისაც... არ გვაშინებს ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმას, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავს, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიკეთოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს“.

სხვა სარწმუნოებას პატივი უნდა ვცეთ. ქართველი მუსლიმები ჩვენი თანაბარუფლებიანი ძმები არიან. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ მათ ზევიდან ვუყუროთ. ორივეს უკან ერთი ისტორია დგას და ამ ისტორიაში მათ აქვთ თავისი არჩევანი გაკეთებული.

კანონის წინაშე ყველანი თანასწორი ვართ და როცა სახეზეა კანონის დარღვევა, სახელმწიფომ ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს. დღეს სახელმწიფო ამას ვერ ახერხებს. მათ ასეთი პოლიტიკა აქვთ და მოგვარების ნაცვლად ხშირად ამ პრობლემის წახალისება ხდება. ეს ჩვენ ძალიან ცუდ მდგომარეობაში გვაყენებს და ეს ჩვენი ტრადიციის შეურაცხყოფაა. **■**

მუსლიმების პოლიტიკა თანაბარუფლებიანი ძმებთან მიმართებაში?

■ სხვა სარწმუნოებას პატივი უნდა ვცეთ. ქართველი მუსლიმები ჩვენი თანაბარუფლებიანი ძმები არიან. ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ მათ ზევიდან ვუყუროთ. ორივეს უკან ერთი ისტორია დგას და ამ ისტორიაში მათ თავისი არჩევანი აქვთ გაკეთებული.

ივანიშვილის პიხვილი სახელმწიფოსო ხიზისი

რატომ აღმოჩნდა საქართველოს სრულიად ახალი მთავრობა კრიტიკის ასეთ ქარცეცხლში?



ჩარლზ ფერბენქსი
ილიას უნივერსიტეტის
საბჭოთა კვლევების
სრული პროფესორი და
ვაშინგტონის პაღსონის
ინსტიტუტის უფროსი
მკვლევარია. ასევე მუშა-
ობდა რონალდ რეიგანის
ადმინისტრაციაში.

ყველას გასაოცრად 1 ოქტომბრის არჩევნებში ნაციონალურმა მოძრაობამ ხმების უმრავლესობა ვერ მიიღო და საქართველოსთვის სასწაულებრივად, სააკაშვილმა ცხრა წლის განმავლობაში მოხვეჭილი ძალაუფლება დათმო. მზარდი ავტორიტარიზმის ფონზე, უკანონო და უღმობელ ხელისუფლებას აღმფოთებულმა მოქალაქეებმა ძალაუფლება ჩამოართვეს. ქართველ ხალხს რევოლუციის გზა არ აურჩევია, რასაც ევროპა და აშშ მხარს უკვე არ უჭერდა, არამედ ავტორიტარული მთავრობის დასამარცხებლად მათ არჩევნებში აქტიური მონაწილეობის გზა აირჩიეს. ეს ასეც მოხდა და ხელისუფლება იძულებული გახდა ძალაუფლება არჩევნებში გამარჯვებული უმრავლესობისათვის დაეთმო.

ამის გათვალისწინებით, ყველაფერი ისე გამოიყურება, როგორც უეცარი, დემოკრატიული ნახტომი. არჩევნებიდან ორ თვეზე ნაკლები იყო გასული, როცა მოვლენების ასეთი განვითარების გამო განგაშის ზარები შემოკრეს. ნატო-ს და ევროკავშირის ავტორიტეტული წარმომადგენლები, რომელთაც ხმას პრესტიჟული პერიოდული გამოცემები უზამენ, ახალ ხელისუფლებას ისეთი ტონით ტუქსავენ, გეგონებათ მისიონერები აფრიკელ ხალხს ტანსა-

ცმლის ტარებისაკენ მოუწოდებდნენ. გაზეთ Financial Times-ის სარედაქციო კოლეგია ამტკიცებს, რომ „ქართულ ოცნებაზე“ დამყარებული იმედები ფუჭი აღმოჩნდა და სტატიას კი „საქართველოს ცუდი სიზმარი“ ჰქვია. გამოდის, რომ ბიძინა ივანიშვილს, პრემიერმინისტრობის ვადის დასაწყისშივე, იმაზე უარესი რეპუტაცია აქვს საერთაშორისო არენაზე, ვიდრე ვლადიმირ პუტინს ჰქონდა ხელისუფლებაში პირველად მოსვლისთანავე, როცა მოღვაწეობა საკუთარი მოქალაქეების საცხოვრებელი კორპუსების აფეთქებით დაიწყო.

ჩნდება კითხვა, რატომ აღმოჩნდა საქართველოს სრულიად ახალი მთავრობა კრიტიკის ასეთი ქარცეცხლში?

■ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას ბევრი რამ აქვს დაფარული. ის, რაც ამ დროისთვის გამომჟღავნდა, მხოლოდ აისბერგის წვერია. ახლა, როცა დაფარულთა გამოვლენის დრო დადგა, წინა მთავრობის წევრები ზუსტად ისე გაიძახიან გვჩაგრავენო, როგორც დრეიფუსის საქმის მონინააღმდეგენი.

დრო ნათლად გამოავლენს, არის თუ არა ახალი ხელისუფლება რევანშისტული და მალავდა თუ არა რალაც მნიშვნელოვანს ძველი ხელისუფლება. არსებობს საფრთხე, რომ ნაჩქარევად ჩამოყალიბებული მოსაზრება, საპირისპირო მტკიცებულებების გამოვლენის მიუხედავად, მომავალშიც იმოქმედებს უარყოფითად. ამის ნათელი მაგალითია

საკაშვილის რეპუტაცია, რომელიც მას „ვარდების რევოლუციამ“ მოუტანა. სამხილების გამოაშკარავების მიუხედავად, ამ რეპუტაციის ეჭვქვეშ დაყენებას ძალიან დიდი დრო დასჭირდა.

გამსახურდიას მაგალითიც ნიშანდობლივია, მან ცუდი რეპუტაცია დამსახურებულად დაიმკვიდრა მმართველობის დასაწყისშივე, მაგრამ ამ რეპუტაციის შეცვლა ვერადავერ მოახერხა, მიუხედავად მის მიერ მოგვიანებით მიღებული სწორი გადაწყვეტილებებისა, როგორც, მაგალითად, აფხაზებთან ომისათვის თავის არიდება იყო. ასე რომ, სწორედ ესაა, ამ მომენტში გაკეთებული შეფასებები, შესაძლოა უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდეს საქართველოს რეპუტაციისთვის დასავლეთში.

ხალხის მიერ პრჩეული მთაპროზის წინააღმდეგ ბარკაღბული კამპანია

გამოდის, რომ ყველანი არჩევნების შედეგების არალიარების მონმეები ვართ.

პრეზიდენტი სააკაშვილით დაწყებული, ნაციონალური მოძრაობის ყველაზე მეტრძოლი მზარდამქერებით დამთავრე-

ყოველი ჩვენგანი პნიშვნალოვანია

“

ერთიერთობის
მიგანის ერთად
შეხვენილი ბედნიერი
გოგავალი

”

ყოველი თანამშრომელი და ყოველი მომხმარებელი ერთად ქმნის გუნდს ერთიანი მიზნით, სადაც თითოეული მხარის წარმატება მეორე მხარის წინსვლას განაპირობებს.

ყოველი ჩვენგანი პნიშვნალოვანია

 **ბანკი რესპუბლიკა**
BANK REPUBLIC



| 290 90 90

| * 90 90

| BR.GE

საბჭოეთის ფინანსური სისტემა

■ რამ გამოიწვია ევროპისა და აშშ-ს საერთაშორისო პოლიტიკის ასეთი თავგამოდება და პრესის რედაქტორების მჭევრმეტყველება, როცა არჩევნების შედეგები უკვე დათვლილი და გამოქვეყნებულია? იმის ნაცვლად, რომ საქართველოში დასავლური ცხოვრების წესის ასეთი დიდი გამარჯვება გვეზეიმა, რჩევები მიგვეცა დემოკრატიული გზებით არჩეული ახალი ხელისუფლებისათვის და დახმარების ხელი გაგვეწოდებინა, დასავლეთი საჯაროდ კიცხავს ახალ მთავრობას ზოგი ძალზედ შებლაღული რეპუტაციის მქონე ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავების გამო.



ბული, არავინ საუბრობს იმ შეცდომებზე, რის გამოც ამ პარტიამ საზოგადოების მხარდაჭერა დაკარგა. შეცდომებზე საუბრის ნაცვლად, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ბრძოლა ახალ ველზე გააჩაღა. ამ ბრძოლას საერთაშორისო საზოგადოებრივ აზრზე ზენოლა ჰქვია. ისინი იმ იმედით იბრძვიან, რომ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების რეპუტაციის შელახვას ქვეყნის გარეთ, კარზე მომდგარ საპრეზიდენტო არჩევნებში ომის მოგების მოტანა შეუძლია ქვეყნის შიგნით. როგორც წესი, იმ ოპოზიციურ ძალებს, რომლებიც საშინაო ბრძოლას აგებენ, პოლიტიკური ბრძოლა საერთაშორისო არენაზე გადააქვთ. თუმცა, ჩვეულებრივ, ეს ბრძოლა ნიშნავს მჩაგვრელი ხელისუფლების მხილებას ადამიანის უფლებათა დამცველ უცხოურ ორგანიზაციებთან. საქართველოს ახლანდელ სიტუაციაში კი, მჩაგვრელი ხელისუფლება – სააკაშვილი ხომ კვლავაც ქვეყნის პრეზიდენტია – საერთაშორისო საზოგადოებას პოლიტიკური პროტესტანტების წინააღმდეგ ამხედრებს, რომელთაც არჩევნები იმის გამო მოიგეს, რომ ხალხს მთავრობის მიერ საკუთარი ხალხის ჩაგვრის შეწყვეტის პირობა მისცეს. რეპრესიული ხელისუფლება კი, საერთაშორისო მხარდაჭერას იხვეჭს იმ ადამიანების დაკავების წინააღმდეგ გამოსვლით, რომლებიც პირადად ახორციელებდნენ ამ უსამართლობებს ქვეყანაში. უცნაური მგდომარეობაა შექმნილი.

კი მაგრამ, რამ გამოიწვია ევროპისა და აშშ-ს საერთაშორისო პოლიტიკის ასეთი თავგამოდება და პრესის რედაქტორების მჭევრმეტყველება, როცა არჩევნების შედეგები უკვე დათვლილი და გამოქვეყნებულია? იმის ნაცვლად, რომ საქართველოში დასავლური ცხოვრების წესის ასეთი დიდი გამარჯვება გვეზეიმა, რჩევები მიგვეცა დემოკრატიული გზებით არჩეული ახალი ხელისუფლებისათვის და დახმარების ხელი გაგვეწოდებინა, დასავლეთი საჯაროდ კიცხავს ახალ მთავრობას ზოგი ძალზედ შებლაღული რეპუტაციის მქონე ყოფილი მაღალჩინოსნის დაკავების გამო.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია



“
ურთიერთობა
უმნიშვნელოა
უმნიშვნელოებს
”

ყოველი თანამშრომელი და ყოველი მომხმარებელი ერთად ქმნის გუნდს ერთიანი მიზნით, სადაც თითოეული მხარის წარმატება მეორე მხარის წინსვლას განაპირობებს.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია



| 290 90 90

| * 90 90

| BR.GE

საბჭოთა სტრუქტურის მემორიალი

კონკრეტული ფაქტები

არის თუ არა ახლა შექმნილი მდგომარეობა ის, რასაც Financial Times-ი „წმენდას“, „ფართო კამპანია“ და „დაპატიმრების ტალღას“ უწოდებს?

როგორ წესი, პოლიტიკური სკანდალები ჯგუფურად ვლინდება, რადგან მთავრობები მათ გულდასმით მალავენ. თუმცა, ხშირად სკანდალები არსებული ხელისუფლების დაცემამდე საჯაროვდება. სწორედ ასეთი ხელისუფლების დაცემის, ან დასუსტების თანმდევი მოვლენაა „ნიაღვარი“, „წმენდა“ და „დაპატიმრების ტალღა“. იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის ხელისუფლება დასავლური სტილის დემოკრატიასთან შედარებით, ნაკლებ დემოკრატიულია, და ამასთან ერთად, მას მედიის საშუალებებზე მეტი კონტროლი აქვს და შიშის გავივებაც შეუძლია, ასეთ შემთხვევაში, დროთა განმავლობაში, ნაკლები რამ გამჟღავნდება ხოლმე და სკანდალების ნიაღვარიც სწორედ მაშინ წამოვა, როცა ეს ხელისუფლება ძალაუფლებას კარგავს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენა უდავოდ ახასიათებდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას ოქტომბრის არჩევნებამდე. ხოლო, როცა ერთი პოლიტიკური ძალის მიერ დამალული გარემოებები სააშკარაოზე გამოდის, ეს შეიძლება „პოლიტიკური მტრების წინააღმდეგ შურისძიებადაც“ მოგვეჩვენოს, როგორც ამაზე აშშ-ის გენერალური მდივნის მოადგილემ ფილიპ გორდონმა დაიჩივლა. ზუსტად ასე ფიქრობდნენ რესპუბლიკელები უოტერგეიტის სკანდალზე, იმავს განიცდიდნენ ფრანგები დრეიფუსის საქმეზე (1894-1906), ამ მოსაზრებას იზიარებდნენ საფრანგეთში მემარცხენე-ცენტრისტები სტავისკის საქმეზე (1933-35). გამოდის, რომ ისინი, ვინც ასეთ შემთხვევებში უკმაყოფილებას გამოხატავენ და შურისძიებაზე საუბრობენ, სინამდვილეში თვით სკანდალის ბუნებას და პოლიტიკას აკრიტიკებენ. აქედან გამომდინარე, გარდაუვალია,

რომ ხელისუფლების მიერ მიჩქმალული სკანდალების გამოვლენა, მხილება და შემდეგ პასუხისგებაში გადაცემა, ცალმხრივ და მიკერძოებულ მოქმედებად არ შეფასდეს.

ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებას ბევრი რამ აქვს დაფარული. ის, რაც ამ დროისთვის გამომჟღავნდა, მხოლოდ აისბერგის წვერია. ახლა, როცა დაფარულთა გამოვლენის დრო დადგა, წინა მთავრობის წევრები ზუსტად ისე გაიძახიან გეჩაგრავენო, როგორც დრეიფუსის საქმის მონაწილედგენი. თუმცა, აღმოსაჩენ-გამოსავლენიც არაფერი იქნებოდა თავის დროზე ვილაცას რაღაც-რაღაცები რომ არ მიეჩქმალა.

ამერიკელებმა და ევროპელებმა უნდა გაარკვიონ, რამდენად ნაჩქარევი და დაუფიქრებელი იყო მათი თავდაპირველი რეაქცია დაკავებებზე. საქართველოს ახალმა მთავრობამ კი თვალი უნდა გაუსწოროს თავის უუნარობას, რომელიც პირველი საერთაშორისო სკანდალის მოგვარებაში გამოავლინა. ეტყობა, მთავრობა არც არავის ენდობა, შიგნით არ ხდება ინფორმაციების ცვლა, ფულის დახარჯვა არ უნდა, არ იცის, ვინ არიან მეგობრები უცხოეთში და ვერ ახერხებს თავისი მოქმედებების მიზეზების ახსნას. კრიზისთან გამკლავება არ ნიშნავს მხოლოდ იმ დიპლომატიკითან ურთიერთობას, ვისთანაც ივანიშვილმა და ფანჯიკიძემ თანხმობას მიაღწია, არამედ ამისთვის უცხოური საგარეო პოლიტიკის ელიტისთვის საჯარო ახსნა-განმარტებები უნდა დაიწყონ და ეს პრაქტიკა განავითარონ. ლობისტების ხელახლა დაქირავება მხოლოდ პირველი ნაბიჯია.

საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრს, რომ მან არსებული პრობლემების და უსამართლობების გამოსწორებისთვის იზრუნოს. მან უნდა დაანოსოს მთავრობის ან პარლამენტის ერთი გუნდი, რომლის ფუნქცია იქნება უცხოეთისთვის იმის ახსნა, თუ რა უნდა ქართველ ხალხს და რას იღებს მთავრობისაგან. **□**



WWW.LIBERALI.GE

ყოველი ჩვენბანი მნიშვნელოვანია

“

ურთიერთობისთვის
ყოველი ჩვენბანი
მნიშვნელოვანია

”

ყოველი თანამშრომელი და ყოველი მომხმარებელი ერთად ქმნის გუნდს ერთიანი მიზნით, სადაც თითოეული მხარის წარმატება მეორე მხარის წინსვლას განაპირობებს.

ყოველი ჩვენბანი მნიშვნელოვანია



290 90 90

* 90 90

BR.GE

საბჭო ანტიდოპ მენეჯმენტი



"ადამიანის უფლებებისადმი ხელისუფლების დამოხილვა უნდა შეწყდეს"

გვესაუბრება სამხრეთ კავკასიაში Human Rights Watch-ის წარმომადგენელი და უფროსი მკვლევარი
გიორგი გოგია

ზუსტად 64 წლის წინ გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაცია მიიღო. ამიტომ 10 დეკემბერი მთელ მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დღედ მიიჩნევა. როგორია ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობა საქართველოში, რეგიონსა თუ მსოფლიოში?

Human Rights Watch-ი ყოველი წლის დასაწყისში გამოსცემს ანგარიშს, სადაც ადამიანთა უფლებების მდგომარეობა აღწერილი, როგორი იქნება წლევანდელი მოხსენების ძირითადი ასპექტები?

ეს ანგარიში განვილილ წელს აფასებს, თუმცა, მთელ წელიწადს არ მოიცავს და ნოემბრამდე პერიოდს ფარავს... ანგარიში საპარლამენტო არჩევნების წინ არსებულ სიტუაციას, აგრეთვე, ადმინისტრაციულ პატიმრობებს და მათ არამიზნობრივ გა-

მოყენებას ეხება, – პატიმრობის ეს ფორმა ადამიანის უფლებათა კონვენციის მეექვსე მუხლს არღვევს, ვინაიდან ის თავისუფლების აღკვეთის 90-დღიან ვადას ითვალისწინებს, და ხშირად მოსამართლის გადაწყვეტილება მხოლოდ პოლიციელის ჩვენებას ეყრდნობა. ესაა ფორმა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროიდანაა შემორჩენილი. ამის გარდა ანგარიშში საუბარი იქნება საქართველოს ციხეებში წამებისა და არადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, სასამართლოს დამოუკიდებლო-

ბის ხარისხზე, ყურადღებას გავამახვილებთ მედიის თავისუფლებაზე...

როდესაც ადამიანის უფლებებზე საუბარი, უპირველესად ადამიანის უფლებათა დარღვევის რომელი ფაქტი გახსენდება?

ყველაზე უფრო შოკისმომგვრელი იყო, როდესაც ციხეში არადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეოკადრები ვიხილეთ. ციხეში არსებულ რთულ სიტუაციაზე უკვე არაერთი წელია ვსაუბრობთ. თუმცა, ის კადრები, რაც

ენახეთ, ერთ-ერთი ყველაზე უფრო შემზარავი განგაშის ზარი გახლდათ იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო პენიტენციურ სისტემაში.

როგორ შეაფასებთ იმ პროცესს, რომელიც ომბუდსმენის არჩევასთან დაკავშირებით რამდენიმე კვირა მიმდინარეობდა? ვგულისხმობ, არასამთავრობოების აქტიურობას, დებატებს კანდიდატებს შორის, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ კანდიდატების ცვლას და ა.შ.

ამ პროცესის შეფასება ჩემთვის რთულია. ცხადია, არ არსებობს რაღაც ჩამოყალიბებული სტანდარტები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აირჩიონ ომბუდსმენი. ეს პროცესი საკმაოდ დინამიკური იყო, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ომბუდსმენის არჩევა საერთო სახალხო მსჯელობის საგნად იქცა, რაც პოზიტიური მოვლენაა. თუმცა, ნეგატიური მხარეებიც ჰქონდა. ვინაიდან, როდესაც საზოგადოებრივი დებატების შედეგად 7-8 კანდიდატი იკვეთება, პარლამენტი ყველას ვერ განიხილავს.

საბოლოოდ, პროცესს მაინც დადებითად ვაფასებ, აქედან ბევრი რამის სწავლა შეიძლება, კარგია, რომ სახალხო დამცველის თანამდებობას საზოგადოება ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

პარლამენტმა პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილთა სიაც დაამტკიცა. „ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაცია“ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ ამ პროცესთან დაკავშირებით შენიშვნებს გამოთქვამდნენ, თქვენ რას ფიქრობთ ამ პროცესზე, თქვენი აზრით, რამდენად სწორად წარიმართა იგი?

ამ პროცესთან დაკავშირებით შენიშვნები მეც მქონდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. ქვეყანაში მსჯავრდების ალბათობა 99%-ს შეადგენდა. ამიტომ ციხეში მყოფი პატიმრების დიდ ნაწილს შესაძლოა თავი არაკანონიერად და უსამართლოდ დაპატიმრებულად მიაჩნდეს. ამ პრობლემის მოგვარება სისტემურ მიდგომას და არა სწრაფ გადანაცვლებებს მოითხოვდა. მიმაჩნია, რომ ის ორკვირიანი ვადა, რაშიც პოლიტპატიმრების საკითხთა კომისიამ იმუშავა, არასაკმარისია.

როდესაც ადამიანი ციხეში ზის, ყოველი დამატებითი დღე და საათი მისთვის დამატებითი ტანჯვა და ტკივილია, თუმცა, ეს

ისეთი სათუთი თემაა, სადაც სიჩქარე სწორი გადანაცვლებით არ მგონია. კომისიას ცოტა უფრო მეტი დრო რომ დაეთმო საქმეთა ინდივიდუალური შესწავლისთვის, მიელო საჩივრები პატიმრებისგან და ევროსაბჭოს სტანდარტები უფრო მეტად მიესადაგებინა თითოეული შემთხვევისთვის, უკეთესი იქნებოდა.

მე ამ თემაზე არ მიმუშავია, თუმცა, მაქვს კითხვები, თუ რამდენად სრულყოფილია ის სია, რამდენად იმსახურებს ყველა ის ადამიანი, ვინც სიაშია, იქ ყოფნას და ა.შ. სასურველი იყო პროცესი უფრო გამჭვირვალედ წარმართულიყო.

თქვენ ალბათ იცნობთ ახალი ხელისუფლების პროგრამას ადამიანის უფლებათა სფეროს მიმართულებით... ეს თეორიული ასპექტები აკმაყოფილებს თუ არა თქვენთვის მისაღებ კრიტერიუმებს?

ასეთი პროგრამა არსებობს?

წინასწარჩვენი პროგრამას ვგულისხმობ...

ერთია როდესაც წინასწარჩვენი პროგრამა გაქვს და მეორე, როდესაც უკვე ხელისუფლებაში მყოფს მთელი რიგი პრიორიტეტები გაქვს განსაზღვრული. ამ ხელისუფლებას ეს ჯერ ჩამოყალიბებული არ აქვს, და ასეთი მიდგომა, ცოტა არ იყოს შემაშაფოთებელია.

შესაძლოა დეტალურ პროგრამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, თუმცა სასურველი იყო, რომ ეს პრიორიტეტები თავიდანვე განსაზღვრულიყო.

გეტყვი, Human Rights Watch-ს პრიორიტეტებად რა მიაჩნია, ჩვენ გვაქვს როგორც მოკლევადიანი, ისე, საშუალო და გრძელვადიანი პრიორიტეტები.

პირველ რიგში ციხეებში მომხდარი ძალადობა უნდა გამოიძიონ. აქ მხოლოდ პასუხისმგებლობის საკითხზე არაა საუბარი. ამასთან ერთად იმ ხალხის ფსიქოგრაბილიტაცია აუცილებელია, ვინც წამებისა და არადამიანური მოპყრობის მსხვერპლი გახდა. მთავარმა პროკურორმა განაცხადა, რომ ციხის საქმეები გაიხსნება, მაგრამ განცხადება არ არის საკმარისი იმის დასაწახად, ნამდვილად იძიებენ თუ არა საქმეს.

სასურველია მართლმსაჯულების ხარვეზების გამოხსნა. უნდა შეიქმნას დამოუკიდებელი ორგანო, კომისია, რომელიც იმუშავებს არა ორი კვირით ან ორი თვით, ამას


ნლები დასჭირდება. კომისიამ უნდა იმუშაოს იმ ადამიანთა საქმეებზე, რომლებიც თავს არასწორი მართლმსაჯულების მსხვერპლად მიიჩნევენ.

როგორი შერჩევითაც ადამიანები დააპატიმრეს, ასეთივე შერჩევით მათი გათავისუფლება არ უნდა მოხდეს.

თქვენ Human Rights Watch-ის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელი ხართ... ძირითადად რა განსახვავებს საქართველოს სომხეთისა და აზერბაიჯანისგან ადამიანის უფლებების კუთხით?

Human Rights Watch-ი ქვეყნებს ერთმანეთთან არ ადარებს. ყველა ქვეყანას თავისი პრობლემები აქვს. მაგალითად, აზერბაიჯანში განსაკუთრებული პრობლემები მედიის, გამობატვის, შეკრების თავისუფლებას უკავშირდება. სომხეთში ცოტა სხვა სახის პრობლემები არსებობს, მაგალითად, პოლიციის მიერ ძალის გადაყენება, საქართველოს კიდევ თავისი პრობლემები გააჩნია. მაგალითად, იგივე ადმინისტრაციული პატიმრობა სომხეთში საერთოდ არ არსებობს, აზერბაიჯანში კი უმაღლესი ვადა 15 დღეს შეადგენს. თუმცა ეს ყველაფერი არ ნიშნავს, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ უფრო რთული ვითარებაა, ვიდრე აზერბაიჯანში ან სომხეთში, შედარება არასწორი და არასრულყოფილი იქნება.

თქვენ აზრით, რა არის ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში ყველაზე დიდი გამოწვევა მსოფლიოს მასშტაბით?

ძალიან დიდი გამოწვევაა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები. თუმცა ომები და კონფლიქტები მაინც ყველაზე დიდ პრობლემებს ქმნის. ჩვენი ორგანიზაცია მუშაობდა მართვადი მკვლელობების გამოყენების შესახებ, რომლებიც ბრძოლის დროს ავტომატურ გადანაცვლებებს იღებენ. ეს რაღაც ახალი მწვერვალია არადამიანური იარაღის გამოყენების საქმეში. პრობლემურია კასეტური ან ფოსფორული ბომბები, რომლებიც სამხედრო და სამოქალაქო პირებს ერთმანეთისგან არ არჩევს... ეს ვრცელი და რთული საკითხია – ამაზე ცალკე შემიძლია გესაუბროთ. 

ესაუბრა ზურაბ ვარდიანიშვილი.



ჯანდაცვა

უჩონაიხი საბედისწირო დაზღვევა მდიდრის და ღარიბის

მომავალი წლიდან საქართველოს ყველა მოქალაქე ერთიან სადაზღვევო პაკეტს მიიღებს. „ქართული ოცნების“ პროგრამის ავტორები არ ერიდებიან იმის აღიარებას, რომ პროგრამის ბიუჯეტი დეფიციტური იქნება. ამ რისკების მიუხედავად, ხელისუფლებაში მოსული გუნდი წინასაარჩევნო დაპირებაზე უარს არ ამბობს და სახელმწიფო დაზღვევისთვის განკუთვნილ ხარჯებს მხოლოდ ღარიბებზე აღარ მიმართავს. არაღარიბ მოსახლეობასთან ერთად დაზღვევას მდიდრებიც მიიღებენ.

ლიკა ზაკაშვილი



■ „ქართული ოცნება“ საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტით უზრუნველყოფას გეგმავს და თუ ეს პროგრამა განხორციელდა, მომავალი წლიდან საქართველოს ყველა მოქალაქე უნივერსალური საბაზისო პაკეტით იქნება დაზღვეული, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ამ დრომდე მოქმედი ყველა სადაზღვევო პროგრამა შეჩერდება.

ქართველოს ბიუჯეტს ძვირი დაუჯდება.

„ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო პროგრამაში ჯანდაცვის სფეროში დაგეგმილი ღონისძიებები მოკლედ, მთავარი პრინციპების დონეზეა გადმოცემული. ეს პროგრამა ფართო საზოგადოებრივი განხილვის საგანი ამ დრომდე არ გამხდარა და ჯერ საზოგადოებისთვის არავის აუხსნია, რატომ სჯობია „ქართული ოცნების“ მიერ შემოთავაზებული პროგრამა ძველს, რატომ არის ის უფრო ეფექტიანი და რა რისკები ახლავს მის განხორციელებას?

ჯანდაცვის სფეროში წინა და ახალი მთავრობის პრიორიტეტები ერთნაირია. ორივე მთავრობის მიზანი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა, ეფექტიანი დაფინანსების სისტემის შექმნა და ხარისხიანი ჯანდაცვაა. თუმცა, ამ მიზნებამდე მისასვლელად ახალი მთავრობა ახალ და წინა მთავრობისგან განსხვავებულ გზას ირჩევს.

„ქართული ოცნება“ საქართველოს ყველა მოქალაქისთვის სამედიცინო დაზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტით უზრუნველყოფას გეგმავს და თუ ეს პროგრამა განხორციელდა, მომავალი წლიდან საქართველოს ყველა მოქალაქე უნივერსალური საბაზისო პაკეტით იქნება დაზღვეული, რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში ამ დრომდე მოქმედი ყველა სადაზღვევო პროგრამა შეჩერდება. შეჩერდება უმწეოთა, პედაგოგების, პენსიონერების, ბავშვთა დაზღვევის პროგრამები და ყველა მოქალაქეს უნივერსალური საბაზისო პაკეტი გადაეცემა.

შეჩერდება კორპორატიული დაზღვევით მოსარგებლე პირთა დაზღვევები. საქართველოში მილიონნახევარი ადამიანი კორპორატიული დაზღვევით სარგებლობს. ყველა ეს ადამიანი მომავალი წლიდან საბაზისო სადაზღვევო პაკეტს მიიღებს, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პაკეტში განერილ მომსახურებაზე ყველა ადამიანს თანაბარ ხელმისაწვდომობას დაუდგენს.

კალათა, როგორც პროგრამაში წერია, პირველი, მეორე და მესამე დონის სამედიცინო მომსახურებას აფინანსებს. „ქართული ოცნების“ პროგრამის ერთ-ერთი ავტორის, ჯანდაცვის ექსპერტის, ირაკლი სასანიას თქმით, პაკეტზე მუშაობა გრძელდება და ცოტა ხანში ცნობილი უნდა გახდეს კალათაში შესული მომსახურებების ნუსხა და ლიმიტები.

უკვე ცნობილია საიდან მოხდება პროგრამისთვის საჭირო თანხების მოკრება. სახელმწიფო დაზღვევისთვის საქართველოში დასაქმებული ექვსასი ათასი ადამიანის საშემოსავლო გადასახადის 20%-იდან 7% მიზნობრივ სადაზღვევო შენატანის სახით შევა ჯანდაცვის პროგრამაში. დანარჩენ თანხებს კი სახელმწიფო სუბსიდიის სახით გაიღებს.

დასაქმებული მოსახლეობის გადასახადებიდან აღებული 7% პროგრამის ბიუჯეტს მხოლოდ მცირედით შეავსებს, თუმცა, როგორც პროგრამის ავტორები ამბობენ, ეს შენატანი, რომელსაც მიზნობრივი სადაზღვევო შენატანი დაერქმევა, მნიშვნელოვანია, რადგან ამით სოლიდარობის პრინციპი ვლინდება, ეს

თანხა მიზნობრივად ჯანდაცვისთვის შეგროვდება და შესაბამისად, მხოლოდ ჯანდაცვისთვის დაიხარჯება.

საერთო შემოსავლებიდან საქართველოს მოსახლეობა სხვადასხვა ჯგუფისთვის განკუთვნილ პროგრამებს აქამდეც აფინანსებდა.

ამიტომ კითხვა, რატომ ვიღებთ ფულს მხოლოდ დაქირავებული მოსახლეობის გადასახადიდან, რომლითაც ყველა ისარგებლებს, ლეგიტიმურია.

საკონსულტაციო ფონდ „კურაციოს“ წარმომადგენელი და ჯანდაცვის სფეროს ექსპერტი კაკი ზოიძე დასაქმებული მოსახლეობის სამემოსავლო გადასახიდან 7%-ის მიზნობრივ სადაზღვევო შენატანად განსაზღვრის გადაწყვეტილების რაციონალურობაში დარწმუნებული არ არის.

„ეს საუბრები მიდიოდა 1992-1995 წლებში. ასეთი სისტემა აირჩია ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან თითქმის ყველა ქვეყანამ. კლასიკური სოციალური დაზღვევის მოდელი, როცა მხოლოდ სადაზღვევო შენატანით ფინანსდება

პროგრამა, არცერთ ქვეყანაში აღარ არის. იქაც კი, სადაც ფორმალური სექტორი დიდია, სუბსიდიებია საჭირო. დღეს, როცა ჩვეულებრივად გამოიყოფა თანხები სახელმწიფო ბიუჯეტიდან და მისი წყარო საერთო შემოსავალია, რა საჭიროა, რომ შემოვიტანოთ მიზნობრივი სადაზღვევო შენატანი?“ – ამბობს კაკი ზოიძე.

მიზნობრივი სადაზღვევო შენატანის დანეხების შესახებ „ქართული ოცნების“ პროგრამის ავტორთა გადაწყვეტილებას არ იზიარებს ჯანდაცვის ყოფილი ფუნქციონერი ვახო მეგრელიშვილი და ამბობს, რომ თუ ადრე 4 მილიონი კაცი ინანილებდა ხარჯებს, ახლა გაიზარდა, რომ 600 ათასმა კაცმა უნდა გადაიხადოს 4 მილიონისთვის.

ქართული ოცნების ჯანდაცვის პროგრამაში მთავარი მოსახლეობის ერთიანი საბაზისო პაკეტით უზრუნველყოფის პირობაა, დაფინანსების წყაროების გარშემო გამართული დისკუსია, ამ დაპირებასთან შედარებით, ნიუანსია.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ხელისუფლებაში მოსული მმართველი გუნდის გადაწყვეტილება მთელი მოსახლეობის უნივერსალური საბაზისო დაზღვევით უზრუნველყოფაზე, მეტ დაფიქრებას და საზოგადოებრივ განსჯას საჭიროებს.

ჯანდაცვის ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ სახელმწიფოს დახმარება მიმართული უნდა იყოს გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების ყოფის გაუმჯობესებისაკენ, რომელთაც ამ დახმარების გარეშე სიღარიბე ემუქრებათ. შესაბამისად, დახმარება არ უნდა გავრცელდეს ყველაზე, რადგან უნივერსალურ დაზღვევას დიდი ფინანსური რესურსები სჭირდება, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტს ყოველწლიურად მძიმედ დაანევა.

„ჩემი აზრით, დაფინანსება კონცენტრირებული უნდა იყოს მათზე, ვისაც ამ პაკეტის შექმნა თვითონ არ შეუძლია. ჩვენ არ გაგვაჩნია იმდენი ფული, რომ ყველა მოქალაქისთვის სრული პაკეტის დაფინანსება უზრუნველყოფით. არის კი იმის აუცილებლობა, რომ მდიდარსაც და ღარიბსაც სახელმწიფომ გადაუხა-



დოს თანხა, როცა მოქალაქეთა ნაწილს შეუძლია თვითონაც დაიზღვიოს თავი? ჩემთვისაც და ღარიბი ადამიანისთვისაც სისხლის ანალიზის დაფინანსება სწორად არ მიმაჩნია“, – ამბობს კაკი ზოიძე და მიაჩნია, რომ უფრო სწორი და სამართლიანი არაღირბი მოსახლეობისთვის კატასტროფული სამედიცინო დანახარჯების დაზღვევა იქნებოდა. „მე მხარს დავუჭერდი ისეთი პაკე-

სტატისტიკა

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფის პირველი სახელმწიფო პილოტური პროგრამა 2007 წელს შემუშავდა. 2008 წლიდან მოსახლეობის დაზღვევა მთელი საქართველოს მასშტაბის ეტაპობრივად დაიწყო. 2008 წლის ბოლოსათვის პოლისი 666 651 ადამიანს გადაეცა. 2010 წლის აპრილის მონაცემებით, სამედიცინო მომსახურებით დაზღვეული იყო 1 104 785 ადამიანი. მათ შორის: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, დევნილი პირები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სახალხო არტისტები, პედაგოგები. 2012 წლის სექტემბრიდან ამ ჩამონათვალს 5 წლამდე ბავშვები, სტუდენტები და პენსიონერები დაემატა. ამ ეტაპზე მოსახლეობის 40%-ია დაზღვეული.



ტის შემოღებას, რომელიც არალარიბი მოქალაქეების კატასტროფულ სამედიცინო დანახარჯებს დააზღვევდა. სილარიბის პროგრამაში მყოფებს საბაზისო პაკეტი გადაეცეთ, არალარიბ მოსახლეობას კი კატასტროფული სამედიცინო ხარჯები დაუზღვიოთ. მაგალითად, 20 ათასი ლარის ზევით. ასეთი ხარჯისგან თუ დააზღვევდა სახელმწიფო მოქალაქეებს, ეს იქნებოდა ძალიან სა-

მართლიანი და კარგი“, – ამბობს კაკი ზოიძე.

სამედიცინო საერთო გადასახადებიდან, ყველაზე მეტი თანხა მედიკამენტებზე იხარჯება და კატასტროფული დანახარჯების ტვირთიც სწორედ მედიკამენტების ჭარბი მოხმარების შედეგია. ამიტომაც, კაკი ზოიძე ფიქრობს, რომ თუ ახალ პაკეტში მედიკამენტების დაფინანსების წილი არ გაიზარდა, ეს

პაკეტი კატასტროფულ დანახარჯებზე გავლენას ვერ მოახდენს.

„თუ გვაქვს ფული და ჯანდაცვა მართლაც პრიორიტეტი გახდა, მაშინ მე ამ თანხას უმწეოთა პეკეტის გაფართოებაზე მივმართავდი. პაკეტმა, რომელიც ლარიბებს ჰქონდათ, სილარიბზე გავლენა ვერ მოახდინა. კატასტროფული ხარჯები გაიზარდა და რატომ? იმიტომ, რომ პაკეტი არ ფარავდა წამლებს. სა-

ნამ წამლების ანაზღაურება არ შევა, მანამდე ეს პაკეტი ეფექტიანი ვერ იქნება. „ქართული ოცნების“ პროგრამაში წერია, რომ პირველადი მოხმარების (ესენციურ) მედიკამენტებზე 50%-იანი ფასდაკლება შევა, თუმცა ლიმიტი დაკონკრეტებული არ არის“, – ამბობს კაკი ზოიძე.

კაკი ზოიძის აზრს იზიარებს სადაზღვევო ასოციაციების პრეზიდენტი დევი ხენინაშვილიც და ამბობს, რომ ჯერ უნდა განესაზღვროთ რას ვაზღვევთ, კატასტროფულ დანახარჯებს თუ ყველა სამედიცინო საჭიროებას?

„თუ ჩვენ გვინდა ისეთი სადაზღვევო დაფარვა, რომელიც ერთგვარ უწყვეტობას აფინანსებს, სახელმწიფომ 5-ჯერ მეტი „პრემია“ უნდა გაილოს. ჩვენი სახელმწიფო პროგრამები უმწიფო ადამიანის კატასტროფული დანახარჯებისგან დაცვის პროგრამა იყო და არა ჯანდაცვის უწყვეტობის. თუ ჩვენ გვინდა დავრჩეთ ამ ბიუჯეტში, უნდა გვესმოდეს, რომ ეს უნდა იყოს კატასტროფული ხარჯების დაფინანსების პროგრამა, რასაც უნდა დაემატოს წამლის კომპონენტი.“

2012 წლის დანახარჯების სტრუქტურის მიხედვით, საერთო სამედიცინო დანახარჯებიდან 60% მედიკამენტებზე იხარჯება.

ჯანდაცვის სისტემაში კერძო სადაზღვევო კომპანიების ბარეჟი?

„ქართული ოცნების“ ჯანდაცვის პროგრამაში მეორე მნიშვნელოვანი სიახლე ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაფინანსების ორგანიზებას და მართვას შეეხება.

პროგრამის მიხედვით, შეიქმნება ერთიანი არასახელმწიფო არამომგებიანი ფონდი, სადაც თავს დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი ბიუჯეტი მოიყრის, რომლის ადმინისტრირებას, მიმწოდებლის შერჩევასა და დაფინანსებას ფონდი უზრუნველყოფს.

დღეს მოქმედი სისტემის მიხედვით, სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებისთვის განკუთვნილ თანხებს, ე.წ. პრემიას

სადაზღვევო კომპანიებს ურიცხავს, რომელიც მიმწოდებლებთან (კლინიკებთან) კონტრაქტებს აფორმებს.

კერძო სადაზღვევო კომპანია სერვისის მიმწოდებლებს სხვადასხვა ფასზე უთანხმდება. მაგალითად, თუ ერთ კლინიკას გადაუდებელ მომსახურებაში 200 ლარს უხდის, მეორესთან იგივე მომსახურება შეიძლება 100 ლარი დაჯდეს.

სადაზღვევო კომპანიებისგან განსხვავებით, არამომგებიანი ფონდი სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებაზე ფასებს ცალმხრივად დაადგენს და გადახდას ამ ფასების მიხედვით აწარმოებს. ირაკლი სასანიას თქმით, ისინი გაშუალდებული ფასებით იხელმძღვანელებენ.

„მე მხარს დავუჭერდი ისეთი პაკეტის შემოღებას, რომელიც არაღარიბი მოქალაქეების კატასტროფულ სამედიცინო დანახარჯებს დააზღვევდა. სიღარიბის პროგრამაში მყოფებს საბაზისო პაკეტი გადაეცეთ, არაღარიბ მოსახლეობას კი კატასტროფული სამედიცინო ხარჯები დაუზღვიოთ“.

ექსპერტთა აზრით, არასაჯარო ინსტიტუტის მიერ ფასების ცალმხრივად დადგენა არამართო ეწინააღმდეგება ჯანდაცვის ბაზარზე მხარეებს შორის სამართლიანი ურთიერთობის პრინციპებს, არამედ სერიოზულ საფრთხეებს შეიცავს.

„სახელმწიფო აიღებს კერძო სექტორის ფასებს და იმ ფასებით იხელმძღვანელებს. როგორ უნდა დაადგინონ ეს ფასები?

სწორი ფასი თუ არ იქნება, რა მოხდება? ან იქნება ბუნებრივად დაბალი, რაც დეფიციტს და შავ ბაზარს გამოიწვევს. თუ იქნება მაღალი ფასი, ამას სერვისის გაძვირება მოჰყვება“, – ამბობს ვახო მეგრელიშვილი.

ბოლო რამდენიმე წელია შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვის დანახარჯები კატასტროფულად იზრდება. მსოფლიო ბანკის და საქართველოს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ერთობლივმა კვლევამ აჩვენა, რომ 2007 წელთან შედარებით, 2010 წელს ჯანდაცვის დანახარჯები 59%-ით გაიზარდა. დანახარჯების სტრუქტურაში 55%-ით ლიდერობს მედიკამენტებზე დახარჯული თანხები. 2010 წელს მედიკამენტებზე დანახარჯები 2007 წელთან შედარებით 85%-ით გაიზარდა.

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ წამლებზე ხარჯები მკვეთრად შემცირებულია იქ, სადაც სამედიცინო მომსახურებას კერძო სადაზღვევო კომპანიები აკონტროლებდნენ. სადაზღვევო ასოციაციების კვლევის მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევების ეფექტიანი მართვის შედეგად, კორპორატიულად

დაზღვეულთა წლიური დანახარჯი წამალზე 30-40 ლარია.

„საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ სამედიცინო სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის ძირითად ბარიერს მედიკამენტებზე დიდი დანახარჯები წარმოადგენს.

ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის მთავარი გამოწვევა სამედიცინო ხარჯების და შემთხვევების ეფექტიანი მართვა და სამედიცინო მომსახურებებზე ფასის კონტროლია. მთავარი კითხვაა, ვინ უფრო უკეთ გაართმევს თავს ამ ამოცანას: კერძო სადაზღვევო სექტორი თუ არამომგებიანი არასახელმწიფო ერთიანი ფონდი, რომელსაც მოგების ინტერესი არ აქვს?

ექსპერტები ერთიან სადაზღვევო

ფონდს მიღს ადარებენ, სადაც რამდენ ფულსაც „ჩაასხამ“, იმდენი გაედინება და საბაზრო ეკონომიკური სტიმულირების არქონის გამო, ხარჯების ეფექტიანი მართვისა და ხარჯვის ინტერესი არ აქვს. ამ გამოწვევებიდან გამომდინარე, ფონდის შექმნის იდეა ბევრისთვის მიუღებელია, რადგან მიაჩნიათ, რომ კერძო სექტორს სამედიცინო შემთხვევებისა და სამედიცინო დანახარჯების ეფექტიანი მართვა არამომგებიან ფონდზე უკეთ შეუძლია.

ფონდის შექმნის მომხრეები ამბობენ, რომ ფონდში ხარჯების თავმოყრაც ხდება და როცა ფული ცოტაა, ფინანსების განაწილება რამდენიმე კერძო სადაზღვევო კომპანიაზე არაგონივრულია.

ხარჯების ერთ „აუზში“ თავმოყრას ნაკლები ადმინისტრაციული დანახარჯი მართლაც ახლავს, თუმცა როგორც კაკი ზოიძე ამბობს, სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, ჰოლანდიაში, სადაც 237 საავადმყოფო სალაროა, რომელიც გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენთან არსებული 13 სადაზღვევო კომპანია, გაერთიანებისკენ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ.

„ჰოლანდიაში თავიდანვე მრავლობითი იყო, რადგან მიხვდნენ, რომ თუ იქნებოდა კონკურენცია, შესაძლებელი იქნებოდა ფასის და დანახარჯების კონტროლი“, – ამბობს კაკი ზოიძე.

თუმცა, როგორც კაკი ზოიძე მიიჩნევს, ამ ორ სისტემას შორის არჩევნის გაკეთებამდე კარგად უნდა შეფასდეს ორივე მიდგომა და ის განვლილი წლები, როცა ფინანსური შუამავლის როლს სადაზღვევო კომპანიები ასრულებდნენ.

„რომელი სჯობს, ძნელი სათქმელია. შეფასება რალაც მტკიცებულებებს უნდა დაეფუძნოს. უნდა შევაფასოთ, რა მოიტანა 3 წლის და 4 წლის გამოცდილებამ. ერთადერთი კონტროლის პალატის დასკვნაა, რომელიც ძალიან საკამათო იყო თავისი მეთოდოლოგიის მიხედვით“, – ამბობს კაკი ზოიძე.

სადაზღვევო ასოციაციების პრეზიდენტი დევი ხეჩინაშვილი, კონტროლის პალატის მიერ მომზადებულ დასკვნას, რომლის მიხედვით, სადაზღვევო კომ-

პანიები დიდ მოგებებზე მუშაობდნენ და სახელმწიფო პროგრამებით ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებდნენ, მცდარს უწოდებს.

„ციფრები, რომელიც კონტროლის პალატამ დადო, მნიშვნელოვნად მცდარი იყო. მათ მხოლოდ ფულის მიმოქცევა ნახეს. არ უნახავთ რეზერვები, პერიოდი პერიოდთან არ შეუდარებიათ. არ უგულისხმიათ მარკეტინგული ხარჯები – ეს არის ვაუჩერიანი მოქალაქეების მოსაზიდად განკუთვნილი ხარჯები“, – ამბობს დევი ხეჩინაშვილი და დასძენს, რომ კონტროლის პალატამ სწორედ იმ პერიოდის საქმიანობა შეაფასა, როცა სადაზღვევო პროგრამები ახალი დაწყებული იყო, მოსახლეობა ახალი პროგრამების შესახებ ინფორმირებული არ იყო. დაბალი მოხმარების გამო, სადაზღვევო კომპანიებმა მოგებები ნახეს, რის შემდეგაც სახელმწიფომ, მალევე,

ჩხს დაფინანსებას დაზღვევის პოლისი?

სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ და დაფინანსებულ ბაზისური სარგებლის კალათაში შევა ის მომსახურებები, რომლებიც ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით სრულად დაფინანსდება:

- ▶ ამბულატორიული მომსახურება (ოჯახის/სოფლის ექიმი და სპეციალისტები);
- ▶ მოსახლეობის პროფილაქტიკური გამოკვლევები (სკრინინგი) და იმუნიზაცია (აცრა);
- ▶ სასწრაფო სამედიცინო დახმარება; ჰოსპიტალური მომსახურება (მათ შორის, გულის სისხლძარღვთა სტენტირება, შუნტირება);
- ▶ ორსულთა მოვლა და მშობიარობა; უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა; ონკოლოგიურ დაავადებათა მკურნალობა (მათ შორის, სხივური თერაპია, ქიმიოთერაპია);
- ▶ გადაუდებელი სტომატოლოგია; მედიკამენტები – პირველადი მოხმარების (ესენციური) მედიკამენტები 50%-იანი ფასდაკლებით.

სადაზღვევო კომპანიებს ერთ სულ მოსახლეზე განკუთვნილი პრემიის ღირებულება შეუძლია.

2010 წლის 1 მაისიდან თითოეულ დაზღვეულზე წლიური სადაზღვევო პრემია 180 ლარის ნაცვლად 115 ლარი გახდა.

შემცირებული პრემიის ფონზე სადაზღვევო პაკეტს წამლის ხარჯები დაამატეს. გამარჯვებულ სადაზღვევო კომპანიებს კი საავადმყოფოების მშენელობის დასრულება და ამოქმედება დაევალათ.

სადაზღვევო ასოციაციების პრეზიდენტის, დევი ხეჩინაშვილის თქმით, დღეს ზარალინობის კოეფიციენტი 90%-ია, ანუ შემოსული 100 ლარიდან სადაზღვევო კომპანია 90 ლარს მომსახურებაში იხდის.

როგორც ექსპერტები ამბობენ, კერძო სადაზღვევო სექტორს განსხვავებული პოლიტიკური პირობების გამო, ნორმალურად განვითარების საშუალება არ მიეცა. ყველაზე მნიშვნელოვანი გადანყვეტილება სახელმწიფომ 2010 წელს მიიღო, როცა სადაზღვევო კომპანიის თავისუფლად არჩევის უფლება კონკრეტულ კომპანიასთან სავალდებულო ურთიერთობით შეიცვალა.

„2008 წლის შემდეგ, მთლიანად შეიცვალა დაზღვევის პრინციპი, ჩვენ დაზღვეულს ვაძლევდით ვაუჩერს და სადაზღვევოები ებრძოდნენ ერთმანეთს, ანუ იყო კონკურენცია. შემდეგ სადაზღვევო კომპანიებს გარანტირებული შემოსავალი შეუქმნეს იმ პირობით, რომ კომპანიები საავადმყოფოებს ააშენებდნენ. პატარ-პატარა მონოპოლიები შექმნეს, რამაც სადაზღვევო ინდუსტრიის განვითარება შეაფერხა. იქამდე სადაზღვევო ინდუსტრია მართლა ვითარდებოდა“, – ამბობს ვახო მეგრელიშვილი.

მისი თქმით, „ეს ნიშნავს, რომ მთელი სადაზღვევო ინდუსტრია უნდა ჩაძირონ, მერე კონტრაქტები უნდა გააფორმო საავადმყოფოებთან. ეს უკვე განვლილი ისტორიაა, ვინც უკეთ ჩააწყობდა, ის იღებდა ფულს. ფონდი, რომლის შექმნას ახლა ისევ გეგმავენ, წარსულში კორუფციის ქაობი იყო.“



ლანჩხუთში მოშიმშილეებმა წინა ხელისუფლებასთან ასოცირებული საგნები გამოაჩინეს, 5 დეკემბერი 2012

ფოტოგრაფი: ბორის ჭიჭიშვილი

ბიძოცა თვითმბახთვაციობისთვის

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, ქვეყნის რეგიონების ნაწილი ადგილობრივი თვითმმართველობების წინააღმდეგ მიმართულმა აქციებმა მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქების გამგებლებსა თუ საკრებულოს თავმჯდომარეებს ლეგიტიმაცია 2014 წელს ეწურებათ, აქციებზე გამოსული მოსახლეობის უმეტესობა დამარცხებული პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლების გადადგომას ითხოვს.

გიორგი ჭიჭიშვილი

მეორე კვირაა, მარტვილში თხუთმეტი ადამიანი შიმშილობს, პროტესტის უკიდურეს ფორმას მიმართეს ლანჩხუთშიც. მოშიმშილეები ადგილობრივი ხელისუფლების გადადგომას ითხოვენ.

ლანჩხუთის რაიონის ცენტრში, გამგეობის შენობის პირდაპირ მდებარე პატარა სკვერში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა ფოტოებით „გაფორმებული“ საკანი დგას. საკანში სასჯელს „ცოცხე-

ბი იხდიან“. ცოტათი მოშორებით, ერთი – პატარა, მეორე კი შედარებით დიდი მწვანე კარავი დგას.

„თავისუფლება ისე არ მოდის“, „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“ – დიდი



ლანჩხუთის აქციის მონაწილეები კარავში ღუმელით თბებიან. სოლიდარობის ნიშნად, შემთხვევით მოსახლეობა ამარაგებთ. 5 დეკემბერი 2012

კარვიდან, საიდანაც კვამლი ამოდის, სიმღერის ხმა ისმის, მის შესასვლელთან კი „ქართული ოცნებისა“ და საქართველოს ძველი დროშები ფრიალებს.

კვირაზე მეტია ლანჩხუთელები ადგილობრივი თვითმმართველობის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავენ.

„აქციის პირველ დღეს 400-მდე ადამიანი იყო მოსული, გვინდოდა პროტესტს თეატრალიზებული სახე ჰქონოდა, ღამით მოვიტანეთ ეს საკანი, პატარა კარავი, პლაკატები, ცოცხები, მოკლედ, ის, რითაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ქართველ ხალხს თავი დაამახსოვრა. მომდევნო დღეებში სხვა ადამიანებიც შემოგვიერთდნენ და მეორე კარავიც დავდგით“, – ჰყვება აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრი გია ფირცხალაიშვილი.

კარვის ერთ-ერთ კუთხეში აქციის მონაწილეები შეშის ღუმელს ეფიცებიან, მათი ნაწილი ენერჯის დასაზოგად ლო-

გინზე წევს – ოთხი ადამიანი 1 დეკემბრიდან შიმშილობს, გია ფირცხალაიშვილისთვის კი 5 დეკემბერი შიმშილობის მეშვიდე დღეა.

კარავში, მაგიდაზე წყლის ჭურჭელი, ტელევიზორი და ორი „რუპორი“ დევს. მოშიმშილეებთან შეშა სოლიდარობის ნიშნად მოსახლეობას მოაქვს.

„პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში გამარჯვებული ძალა მოვიდა, დამარცხებული პარტია კი კვლავ განაგრძობს მმართველობას. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ნუთისათვის ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა. ვშიმშილობთ, რადგან მივიჩნევთ, რომ დამარცხებული პარტია მმართველობას უნდა ჩამოსცილდეს“.

„ყველამ იცის, რომ მარტო ლანჩხუთში კი არა, წინასაარჩევნოდ მთელ საქართველოში გამგებლები მოსახლეობას აშინებდნენ და ზეწოლას ახორციელებდნენ. არავის არ ვართ აყოლილები, გა-

მგეობის შენობაში შეჭრას არ ვგეგმავთ, სოლიდარობას ვუცხადებთ სხვა რაიონებში მიმდინარე პროცესებს“.

„გამარჯვებული გუნდის წევრები ვართ, ჩვენ აქ ვიყოთ და ისინი – იქ, ჩემთვის მიუღებელია“, – მსჯელობენ დიდ კარავში შეკრებილი მოშიმშილეები.

„რესპუბლიკური პარტიისა“ და ეროვნული კომიტეტის წევრი, რომან ბინაძე იხსენებს, რომ მას შემდეგ, აქციას „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის წევრები შეუერთდნენ, პროტესტმა უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო.

„დღემდე საკრებულო შეჩვეულია, რომ მითითებები ზემოდან უნდა მიიღოს, არადა, ხალხის მიერ არჩეული ადამიანი საკრებულოში იმიტომ ხვდები, რომ ლოკალური გადაწყვეტილებების მიღება ადგილზე შეგეძლოს. ესენი შეჩვეულები არიან, ელოდებიან, რას ეტყვის გუბერნატორი, რას ეტყვის პრეზიდენტი და ასე. საკრებულოში თუ ხარ,

კეთილი ინებე და გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღე. აი, ამიტომ ვუერთდები მე აქციას, თუმცა, არ მსურს ისე განვითარდეს მოვლენები, როგორც მარტვილში, იქნებ ეს პროცესი როგორმე დიალოგის და მოლაპარაკების რეჟიმში გადავიდეს“, – ამბობს რომან ბინაძე.

ლანჩხუთის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კახა ასკურავა ამბობს, რომ აქციები გამგეობაში მომუშავე ნებისმიერი საჯარო მოხელისათვის პირდაპირი ფსიქოლოგიური წნეხია.

„ჩვენ ჩვეულებრივი თვითმმართველობა ვართ. პატარა რაიონებში დიდი პოლიტიკური პროცესების გადაწყვეტა ჩვენი საქმე არაა და არც ამას ვებღაუჭებით. „ნაციონალურ მოძრაობას“ თვითმმართველობის არჩევნები არ ნაუგია და 2014 წლამდე, ახალ არჩევნებამდე, თვითმმართველობამ ამ შემადგენლობით უნდა იმუშაოს“, – ამბობს კახა ასკურავა. მისი თქმით, კარვებში მყოფ ადამიანებს პროცესის ცივილიზებულ ფორმებში მოგვარება და გამგებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება შესთავაზეს.

„უთხარი, არც შიმშილობა გჭირდებათ და არც კარვის დაცემა. გამგებლის პოსტი ვაკანტურია და განცხადების შეტანა ნებისმიერ მსურველს შეუძლია-მეთქი. იმასაც კი დავპირდი, რომ კონკურსში მონაწილეობას არ მივიღებდი. მიუხედავად ამისა, აქცია მაინც გრძელდება. მორალური უფლება არ მაქვს ვთქვა, ეს პროცესი მართულია-მეთქი, რაიონის დეპუტატი თემურ ჩხაიძე „ქართული ოცნების“ წევრია, ამ პროტესტს ის ღიად გაემიჯნა“, – ამბობს ასკურავა.

მისი თქმით, საკრებულოში კომისია შეიქმნა, რომელმაც გამგებლის თანამდებობის დაკავების მსურველთა განცხადებები უნდა განიხილოს და ერთ კანდიდატზე უნდა ჩამოყალიბდეს. ამის შემდგომ, კანონის თანახმად, გამგებელს საკრებულო დაამტკიცებს.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი გია ფირცხალაიშვილი ამბობს, რომ ეს პროცედურები აქციის მონაწილეებისთვის მიუღებელია, რადგან, შეიძლება, დროში გაინელოს.

„კონკურსის ვადა შეიძლება 2 თვე-



მდე გაგრძელდეს, ანუ გამოდის, რომ ბიუჯეტი ისევ ამათ უნდა მიიღონ და განკარგონ?! კიდევ რამდენიმე თვე ამათი დარჩენა ჩვენ არ გვაკმაყოფილებს!“ – ამბობს ფირცხალაიშვილი.

მისივე თქმით, თუ ადგილობრივი თვითმმართველობა არსებული შემადგენლობებით 2014 წლამდე დარჩება, საკრებულოები, რომლებიც 90 პროცენტით „ნაციონალური მოძრაობის“

წევრებითაა დაკომპლექტებული, საკუთარი პარტიის ინტერესს გაატარებენ. „ეს რაიონში დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს“, – ამბობს ფირცხალაიშვილი.

ლანჩხუთთან შედარებით ბევრად დაძაბული სიტუაციაა მარტვილში, სადაც გამგებლისა და საკრებულოს თავმჯდომარის გადაგომის მოთხოვნით 28 ნოემბრიდან თხუთმეტი ადამიანი შიმშილობს.



მარტვილის გამგეობის წინ 28 ნოემბრიდან 15 ადგილობრივი შიმშილობს, 5 დეკემბერი 2012

ფოტო: გიორგი ანდრონიძე

■ თუ ადგილობრივი თვითმმართველობა არსებული შემაღგენლობებით 2014 წლამდე დარჩება, საკრებულოები, რომლებიც 90 პროცენტით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებითაა დაკომპლექტებული, საკუთარი პარტიის ინტერესს გაატარებენ. „ეს რაიონში დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევს“, – ამბობს ფირცხალაიშვილი.

პროტესტი აქ უფრო ორგანიზებულია – შექმნილია სამოქალაქო მოძრაობა „მარტვილი ნაციონალური მოძრაობის მმართველობის გარეშე“. ამ მოძრაობის წევრები მარტვილის გამგეობის შენობასთან აქციებს რამდენიმე დღის განმავლობაში მართავდნენ, თუმცა გამგებელმა, მამუკა დანელიამ და საკრებულოს თავმჯდომარემ, ზაალ გოროზიამ დაკავებული თანამდებობები არ დატოვეს. ამის შემდგომ აქციის მონაწილეებმა გამგეობის შენობა დაიკავეს და გამგებლის სავარძელი ფანჯრიდან გადმოაგდეს.

თხუთმეტ დასუსტებულ მოშიშმილეს ქარისა და წვიმისაგან გამგეობის შენობის კოლონებზე გაჭიმული პოლიეთილენის პარკი იცავს. ისინი შენობის შესასვლელთან წვანან, რამდენიმე მეტრის მოშორებით კი დაცვის პოლიციის თანამშრომლები არიან მობილიზებული.

„მოშიშმილენები უკვე ცუდად ხდებიან და არ ვიცით, რა ვქნათ. ერთ-ერთი „სასწრაფოთი“ წავიყვანეთ საავადმყოფოში. ერთი, შესაძლოა, ქუთაისში გაგვიხდეს გადასაყვანი. დიაბეტით დაავადებული ადამიანიც შიმშილობს, ვერც ჩვენ, ვერც ექიმებმა ვერ ავაყენეთ, ამბობს, აქ უნდა მოვკვდეთ. გამგეობიდან შემოგვითვალეს, შიმშილით მოკვდნენ, თუ უნდათო“, – ჰყვებიან აქციის მონაწილეები. მათი თქმით, ათ დღეზე მეტია, რაიონი პარალიზებულია – არც გამგეობა მუშაობს და არც საკრებულო.

მარტვილელები ამბობენ, რომ პროტესტის ასეთი უკიდურესი ფორმა და მათი ასეთი აღმფრთხილება მხოლოდ ერთ კონკრეტულ ფაქტს არ გამოუწვევია და ამის წინაპირობა წლების განმავლობაში დაგროვილი უკმაყოფილება და უსამართლობა იყო.

„საკაპუციის მოსვლისთანავე სამეგრელოში კლანური მმართველობა დაიწყო: ახალაიები, გოროზიები, ინჯიები... მთელ სამეგრელოს მართავდნენ გოროზიები და ახალაიები. თუ ვინმე ხმას ამოიღებდა, ან იჭერდნენ, ან აშინებდნენ. ამ არჩევნებზეც, თუკი ვინმე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყო, ან უბრალოდ ისე არ ფიქრობდა,

როგორც „ნაციონალურ მოძრაობას“ სურდა, მომენტალურად აკავებდნენ ან ამინებდნენ“, – აცხადებს კოალიცია „ქართული ოცნების“ მარტივლის შტაბის ყოფილი უფროსი ზურაბ ბიგვაია.

ადგილობრივთა თქმით, აქციების დაწყების მიზეზი მოსახლეობის კუთვნილი მინების კომპანია „ფერეროს“ შვილობილი ფირმის „აგრო ჯორჯიასთვის“ მიყიდვა გახდა.

„რაიონს, ფაქტობრივად, საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ გოროზია მართავდა. მინებიც მან გაყიდა. სოფლის პროგრამით გათვალისწინებულ ნებისმიერ სამუშაოს ვინაო ჯგუფთან დაახლოებულ კომპანიებს აძლევდნენ. წელს მილიონ ორასი ათასი ლარი იყო სოფლის პროგრამით გათვალისწინებული, თუმცა, ნახევარი სამუშაო არ შესრულდა. საარჩევნოდ ხომ სჭირდებოდათ ფული?! ხალხს ეს ყველაფერი ყელში ამოუვიდა და თუ ვინმე ამბობს, რომ ეს პროცესი თბილისიდანაა მართული – იტყუება!“ – ამბობს ზურაბ ბიგვაია.

აქციის მონაწილეების თქმით, რაიონის მოსახლეობა ძველ ჩინოვნიკებთან შეგუებას 2014 წლამდე ვეღარ შეძლებს, რადგან მათ მიმართ ნდობა არ არსებობს.

„აგრო ჯორჯიაში“ ვმუშაობდი, სამსახურიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ კრიტიკული განწყობის გამო გამათავისუფლეს. გამოუსწორებელი ოპოზიციონერი, ჩემს ყოფილ უფროსს უთქვამს. „ქართული ოცნების“ მაისური თუ გეცვა, ელემენტარულად ვერ გადაადგილდებოდი. ამ ყველაფრის თავი და თავი გამგებელი და უფრო მეტად საკრებულოს თავმჯდომარე – ზაზა გოროზია იყვნენ. თქვენ გგონიათ, პროტესტის ეს ფორმა ჩვენ მოგვწონს? უბრალოდ, ისეთი ზიზღია ხალხში ამათ მიმართ, რომ ამ ტალღას ვერ შეაჩერებენ“, – საუბარში ერთვება მარტიველი მათე ქაჯაია.

მარტივლის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ გოროზია მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ თვითმმართველობის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი იმ რამდენიმე ადამიანის მიერაა მართული, რომელთაც თანამდებობების დაკავება სურთ.

„ხუთი კაცის აზრი უნდა გავითვალისწინოთ თუ 16 ათასის? ერთი ფაქტი მაინც მომიყვანონ იმისა, რომ ვინმეს ვაშინებდი, ვატერორებდი, ზენოლას ვახდენდი, ან უპასუხისმგებლოდ ვიქცეოდი და მზად ვარ, პასუხი ვაგო... გაიძახიან, უკანონობა აღვეკეთოთო, ჩემთან კიდევ კაბინეტში შემოცვივდნენ, სავარძელი გამმოადგეს ფანჯრიდან, შეურაცხყოფა მომაყანეს... უწყებაში პროკურატურა და საფინანსო შემოვიდა, მაგრამ აქციის მონაწილეები ამბობენ, შენობაში არ შევუშვებთო. იმედია, სიმართლე მალე გაირკვევა; თუ ისინი ჩვენ დანაშაულს ნახავენ, მზად ვართ, ყველა კითხვას ვუპასუხოთ“, – დასძენს ზაალ გოროზია.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის თავმჯდომარის მამუკა აბულაძის შეფასებით, მუნიციპალიტეტებში საშიში პროცესები ვითარდება:

„თუ მარტივლში ეს ყველაფერი ვიზუალურად ჩანს, – ფანჯრებიდან სკამების გადმოყრა, შუშების ჩამსხვრევა, შევარდნები და ასე შემდეგ, – მსგავსი სიტუაცია და მსგავსი ზენოლები არის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში. ზოგი ახერხებს, რომ გაუმკლავდეს ამ სიტუაციას, ზოგი ამას, გარკვეულწილად, ვერ ახერხებს. ძალიან მნიშვნელოვანია, მყისიერი რეაგირება სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან, რაც არ ხდება. და უმეტეს შემთხვევაში, – მინდა ხაზი გაუსვავ, ეს არის თეთრინყარო, ეს არის წალკა, ეს არის მარტივლი, – სამართალდამცავი ორგანოები ამაზე ან არ რეაგირებენ, ან თუ მიდიან, მიდიან ძალიან გვიან“, – განაცხადა აბულაძემ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ კონგრესზე, რომლის მოწვევაც, გარკვეულწილად, სწორედ ქვეყნის მასშტაბით თვითმმართველობებში შექმნილმა ვითარებამ დააჩქარა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გია თევდორაძე მიიჩნევს, რომ თვითმმართველობებთან დაკავშირებული პროცესები, ახლანდელი მმართველი პარტიის მიერ პირდაპირ არის მართული, რადგან, ერთი მხრივ, თვითმმართველობების ხელში ალება მათთვის

დამატებითი ბერკეტი, მეორე მხრივ, კი ამ შემთხვევაში გადაიჭრება იმ მხარდამჭერებისა და აქტივისტებისათვის პრობლემა, რომელთათვისაც სამსახურის მოძებნა ერთგვარი წინასაარჩევნო დაპირება იყო.

„ქართული ოცნების“ აქტივისტები თვითმმართველობების უზურპაციას ახდენენ, რაც კანონის უხეში დარღვევაა, რადგან 2014 წლამდე თვითმმართველობის ფუნქციონირება იმ პოლიტიკური შემადგენლობით უნდა გაგრძელდეს, როგორცაც ხალხმა 2010 წელს აირჩია. მეორეც, ეს ქვეყნის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლაა, განსაკუთრებით ახლა, როცა თვითმმართველობები 24 დეკემბრამდე დასამტკიცებელი ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებზე მუშაობენ“, – აცხადებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი.

ესკალაციაზე პასუხისმგებლობას იხსნის მმართველი პარტია. მთავრობისა და პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პროცესები „ქართული ოცნების“ მიერ არ არის მართული.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის, თინა ხიდაშელის თქმით, მათ სრულიად საპირისპირო ინფორმაცია აქვთ თუნდაც საგარეჯოს რაიონზე, სადაც ერთ-ერთ შეკრებაზე, რომელზეც პატარა ბუნტის მოწყობა იგეგმებოდა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იყვნენ შეკრებილი.

„მე ხელს არავის ვადებ და ჩვენი ოპონენტებივით ხელალებით არ ვსაუბრობ, რომ ეს მართული პროცესია. თვითმმართველობებში მიმდინარე მოვლენები მათგანაც არის ინსპირირებული, თვითნებურიც არის და ზოგადი უკმაყოფილებითაც არის გამოწვეული. რეალური პრობლემა ის არის, რომ რეგიონების მოსახლეობას პრობლემას „ნაციონალური მოძრაობის“ პატარა ლოკალური ჩინოვნიკები უქმნიდნენ, ამიტომაც, ადამიანთა ნაწილი თვლის, რომ მათ მართვის მორალური უფლება არ აქვთ და უნდა ნავიდნენ. შეიძლება ემოციურად და მორალურად ამას ვეთანხმებოდე, მა-



მარტვილის გამგეობის შენობა აქციის მონაწილეებს აქვთ დაკავებული, შენობაში რჩება დაცვის პოლიციაც. 5 დეკემბერი 2012

ფოტო: მარიკა ავალიანი

გრამ აბსოლუტურად ვემიჯნები იმ პროცესს, რომელიც დღეს მიმდინარეობს. ჩვენი ამოცანაა, არ დავუშვათ ქვეყანაში რაიმე სახის გართულებები. არცერთხელ არ მინახავს ჩვენს წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების დამადასტურებელი ფაქტი. თუ ოპონენტებს რაიმე კონკრეტული ინფორმაცია აქვთ, ვთხოვ, მოგვანოდონ; ჩვენ მზად ვართ, ამ პროცესებში ჩავერიოთ, ერთი მხრივ, განვმუხტოთ, მეორე მხრივ კი, მსგავსი ფაქტების პრევენცია უზრუნველვყოთ“, – აცხადებს თინა ხიდაშელი.

ადგილობრივი თვითმმართველობების მორიგი არჩევნები 2014 წელს უნდა გაიმართოს. ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობამ აირჩია, კანონის თანახმად, კიდევ ორი წელი – მომავალ არჩევნებამდე უნდა იყოს ხელისუფლებაში. თუმცა, საპროტეს-

„ქართველი კაცი შიმშილობასაც აიტანს და უწყლობასაც, მაგრამ ამ არამზადების უკანონობასა და აბუჩად აგდებას არ შეეგუება. ჩვენ არავის მითითება არ გვჭირდება. ამოვიდა ყელში ამისიანი, იმისიანი, მორჩა უკვე კლანების დრო!“

ტო აქციებზე გამოსული მოსახლეობა აცხადებს, რომ გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს პოლიტიკურ ლეგიტიმაციას უკარგავს ის გარემოება, რომ წლების განმავლობაში ისინი ერთი გუნდის – „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური ინტერესების გამტარებლები უფრო იყვნენ, ვიდრე ადგილობრივი პრობლემების მოგვარებით დაკავებული მეურნეები.

„თუნდაც მოვკვდეთ, აქედან ამდგომები არ ვართ. ვნახოთ, რამდენი ხანი არ იმუშავენ ეს მიდგომა. ამათ თვითმმარ-

თველობაში ყოფნის მორალური უფლება არ აქვთ; ქართველი კაცი შიმშილობასაც აიტანს და უწყლობასაც, მაგრამ ამ არამზადების უკანონობასა და აბუჩად აგდებას არ შეეგუება. ჩვენ არავის მითითება არ გვჭირდება. ამოვიდა ყელში ამისიანი, იმისიანი, მორჩა უკვე კლანების დრო!“ – უკვე მერამდენე დღეა გამოხატავენ თავიანთ პროტესტს მარტვილის გამგეობის შენობასთან შეკრებილები.

ბრძოლა თვითმმართველობისათვის გრძელდება. **■**

თვალსაზრისი

საქართველოს პარლამენტის დიქტატი

პარლამენტთან დაკავშირებით საქართველოში მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან, ჰუმანიზმთან, დემოკრატიულ ღირებულებებთან და საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

ვასო კუჭუხიძე

2012 წლის 29 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე კენჭი ეყარა პარლამენტის სტატუსის განახლების საკითხს. პარლამენტის სასარგებლოდ ხმა 138-მა სახელმწიფომ მისცა, 41-მა თავი შეიკავა, ხოლო 9 წინააღმდეგ წავიდა, რის შედეგადაც პარლამენტმა არაწერი დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსი მიიღო და შეუერთდა ვატიკანს, რომელიც იმავე სტატუსით სარგებლობს.

იმ 138 სახელმწიფოს შორის, რომლებმაც პოზიცია პარლამენტის სასარგებლოდ დააფიქსირეს, საქართველოც იყო. ამ ფაქტმა ქვეყნის შიგნით გარკვეულ წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია და რამდენიმე დღის განმავლობაში ქვეყნის საშინაო პოლიტიკის თემებიც კი გადაფარა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ისრაელისთვის ბოდიშის მოხდის მოთხოვნაც კი გაისმა.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, რასაც ხელისუფლების მხრიდან მკვეთრი განმარტებების ნაკლებობამ და „დამოუკიდებელ“ ექსპერტთა ტენდენციურობამაც შეუწყო ხელი, მოსახლეობის მიერ ბევრი რამ არასწორად და დამახინჯებით იქნა გაგებული. ამიტომაც, შეიქმნა აუცილებლობა იმის გაანალიზებისა, თუ რამდენად სწორი იყო საქართველოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და რა ფაქტორების გათვალისწინებით გააკეთეს არჩევანი პარლამენტის სასარგებლოდ. თუმცა, განხილვებმა ვითარების კიდევ უფრო დრამატიზება გამოიწვია.

მიუხედავად იმისა, რომ დებატები



ძირითადად იმაზე მიდის, პარლამენტისთვის მხარი დაგვეჭირა თუ თავი შეგვეკავებინა, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ ხმა საერთოდაც ისრაელის სასარგებლოდ უნდა მიგვეცა. გადაწყვეტილების მიმღებთა საუბრებიდან ჩანს, რომ ეს ვარიანტი არცკი განიხილებოდა.

ამის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ მსოფლიოს უდიდესი ნაწილი, მათ შორის, საქართველოს მეგობარი ქვეყნების უმრავლესობა წინასწარი განცხადებით მხარს პარლამენტის ახალ სტატუსს უჭერდა ან თავის შეკავებას გეგმავდა.

გარდა ამისა, პარლამენტელთა წინააღმდეგ თავად ისრაელის გარდა ხმა მხოლოდ აშშ-მ, კანადამ, ჩეხეთმა და რამდენიმე წყნარ ოკეანეში მდებარე

სახელმწიფომ მისცა. ასეთ ვითარებაში საქართველოს მიერ ისრაელის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი სერიოზულად გაართულებდა ქვეყნის ურთიერთობებს არაბულ სახელმწიფოებთან და ისლამურ სამყაროში (და არა მარტო) შექმნიდა/გაამყარებდა საქართველოს საერთაშორისო იმიჯს, როგორც აშშ-ის მარიონეტი ქვეყნისა.

მიზეზი იმისა, თუ რატომ არ უნდა შეეკავებინა თავი ხმის მიცემის დროს საქართველოს, საერთაშორისო სამართალია. სიმბოლური დატვირთვის გარდა, გაეროს მიერ მინიჭებულ ახალ სტატუსს პარლამენტისთვის დიდი სამართლებრივი მნიშვნელობაც აქვს. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე პარლამენტს მიეცემა უფლება საჭიროების შემთხვევაში ჰააგის

საერთაშორისო მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართოს, რაც მომავალში ისრაელს უზიძგებს „ძალის გადაყენებისგან“ თავი შეიკავოს და აქცენტი კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაზე გააკეთოს. საქართველოს კი, რომელიც არათანაბარ რუსულ ძალასთან სწორედ საერთაშორისო სამართლის მეშვეობით ცდილობს გამკლავებას, პალესტინისთვის ასეთი მნიშვნელოვანი უფლების მინიჭებაზე თავი ნამდვილად არ უნდა შეეკავებინა.

ყველაზე აბსურდულია ბრალდება, თითქოს საქართველომ მხარი დაუჭირა

ტილება ასე განმარტა – პალესტინისთვის ახალი სტატუსის მინიჭება პალესტინელ ხალხს გაუჩენს იმედს კონსტრუქციული მეთოდებით მიაღწიონ შედეგს და პროცესებიდან გამორიცხავს ან მინიმუმამდე შეამცირობს ისეთი დესტრუქციული ძალის როლს, როგორც ჰამასია.


ასევე არასწორია პალესტინის საკითხის ქვეყნის შიდა კონფლიქტებთან დაკავშირება და კოსოვოს საკითხთან პარალელის გავლება. კოსოვოსა და პალესტინის მაგალითები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. 1947

მოუნევს იმაზე ფიქრი, რამდენად მომგებიანი იქნება მისთვის მსოფლიოს 138 ქვეყანასთან ურთიერთობის გაუარესება. მით უმეტეს, რომ გადაწყვეტილებისგან თავი არ შეიკავა ბევრმა ისეთმა ქვეყანამ, რომელსაც ისრაელთან გაცილებით მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები აკავშირებს, ვიდრე საქართველოს. ელჩის მიერ გამოთქმული უკმაყოფილება და საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ გადადებული ვიზიტი, კი არ ნიშნავს იმას, რომ ისრაელი აფხაზეთის და ოსეთის დამოუკიდებლობას აღიარებს. გარდა ამისა, „ბიზნესმენების საქმიდან“ გამომდინარე, საქართველოს უკვე გართულებული ჰქონდა ურთიერთობა ისრაელთან და მისი შემორიგების მცდელობის სანაცვლოდ არაბულ სამყაროსთან ურთიერთობის გაუარესება ნამდვილად უარყოფით გავლენას მოახდენდა ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაზე. უკანასკნელი წლების სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ისრაელთან ეკონომიკური ურთიერთობას გააჩნდა დაღმავალი ხასიათი, ხოლო არაბულ სამყაროსთან – აღმავალი.

ასევე არასწორია ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოსდა საქართველომ 1992 წელს პალესტინის დამოუკიდებლობა აღიარა. მაშინ ქართულმა მხარემ ზემოხსენებულ გაეროს 1947 წლის რეზოლუციას გამოუცხადა მხარდაჭერა, რომელიც პალესტინის სახელმწიფოებრიობის უფლებას ითვალისწინებს.

საერთაშორისო ასპარეზზე საქართველომ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან, ჰუმანიზმთან, დემოკრატიულ ღირებულებებთან და საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

ერთადერთი ნეგატივი იყო ის, რომ ხელისუფლებამ მიღებული გადაწყვეტილება სათანადოდ არ განუმარტა მოსახლეობას. „სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე“ და „შეთანხმებული იყო ჩვენს პარტნიორებთან“ არ არის საკმარისი არგუმენტი საზოგადოების ინფორმირებისათვის. ინფორმაციული ვაკუუმი კი ყოველთვის ხელს უწყობს დეზინფორმაციის გავრცელებას და საკითხის დრამატიზებას. ■



ტერორისტულ ორგანიზაცია ჰამასს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ცნო. პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ ჰამასი პალესტინის პარლამენტში უმრავლესობას წარმოადგენს, ის არ არის პოლიტიკის განმსაზღვრელი ძალა და მხოლოდ ღაზის სექტორის გარკვეულ ნაწილს აკონტროლებს.

გარდა ამისა, გაეროში „არანეერი სახელმწიფოს“ შესახებ ინიციატივა სწორედ ჰამასთან დაპირისპირებულ პალესტინის პრეზიდენტ მაჰმუდ აბასს ეკუთვნის და საკითხის წარმატებით გადაწყვეტა პალესტინელ ხალხში აბასის მიმართ ნდობას გაზრდის და ჰამასის პოზიციებს შეასუსტებს. დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვილი სოვენდელმა საკუთარი გადაწყვე-

წელს გაერომ პალესტინასაც ისევე მიანიჭა განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში სახელმწიფოს შექმნის უფლება, როგორც ისრაელს და ამ უფლებით სარგებლობას პალესტინა სწორედ ისრაელის მხრიდან მუდმივი საბოტაჟის გამო ვერ ახერხებს. სწორედ ეს განმარტება გააკეთა ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხოსე გარსია მარგალიაომ, როდესაც პალესტინის და კოსოვოს საკითხებს შორის განსხვავებაზე საუბრობდა. მისი პოზიცია კი ჩვენთვისაც გასათვალისწინებელია, რადგანაც ესპანეთი საქართველოს მსგავსად არ აღიარებს კოსოვოს, მაგრამ მხარი დაუჭირა პალესტინის ახალ სტატუსს.

რაც შეეხება ისრაელთან ურთიერთობის გაუარესებას, აქ თელავივს თავად

ოჯახური ძანაღობის შემთხვევები აზიზბანიანში

სეიმურ ქაზიმოვი, ბაქო



ქმრებთან პრობლემური ურთიერთობების გამო, ქალები თავს საზოგადოებრივ გაერთიანება „სუფთა სამყაროს“ აფარებენ. ბაქო, 6 დეკემბერი 2012

ფოტო: ელვარ შუსტაზანაძე

სევიზე ჰ. 1986 წელს ბილასუვარის რაიონში დაიბადა. ოჯახში გოგონას განათლების უფლება ჩამოართვა და სახლში გამოკეტა. 18 წლისა რომ გახდა, სევიზე იმ კაცს გაჰყვა ცოლად, ვინც უყვარდა, თუმცა, მისი არაერთი თხოვნის მიუხედავად, ქორწინების რეგისტრირება ქმარმა არ ინდომა. ამ ქორწინებაში მას სამი შვილი შეეძინა.

თანაცხოვრების წლებში სევიზემა ძალა-

ღობა არაერთხელ ინენია საკუთარ თავზე. ქმარი, რომელიც ალკოჰოლს და ნარკოტიკებს ეტანებოდა, ცემდა და დაუსრულებლად შეურაცხყოფას აყენებდა. მეტიც, მისი მახლისა და მულის მოპყრობა სევიზის მიმართ წამებადაც კი შეიძლება კვალი იტოვებდეს. მეორე ორსულობის დროს ქმარმა დაუნდობლად ცემა, რის გამოც ბავშვი გულის მანკიანი დაიბადა. ბავშვის წვალბების შემყურე სევიზემა 2010 წელს

მისთვის ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. ოპერაციის შემდეგომ რეაბილიტაციის პერიოდი ერთ თვეს გაგრძელდა. ამ ხნის განმავლობაში, როცა სევიზე ბავშვს დღე და ღამე თავზე ედგა, ოჯახიდან დედა-შვილი არავის მოუკითხავს. შინ დაბრუნებიდან სამი დღის შემდეგ ქმარმა და მულმა სევიზე სასტიკად ცემეს. ქმარმა ის თმით ათრია, დანის მუქარით ოჯახი და ბავშვები დაატოვებინა და შინიდან გააგდო. ქალი

მამის ოჯახში დაბრუნდა, მისმა დამ დახმარებისათვის პოლიციას მიმართა. პოლიციას არანაირი ზომები არ მიუღია. უკვე ერთი წელია, სევიზჯს საკუთარი ბავშვები არ უნახავს. ოთხი თვე საზოგადოება „სუფთა სამყაროს“ მიერ დაარსებულ თავმესაფარში გაატარა, ახლა ნათესავებთან ცხოვრობს.

* * *

ბევრ ქვეყანაში ცხოვრების ტრადიციული წილი, ეროვნული წეს-ჩვეულებები გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში და განმტკიცებაში უზარმაზარ როლს თამაშობს. უმეტეს შემთხვევებში, ეს ელემენტები, მათ პოზიტიურ ასპექტებთან ერთად, ოჯახური ძალადობის წყაროდ და გამომწვევ მიზეზადაა ქცეული.

საზოგადოებრივი გაერთიანება „სუფთა სამყაროს“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, ოჯახებში ძალადობის მსხვერპლნი უმეტესად ქალები არიან. აზერბაიჯანის სასამართლოებში ქალების ცემის გამო ბევრი საქმე არაა აღძრული. „ეს ეროვნული წეს-ჩვეულებების სპეციფიკით აიხსნება: ქალის ცემა მასზე ძალადობად არ ითვლება, ამის გამო არც ქალები უჩივიან ქმრებს, მშობლებს ან ნათესავებს“, – წერია ორგანიზაციის ანგარიშში.

„სუფთა სამყაროს“ ხელმძღვანელის, მეჰრიბან ზეინალოვას თქმით, 2010 წელს აზერბაიჯანში ოჯახური ძალადობის ფაქტები ქალთა მკვლელობით 109-ჯერ დასრულდა; 2011 წელს ეს რიცხვი 135-მდე გაიზარდა, ხოლო 2012 წელს 53 ფაქტია აღნუსხული.

ზეინალოვა აღნიშნავს, რომ კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ არ არსებობს მისი ამოქმედების მექანიზმები. „ოჯახური ძალადობის ფაქტების დიდი ოდენობის მიუხედავად, საზოგადოება ამ მოვლენასთან აქტიურად ბრძოლის სურვილს არ ამჟღავნებს“. ზეინალოვას აზრით, ქალთა მიმართ ხშირი ძალადობის მიზეზი ისიცაა, რომ ქვეყანაში პოლიცია ძალიან ხშირად ქალის მხარეს არ იჭერს. „როცა ქალი პოლიციას მსგავსი განცხადებით მიმართავს, პირველი კითხვა, რომელიც მას ესმის, ესაა: „ასეთი რა ჩაიდინე, რომ თავი საცემარი გაიხადე? რაც, თავისთავად, უკვე აბსურ-

დაა“. მძიმე სოციალური პირობების გარდა, ქალთა მონაწილეობის ხვედრითი წილი ქვეყნის მართვამი ძალზე მცირეა, რაც გენდერული თანასწორობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

აინურ ელგუნეში, ქალთა პრობლემების მედიასაშუალებებით გაშუქების ექსპერტი ამბობს, რომ ქალების დანიშვნას ნებისმიერ მაღალ თანამდებობაზე ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებები ეწინააღმდეგება. „ქალისთვის საუკეთესო პროფესიებად ექიმობა ან მასწავლებლობა ითვლება. ჩვენი ქალები პროკურატურაში თუ შინაგან საქმეთა სამინისტროში ერთ

■ „სუფთა სამყაროს“ ხელმძღვანელის, მეჰრიბან ზეინალოვას თქმით, 2010 წელს აზერბაიჯანში ოჯახური ძალადობის ფაქტები ქალთა მკვლელობით 109-ჯერ დასრულდა; 2011 წელს ეს რიცხვი 135-მდე გაიზარდა, ხოლო 2012 წელს 53 ფაქტია აღნუსხული.

მაღალ თანამდებობაზეც არ არიან წარმოდგენილნი. აზერბაიჯანს არ ჰყავს არც ერთი ქალი მინისტრი. სამინისტროებში წამყვან თანამდებობებზე ქალები ასევე არ ინიშნებიან, მათი ხილვა მხოლოდ ზოგიერთი კომიტეტის თავმჯდომარეთა შორის შეიძლება. ერთ-ერთი ასეთი კომიტეტი ოჯახის, ქალთა და ბავშვთა პრობლემების კომიტეტია. ელგუნეშის თქმით, ქვეყანას 19 ქალი დეპუტატი ჰყავს, მათი უმეტესობა პარლამენტის სამუშაო პროცესში, ასევე ვეტყვით, სრულიად უხილავია. „საკმარისია, საძიებელში აკრიფოთ მათი სახელი, რომ დარწმუნდებით: მათი გვარ-სახელები არანაირ საქმიანობას არ უკავშირდება“.

სტატიაზე მუშაობის დროს გადავწყვიტეთ, ქალი დეპუტატები „გუგლით“ მოგვეძიებინა და ოჯახურ ძალადობაზე მათი აზრი შეგვეცყო. საკუთარი აზრი ამ პრო-

ბლემაზე მხოლოდ ორ მათგანს აღმოაჩინდა. ერთ-ერთი ასეთი ქალბატონი გულნარ აჰმადოვა იყო, თუმცა, საუბრისას გაირკვა, რომ ეს ქალბატონი დღეს დეპუტატი აღარ არის. მეორე, განირა ფაშაევა, საკუთარ ინტერვიუებში და „ფეისბუქის“ გვერდზეც ხშირად საუბრობს ქალთა ძალადობის შესახებ. ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობს: „მთელი საზოგადოება, სახელმწიფო დაწესებულებები, საკანონმდებლო ორგანო, არასამთავრობო ორგანიზაციები, პრესა, მასმედია – ყველანი ერთად უნდა დავედგეთ და წინ აღვუდგეთ ქალთა მიმართ ძალადობას. ამგვარი ტრაგედიები არ უნდა ხდებოდეს. არ უნდა დაგვაინწყდეს, რომ ოჯახებიდან მომდინარე პრობლემები მოგვიანებით საზოგადოებას უფრო დიდ პრობლემად მოუბრუნდება ხოლმე“. მეჰრიბან ზეინალოვა ამბობს, რომ ჩვენი დეპუტატები ამ თვალსაზრისით ძალზე პასიურები არიან. „რეგიონებში ქალებს, უბრალოდ, კლავენ, მაგრამ გასხენდებათ რომელიმე შემთხვევა, რომ მსგავსი ფაქტის გამო რომელიმე დეპუტატს განგამი აეტყოს, თუნდაც წუხილი გამოეხატოს? მე ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ორ კამპანიაში ვმონაწილეობდი. ერთ-ერთ აქციაზე სახეები ნითელი საღებავით შევიღებეთ და პრესკონფერენციაზე ასე ვისხედით, მეორედ მრგვალ სადისკუსიო მაგიდას ასეთივე „სისხლიანი“ პერანგებით ვესხედით“.

* * *

2012 წლის ნოემბერში აზერბაიჯანში შემზარავი ფაქტი გახმაურდა: ოჯახის უფროსმა საკუთარი ცოლი და ქალიშვილი დახოცა. მაშინ სამართალდამცავების და ინტელექტუალების ჯგუფმა ქვეყნის პრეზიდენტს, ილჰამ ალიევის საგანგებო მიმართვა გაუგზავნა, რომლითაც ხელმომწერებმა ოჯახურ ძალადობასთან საბრძოლველად საგანგებო პოლიციის შექმნა, ქალი პოლიციელების რაოდენობის გაზრდა, ქალის სოციალური ცნობიერების ასამაღლებლად საგანგებო გადაცემების მომზადება და სხვა ზომების მიღება მოითხოვეს. ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის პრობლემა აზერბაიჯანში მხოლოდ ახლა იკრებს საზოგადოების ყურადღებას. **□**



ბარამბო - ახალი ბიზნესი

საკონდიტრო საწარმო „ბარამბოში“, რომლის დიდი წილიც ბიზნესმენ იაგო ჩოჩელს და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეგობარს, ლუხუმ კაპანაძეს ეკუთვნით, საპარლამენტო არჩევნებიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ წილების გადაფორმების პროცესი დაიწყო. რა შეიცვლება „ბარამბოსთვის“ კომპანიაში წილების გადათამაშებით და ახალი პოლიტიკური რეალობით?

მანანა ვარდიანი

2012 წლის 7 ნოემბერს იაგო ჩოჩელმა შპს „ბარამბოში“ მის საკუთრებაში არსებული 66,25%-იანი წილი დას, მარი ჩოჩელს აჩუქა. გაჩუქებული წილის ნომინალური ღირებულება 8 999 100 ევროა. მეორე დღეს საკუთარი წილი ლუხუმ კაპანაძემაც გააჩუქა. 3 054 600 ევროს ღირებულების 22,5%-

იანი წილი ლუხუმ კაპანაძემ ძმას, უჩა კაპანაძეს აჩუქა. საკონდიტრო კომპანიის მთავარი მენილეების მიერ წილების გაჩუქების პროცესს წინ წარმატებული ბიზნესის შექმნისა და კეთების თითქმის სამწლიანი ხანა უძღოდა. ყველაფერი კი ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენებისთვის გან-

საკუთრებული ხელისშეწყობის კარგად აპრობირებული სქემით წარიმართა.

როცა ხელი ხელს ბანს

2009 წლის მინურულს საგადასახადო კოდექსში ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც, 2010 წლის 1 იანვრიდან შოკოლადის პროდუქციის

იმპორტი 12-პროცენტის საბაჟო დაბეგვრის რეჟიმში მოექცა (დაბეგვრის 12-პროცენტის რეჟიმი მხოლოდ იმ ქვეყნებიდან შემოსულ საქონელს ეხება, რომლებთანაც საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმებული არა აქვს. ასეთია, მაგ., ევროკავშირი. შესაბამისად, საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული პროდუქციის სარეალიზაციო ფასის მატებას იწვევს – მ.ვ.).

საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანიდან ორიოდე თვეში ბაზარზე ქართული საკონდიტრო კომპანია – „ბარამბო“ ამოქმედდა. „ბარამბოს“ ლოგოთი შოკოლადის ფილა, შოკოლადის ბატონი, ასორტი და კარამელის კანფეტი საქართველოს სავაჭრო ქსელში 2010 წლის 20 თებერვალს გამოჩნდა. კომპანიამ, რომელიც ამჟამად 114 დასახელების პროდუქტითაა წარმოდგენილი, საწარმოს გახსნიდან სულ მოკლე ხანში ტკბილეულის ადგილობრივი ბაზრის 30% დაიკავა.

შპს „ბარამბო“ 2009 წლის 11 მარტს არის დარეგისტრირებული. საჯარო რეესტრის ბაზაში არსებული მონაცემების თანახმად, შპს „ბარამბო“ „ერთპიროვნული“ ხელმძღვანელი იაგო ჩოჩელია. თუმცა, მას კომპანიაში კიდევ 2 პარტნიორი ჰყავს: შს ყოფილი მინისტრის, ვანო მერაბიშვილის მეგობარი და ნდობით აღჭურვილი პირი – ლუხუმი კაპანაძე და ნიკოლოზ შაქარიშვილი.

შპს „ბარამბო“ საწესდებო კაპიტალი 12 176 000 (12 მლნ ასსამოცდათექვსმეტი ათასი) ევროთი არის განსაზღვრული. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში პარტნიორთა შენატანები და შესაბამისად, მოგებიდან წილი შემდეგი პროპორციითაა განსაზღვრული:

1. იაგო ჩოჩელი – შენატანი 8 066 600 (რვა მლნ სამოცდაექვსათასი) ევრო, წილი 66.25%.
2. ლუხუმი კაპანაძე – შენატანი 2 739 600 (ორი მლნ შვიდასოცდაცხრამეტიათას ექვსასი) ევრო, წილი – 22.5%.
3. ნიკოლოზ შაქარიშვილი – შენატანი 1 369 800 (ერთი მლნ სამასსამო-

ცდაცხრათას რვაასი) ევრო, წილი – 11.25%.

სტუდია „მონიტორის“ მიერ მოკვლევითი ინფორმაციით, ლევან (ლუხუმი) კაპანაძე ახალციხის N5 საშუალო სკოლაში ვანო მერაბიშვილზე ერთი წლით წინ სწავლობდა. რუსული ოფიციალური ვებგვერდებიდან ირკვევა, რომ ის დასავლეთ ციმბირის ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოს დირექტორი იყო, 2006 წლიდან დღემდე კი რძის პროდუქტების ფაბრიკის – „სიტოქსის“ დირექტორია.

ლუხუმი კაპანაძემ საქართველოში ბიზნესი სააკაშვილის ხელისუფლების მოსვლიდან მოკლე ხანში დაიწყო და სხვადასხვა ფირმა დააარსა. მას ეკუ-

■ საკონდიტრო კომპანიის მთავარი მენილეების მიერ წილების გაჩუქების პროცესს წინ წარმატებული ბიზნესის შექმნისა და კეთების თითქმის სამწლიანი ხანა უძღოდა. ყველაფერი კი ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენებისთვის განსაკუთრებული ხელისშეწყობის კარგად აპრობირებული სქემით წარიმართა.

თვინის „ლემისე კომპანიც“, რომელმაც სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, სააკაშვილის ხელისუფლებისგან სიმბოლურ ფასად იყიდა და 1 ლარად შეძენილი ასეულობით ჰექტარი მიწის ნაკვეთის გაყიდვის შედეგად 27 მილიონამდე დოლარის შემოსავალი დააგროვა.

„ბარამბოს“ „ერთპიროვნული“ ხელმძღვანელი და დირექტორი იაგო ჩოჩელი მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორის, ცეზარ ჩოჩელის ძმაა. ცეზარ ჩოჩელის მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, მისი გუბერნატორობის პერიოდში, 2008 წლის თებერვლიდან 2012 წლის 22 ნოემბრამდე, მის უძრავ-მოძრავ ქონებას მინდობილობით სწორედ იაგო ჩოჩელი მართავდა. ზეპირი შეთანხმების თანახმად, მასვე ჰქონდა გადაცემული სამართავად 5,9 მლნ დოლარის ოდენობის თანხა.

იაგო ჩოჩელს „ბარამბოს“ გარდა სოლიდური წილი აქვს ლუდსახარშ „ზედაზენში“, საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და ჰიგიენური პროდუქტების მწარმოებელ კომპანია „ბერტაში“, შპს „მიქსორში“, შპს „ლარმაქსსა“ და შპს „ინტერპლასტში“.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ინიციატივით გასულ წელს ჩატარებულ ბიზნეს-დაჯილდოების ცერემონია „მერკური 2011“-ზე ნომინაციაში – წლის აღმოჩენა კომპანია „ბარამბომ“ გაიმარჯვა. იაგო ჩოჩელს პრიზი თბილისის მერმა გიგი უგულავამ გადასცა. ამ „აღმოჩენიდან“ რამდენიმე თვის

შემდეგ, 2011 წლის დეკემბერში თბილისის მერიამ „ბარამბოსგან“ ნახევარი მილიონი ლარის შოკოლადი შეიძინა. მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მხოლოდ „ბარამბომ“ მიიღო და მანვე გაიმარჯვა. საკონდიტრო კომპანიასთან ანგარიშსწორება 2011 წლის ბიუჯეტის სახსრებით მოხდა.

სამთავრობო სტრუქტურებს შორის „ბარამბოს“ ყველაზე მსხვილი დამკვეთი კი შინაგან საქმეთა სამინისტროა: ბოლო ორი წლის განმავლობაში შსს-მ „ბარამბოსგან“ 1 მლნ 261 ათასზე მეტი ლარის ღირებულების ტკბილეული შეიძინა.

გასულ წელს „ბარამბომ“ შსს-გან 502 671 ლარის შოკოლადის ნაწარმის დაკვეთა მიიღო. 2011 წლის 11 მარტს დადებული 138 ხელშეკრულების თანახმად, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა „ბარამბოსგან“



■ სტუდია „მონიტორის“ მიერ მოკვლეული ინფორმაციით, ლევან (ლუხუმ) კაპანაძე ახალციხის N5 საშუალო სკოლაში ვანო მერაბიშვილზე ერთი წლით წინ სწავლობდა. ის დასავლეთ ციმბირის ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოს დირექტორი იყო, 2006 წლიდან დღემდე კი რძის პროდუქტების ფაბრიკის – „სიტოქსის“ დირექტორია.

383 977 ლარის ღირებულების შოკოლადი შეიძინა. ზუსტად 4 დღის შემდეგ, „ბარამბოსთან“ კიდევ ერთი ხელშეკრულება გაფორმდა. 2011 წლის 15 მარტს დადებული 151 ხელშეკრულების თანახმად, შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტმა კომპანიისგან 118 694 ლარის ღირებულების – 12 750 კგ შოკოლადი „ბარამბო“ შეიძინა.

758 702 ლარის შოკოლადი შეიძინა „ბარამბოსგან“ შსს-მ 2012 წელსაც. 2012 წლის 17 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორმა, თეიმურაზ კუჩინაიძემ შპს „ბარამბოსთან“ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (N120) გააფორმა და თანამშრომლებისთვის 569 999 ლარის ღირებულების „ბარამბოს“ ტკბილეული შეიძინა. დაფინანსების წყარო ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ბიუჯეტი იყო. შესყიდვების

სამსახურის მიერ გამოცხადებულ ტენდერში კიდევ ერთი კომპანია – „კონტინენტალ მეიქერი“ მონაწილეობდა, რომელმაც ტექნიკური დოკუმენტაციის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.


2012 წლის 26 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურმა საპატრულო პოლიციისა და საბაჟო სამსახურის თანამშრომლებისთვის კვების პროდუქტების შეძენის მიზნით ერთობლივი ელექტრონული ტენდერი გამოაცხადეს. ტენდერში, „ბარამბოს“ გარდა, შპს „ლიდექსიც“ მონაწილეობდა, თუმცა „კონტინენტალ მეიქერის“ მსგავსად ამ კომპანიამაც ტექნიკური დოკუმენტაციის გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.

2012 წლის 30 მაისს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა „ბარამბოსთან“ ხელშეკრულება გააფორმა 188 703 ლარის ღირებულების ტკბილეულის – 158 574 ცალი შოკოლა-

დის ბატონის და ამავე რაოდენობის ვაფლის შეძენაზე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა კი 24-საათიან რეჟიმში მომუშავე მებაჟეების გამოკვების მიზნით 187 175 ლარის შოკოლადი და ვაფლი შეიძინა. ხელშეკრულების თანახმად, „ბარამბომ“ საქონლის მიწოდება 2012 წლის 31 დეკემბრამდე უნდა უზრუნველყოს. დაფინანსების წყარო ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო ბიუჯეტიცაა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ სახსრებს და სახელმწიფო სტრუქტურების თანადგომას იაგო ჩოჩელიც აფასებდა. ის წლების განმავლობაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი მსხვილი შემომწირველი იყო. 2012 წელს იაგო ჩოჩელი „ნაციონალურ მოძრაობას“ კანონით დაშვებული შემომწირულობის მაქსიმალური ოდენობით – 60 000 ლარით დაეხმარა. ყოფილ მმართველ პარტიას 8 ათასი ლარი შესწირა მისმა სიძემ (დის ქმარმა) ილია შიხაშვილმა, 4 ათასი ლარი ქვისლმა, თეიმურაზ ბაზუაშვილმა. სავარაუდოდ, იაგო და ცეზარ ჩოჩელები უნდა იდგნენ წეროვანის დეენილთა დასახლებაში მცხოვრები იმ შემომწირველების უკანაც, რომლებიც, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, „ნაციონალურ მოძრაობას“ სოლიდური თანხებით დაეხმარნენ.

რა შეიცვლება „ბარამბოსთვის“ კომპანიაში წილების გადათამაშებით და ახალი პოლიტიკური რეალობით? „მეწილეების ცვლილების მიუხედავად კომპანიის სამოქმედო სტრატეგიაში არაფერი შეცვლილა. მომავალში რა იქნება, არ ვიცი“, – ამბობს „ლიბერალთან“ საუბარში „ბარამბოს“ მარკეტინგის მენეჯერი თამაზ შარაბიძე. სამაგიეროდ, შესაძლოა თავად „ბარამბოსადმი“ ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება შეიცვალოს. გამორიცხული არ არის, ახალი პოლიტიკური ლანდშაფტის კონტურების ფორმირების პარალელურად შსს-ს და სხვა სამთავრობო სტრუქტურებს „ბარამბოს“ ტკბილეულისადმი ლტოლვა გაუქრეთ, ან უკიდურესად შეუმცირდეთ. ■



ქართული დოკუმენტური ფილმები 'მეცხრე არხზე'

ნანა მარდიასილო

თქვენ გიყვართ დოკუმენტური კინო? გიყვართ პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის ეს სინთეზი, რომელიც ანშყოს აკვირდება, აღნუსხავს და აანალიზებს? ყველაზე წარმავალი, ყველაზე მოუხელთებელი და ეფემერული დრო, ანშყო ხშირად სწორედ დოკუმენტურ კინოს აფარებს თავს, რათა თავი მომავალი თაობებისთვის გადაირჩინოს.

ქართული დოკუმენტური კინოს განვითარების ხელშეწყობა "მეცხრე არხზე" თავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად გამოაცხადა. არხი საინფორმაციოა და, ბუნებრივია, მის პროგრამაში პუბლიცისტური და საინფორმაციო გადაცემები ჭარბობს. დოკუმენტური კინო კი, როგორც უკვე ვთქვით, პუბლიცისტიკისა და მხატვრული ფორმის სინთეზს წარმოადგენს. ის ამ ორი პირობითობის ზღვარზე არსებობს და ამიტომ ზუსტად შეესაბამება არხის ზოგად კონცეფციას.

"მეცხრე არხი" თავის მაყურებელს პარტნიორად მიიჩნევს, თანამოსაუბრედ, რომელთანაც პარიტეტული ურთიერთობა აქვს და რომელთანაც ერთად ცდილობს გაერკვას მიმდინარე პოლიტიკურ და სოციალურ პროცესებში, დაადგინოს, რა არის უკეთესი ქვეყნის და თითოეული მისი მოქალაქის მომავლისათვის. ზუსტად ამ ინტონაციით მიმართავენ - მაყურებელს მეცხრე არხის დაკვეთით დამზადებული დოკუმენტური ფილმებიც, განსხვავებით იმ ტელემაუნუებლებისგან, რომლებიც თავს ინფანტილური მასის მენტორად მიიჩნევენ, ცდილობენ ჭკუა ასწავლონ აუდიტორიას, შეუცვალონ მსოფლხედვა და პროპაგანდის მსხვერპლად აქციონ.

აუცილებლად უყურეთ "მეცხრე არხის" ქართულ დოკუმენტურ ფილმებს ყოველ შაბათ-კვირას, გადადეთ ყველა საქმე და ხანგრძლივი, ყურადღებიანი მწერა მიაპყარით თქვენს თანამოქალაქეებს, ჩვენი მძიმე ყოველდღიურობის ამ ნამდვილ გმირებს; ისინი თავისებურად ებრძვიან და არ ეპუებიან სილატაკებს, რომელიც უცხო მხარეში მიერეკება; გიგანტური პესების მშენებლობას, რომელიც ჩვეულ გარემოს თავდაყირა უყენებს; ომის სისასტიკებს, ულმობელ ბანკებს, დე ფაქტო საზღვრის ხაზზე ცხოვრების მძიმე პირობებს და მარტოობას დადარიელებულ სოფლებში.

**უყურეთ
დოკუმენტურ
ფილმებს
შაბათ-კვირას
მეცხრე არხის
ეთერში**

www.tv9.ge



სიხე - ჩაბინიხასიის აღბიდი

„დასჯა მთავრდება იქ, სადაც პროკურატურა და შემდეგ სასამართლო განაჩენს გამოიტანს, ციხეში პატიმრის რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია უნდა დაიწყოს“.

თინა ყიფშიძე



■ „რეაბილიტაცია ციხის კართან არ სრულდება, უნდა დაგვავდეს ნორმალური სოციალური გარემო, რაც დანაშაულის ჩადენის რისკს ამცირებს. ციხის კარების მიხურვა და ინტეგრაციაში ხელის არშენყოფნა სახელმწიფოს დანაშაულია“, – ამბობს ქელბაქიანი.

დარჩათ. სხვადასხვა სარეაბილიტაციო სერვისის დახმარებით პატიმრები საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მოემზადებიან. კარგი ქცევისათვის ზოგიერთ მათგანს შაბათ-კვირით სახლში სტუმრობაც შეეძლება.

ციხის მშენებლობა 2012 წელს, ხელისუფლებაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფნის პერიოდში დაიწყო.

სასჯელალსრულების მინისტრის მოადგილის გიგა გიორგაძის თქმით, მშენებლობის დასრულებამდე შიდა მოსაწყობი სამუშაოები დარჩა. Halfway House 100 პატიმარზეა გათვლილი და ახალ ციხეში პატიმრებს სავარაუდოდ, გაზაფხულიდან მიიღებენ.

„აქ იქნება ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსები, იმუშავებენ ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები. გაიხსნება სამკურნალო, ხის, თიხის გადასამუშავებელი საწარმოები. იქნება ხელობის შესწავლის საშუალება. პატარა მეურნეობაც იქნება, სადაც პატიმრები დასაქმდებიან და შესაძლებელია, მათი მოყვანილი პროდუქცია ციხემ შეიძინოს“, – ამბობს გიორგაძე.

მისივე თქმით, ეს ციხე ერთადერთი არ იქნება და მომავალში მსგავსი ტიპის სხვა დაწესებულებების მშენებლობა იგეგმება.

პატიმრების რეაბილიტაციის თემაზე მომუშავე არასამთავრობოები Halfway House-ს მშენებლობის ფაქტს დადებითად აფასებენ, თუმცა იმავდროულად აღნიშნავენ, რომ ეს საკმარისი არაა.

პატიმრის რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია ციხეში შესვლისთანავე უნდა დაიწყო, სხვა შემთხვევაში, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, საზოგა-

დობა პატიმრის სახით ჯანსაღ მოქალაქეს კარგავს.

„ციხეში პატიმარი უსაქმოდ არ უნდა იყოს, ის მუდმივ რუტინულ ყოფაში უნდა იყოს ჩართული“, – ამბობს საერთაშორისო ორგანიზაციის „ციხის საერთაშორისო რეფორმა“ პროგრამების კოორდინატორი ირენე გაბუნია.

ციხეში პატიმრებისთვის სხვადასხვა სერვისის შეთავაზება შეიძლება. ფსიქოლოგიური და თერაპიული კურსების გარდა, განსაკუთრებით ეფექტიანი მათი რაიმეთი დასაქმებაა. გაბუნიას თქმით, ეს შეიძლება ნებისმიერი სახელობო საქმიანობა თუ საგანმანათლებლო კურსი იყოს.

„სამუშაო პროგრამებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ერთი წლის წინ ვიყავი ტურინის ციხეში, გახსნილი ჰქონდათ პურ-ფუნთუშეულის მალაზია, სადაც პატიმრები იყვნენ დასაქმებულნი. დღესასწაულებზე განსაკუთრებით მრავალფეროვანი არჩევანი ჰქონდათ ხოლმე. ძალიან კარგი იქნება ამის საქართველოში დანერგვა“, – ამბობს ირენე გაბუნია.

პატიმრების დასაქმების მცდელობა ციხეში აქამდეც იყო. რამდენიმე ციხეში პურის საცხობია გახსნილი, სადაც პატიმრები მუშაობენ. გაბუნიას თქმით, ასეთ პროგრამებს მხოლოდ ფრაგმენტული ხასიათი აქვს და ციხეში პატიმრის რეაბილიტაციის სისტემური პროგრამა არ არსებობს.

წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის წარმომადგენლის, ლელა ცისკარიშვილის თქმით, პატიმართა რეაბილიტაცია საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკის მიხედვით

გლდანის N8 დაწესებულების გვერდით ახალი ციხე შენდება. მას Halfway House-ად მოიხსენიებენ, რაც ხაზს უსვამს, რომ ამ ციხის კონცეფცია და დანიშნულება დანარჩენი ციხეებისგან განსხვავდება. Halfway House-ი ნახევრად ღია ტიპის ციხეა, სადაც იმ პატიმრებს გადაიყვანენ, რომლებსაც გათავისუფლებამდე რამდენიმე თვე

უნდა განხორციელდეს, რაც ციხეში შესვლისას პატიმრისთვის ინდივიდუალური გეგმის შედგენას გულისხმობს. ეს გეგმა პატიმრის საჭიროებებს და რესურსებს ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს.

სასჯელალსრულების დაწესებულებას პატიმრისთვის სხვადასხვა პროგრამის შეთავაზების საშუალება უნდა ჰქონდეს. დასაქმება, სახელობო კურსი, ბრაზის მართვის და ფსიქოლოგიური სარეაბილიტაციო პროგრამები. ასევე უნდა იყოს განათლების შეთავაზების შესაძლებლობაც“, – ამბობს ცისკარიშვილი, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ რაოდენობის პატიმრებისა და რესურსების პირობებში ამის განხორციელება ძალიან გრძელვადიან პერსპექტივად ესახება.

პატიმრების რეაბილიტაცია ძალიან კომპლექსური პროცესია და მათ მიერ დანაშაულის განმეორებით ჩადენის პრევენციისთვის სახელმწიფომ მათთან კავშირი ციხიდან გამოსვლის შემდეგაც უნდა შეინარჩუნოს.

იუსტიციის სამინისტრომ ყოფილი პატიმრების რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისათვის სამუშაოების ჩატარება უკვე დაიწყო. სამინისტროს დანაშაულის პრევენციისა და ინოვაციური პროგრამების ცენტრი სოციალური მუშაკების აყვანას იწყებს, რომლებიც ყოფილი მსჯავრდებულების პირველად ფსიქო-სოციალურ შეფასებას მოახდენენ და მათი ოჯახის წევრებთან იმუშავენ. საბოლოოდ რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმა შემუშავდება.

„ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში სახელმწიფოს ევალება ეს ადამიანები საზოგადოებას სრულფასოვან წევრებად დაუბრუნდნენ და ამასთან ერთად, მათ მიმართ დახმარების გზით მათი ციხეში მოხვედრის შესაძლებლობა აღკვეთოთ“, – ამბობდა იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი პროგრამის პრეზენტაციაზე.

თავდაპირველად 5 სოციალურ მუშაკს აიყვანენ, რაც, რა თქმა უნდა, არასაკმარისია. ამასთან ერთად იუსტიციის სამინისტროს პრევენციის

ცენტრი არასამთავრობოებისათვის გრანტების გამოყოფას იწყებს. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეეძლება პატიმრებისათვის რეაბილიტაციის სერვისები მოამზადონ და სახელმწიფოსთან ითანამშრომლონ.

ლელა ცისკარიშვილის აზრით, პატიმართან კავშირი სახელმწიფომ ციხიდან გამოსვლის შემდეგაც უნდა შეინარჩუნოს, უნდა მოხდეს სტრუქტურებს შორის კოორდინაცია და ყოფილი პატიმარი პრობაციის სამსა-

სები უფრო მაღალია, ეს განსაკუთრებით, წვრილმან დანაშაულს ეხება.

„ყოფილი პატიმრები ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით და მათი რესურსებით უნდა დასაქმდნენ. შეიძლება ეს ნაკლებად ანაზღაურებადი იყოს, მაგრამ საჭიროა ადამიანმა შრომითი გამოცდილება მიიღოს. არსებობს უამრავი სამშენებლო პროექტი. საჭიროა სასწავლო-სახელობო კურსებიც. ნაკრვადამოკიდებულების მქონე პატი-

■ ყოფილ მსჯავრდებულებთანაც დიფერენცირება უნდა მოხდეს. იქ, სადაც ძალადობრივი დანაშაულია ჩადენილი, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციაა საჭირო, ასევე უნდა იყოს დასაქმების ხელშეწყობა, უნარების ათვისების განვრცობილი მოდულები. ამასთან ერთად, ციხეში უნდა იწყებოდეს დანაშაულის გენეზისი, ანუ პატიმარმა ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს“, – ამბობს ცისკარიშვილი.

ხურის მხედველობის არეში დარჩეს. მნიშვნელოვანია ის გარემოც, სადაც პატიმარი ბრუნდება. ხშირად გარემო განაპირობებს დანაშაულის ჩადენას. აუცილებელია ოჯახთან მუშაობა, რადგანაც, როგორც წესი, გაუცხოვება საკმაოდ ძლიერია.

„ყოფილ მსჯავრდებულებთანაც დიფერენცირება უნდა მოხდეს. იქ, სადაც ძალადობრივი დანაშაულია ჩადენილი, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციაა საჭირო, ასევე უნდა იყოს დასაქმების ხელშეწყობა, უნარების ათვისების განვრცობილი მოდულები. ამასთან ერთად, ციხეში უნდა იწყებოდეს დანაშაულის გენეზისი, ანუ პატიმარმა ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობა უნდა იგრძნოს“, – ამბობს ცისკარიშვილი.

ირენე გაბუნია ყოფილი მსჯავრდებულების სრულყოფილი რესოციალიზაციისათვის აუცილებლად მათ დასაქმებას მიიჩნევს. რაკი პატიმრების უმეტესობა სოციალურად დაუცველია, დანაშაულის განმეორების შან-

სებისათვის კი სარეაბილიტაციო, ჩანაცვლებითი სერვისებია საჭირო. ეს ყველაფერი დანაშაულის რეციდივის შემცირებისკენ მიგვიყვანს“, – ამბობს გაბუნია.

ირენე გაბუნია კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ რეაბილიტაცია ციხეშივე უნდა დაიწყო. საზოგადოებამ პატიმრის სახით მოქალაქე არ უნდა დაეკარგოს.

„პენიტენციალურ სისტემაში მოხვედრილი პირის მიმართ დასჯა აღარ უნდა იყოს მიზანი, მთავარი მიზანი ამ პირის რეაბილიტაცია, რესოციალიზაცია და უკან საზოგადოებაში დაბრუნებაა. დასჯა მთავრდება იქ, სადაც საგამოძიებო ორგანოები, პროკურატურა და სასამართლო განაჩენს გამოიტანს“, – ამბობს გაბუნია.

როგორც ჩანს, სასჯელალსრულების სისტემაში, მართალია, ჯერ ფრაგმენტულად, მაგრამ ცვლილებები მაინც დაიწყო. ავჭალის N11 დაწესებულება, რომელიც არასრულწლოვნებისთვისაა

განკუთვნილი, მნიშვნელოვნად იცვლება. ამჟამად აქედან არასრულწლოვანი მსჯავრდებულები სხვადასხვა ციხეში არიან გადანაწილებულები, ავჭალაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

„იცვლება ინფრასტრუქტურაც, საკადრო პოლიტიკაც. ყალიბდება გუნდი, რომელიც, ძირითადად, საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო მიმართულებით იმუშავებს. იქნება ინდივიდუალური მიდგომა და თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა შედგება“, – ამბობს ციხის დირექტორი ტატო ქელბაქიანი „ლიბერალთან“ საუბრისას.

შეისწავლიან თითოეული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პიროვნულ მიდრეკილებებს, ღირებულებებს, ოჯახის მდგომარეობას და ა.შ. ინდივიდუალური გეგმის მიზანი იმ

რისკების აღმოფხვრა იქნება, რის გამოც ბავშვმა დანაშაული ჩაიდინა, ეს შეიძლება ოჯახის ან გარემოს მავნე გავლენის, განათლების ნაკლებობის ან სხვა ფაქტორის შედეგი იყოს, შესაბამისად, მათი შეცვლაა საჭირო.

„მთელ ამ პროცესში ბავშვის ინტერესებიც და სურვილიც გათვალისწინებულია, თუმცა განსაკუთრებული აქცენტი განათლებაზე გაკეთდება. მთავარი ამოცანაა მოზარდის განვითარება შემოსვლიდან გასვლამდე არცერთი წუთით არ შეჩერდეს“, – ამბობს ტატო ქელბაქიანი.

მოზარდთან მუშაობის გარდა ქელბაქიანი ოჯახთან და გარემოსთან მუშაობასაც გეგმავს. მისი თქმით, უზრუნველყოფილი იქნება, რომ მოზარდი ციხეში შესვლისას და შემდეგ გამოსვლისას საგანმანათლებლო პროცესს არ მოწყდეს, გათვალისწინე-

ბული იქნება მათი დასაქმებაც.

„რეაბილიტაცია ციხის კართან არ სრულდება, უნდა დაგხვდეს ნორმალური სოციალური გარემო, რაც დანაშაულის ჩადენის რისკს ამცირებს. ციხის კარების მიხურვა და ინტეგრაციაში ხელის არშეწყობა სახელმწიფოს დანაშაულია“, – ამბობს ქელბაქიანი.

პატიმრების რეაბილიტაციის საკითხს განსაკუთრებულ სიმძაფრეს ამნისტიის შედეგად რამდენიმე ათასი პატიმრის გათავისუფლება სძენს. სახელმწიფომ უნდა მოახერხოს, რომ დასჯასა და წამებაზე ორიენტირებული სისტემიდან რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე ფოკუსირდეს. ეს, რა თქმა უნდა, გრძელვადიანი, ძვირი და შრომატევადი საქმეა, თუმცა ცივილიზებული ქვეყნისა და ჯანსაღი საზოგადოებისათვის – აუცილებელი. ■

RadioCommersant

marketing@commersant.ge
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო

Commersant.ge

კომენტარი

ციხეხანი "ნაციონალიზმი" ხონხოხდახის ღამსვინად?

(სახანხო ღამსვინოხის ხანღიღახის "ბაშინახის" მსღეღოხის შინახახ)

როგორც ჩანს, ნაცმოძრაოხაში პრინციპი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ კვლავ სათაყვანო კერპის ფუნქციას ასრულებს, რომელიც პირადი მსოფლმხედველოხისა და პოზიციის შენირვას ითხოვს.

ღავით თინიკაშვილი

ნ დეკემბერს სახალხო დამცველო-ხის კანდიღატი, უჩა ნანუაშვილი სა-პარლამენტო უმცირესოხის შეკითხვე-ხს პასუხოხდა.

ნაციონალურმა მოძრაოხამ ხელი-სუფლებაში ყოფნისას ლიბერალური ღირებულებეხის პატივისმცემელი მთავროხის იმიჯი შეიღინა და ეს ასეც იყო, თუ გავითვალისწინებთ მათ მიერ უმცირესოხეხის დაცივის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. აქ, პირ-ველ რიგში, გასული წლის ზაფხულში რელიგიური უმცირესოხეხისთვის სა-ჯარო სტატუსით დარეგისტრირეხის საშუალებეხის მიცემას ვგულისხმობ. ეს მართლაც გაბედული და ღირსეული ინიციაცივა იყო. სხვა საკითხია, თუ რამდენად წარმატებით იქნა განხორ-ციელებული ის, მაგრამ მცდელოხა ფრიად დასაფასებელია.

ამ ფონზე ძალზედ უცნაურად ჟღერდა სხენებული „დაკითხეხის“ დროს ნაცმოძრაოხის ერთ-ერთი წე-ვრის, ხათუნა გოგორიშვილის მიერ დასმული მორიგი შეკითხვა, რომელიც ეხებოდა საკონსტიტუციო შეთანხმე-ხას საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და საქართველოს სახელ-მნიფოს შორის (ე.წ. კონკორდატს). გოგორიშვილი განანყენებული ტო-ნით მიუთითებდა სახალხო დამცვე-ლოხის კანდიღატს, რომ მისი ორგა-ნიზაციის – „ადამიანის უფლებათა დაცივის ცენტრის“ დამოკიდებულება

კონკორდატის მიმართ არამართებუ-ლია. კერძოდ, ნახსენები იქნა ამ ორ-განიზაციის მიერ 2008 წელს გამოცე-მული ანგარიში – State of Freedom of Religion in Georgia since the adoption of Constitutional Agreement between the Government and Orthodox Church

■ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მინიჭებული პრივილეგიებით სარგებლოხის უფლება უნდა მიეცეს სხვა რელიგიებსაც; საკონსტიტუციო შეთანხმება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

of Georgia, Religious Freedom Report _ Human Rights Centre 4/25/2008, რომელშიც კონკორდატი დისკრიმინა-ციულად არის შეფასებული.

გოგორიშვილმა კონკორდატისადმი ყოფილი სახალხო დამცველის, სო-ზარ სუბარის ანგარიშის კრიტიკული

დამოკიდებულებაც გაიხსენა და იქვე ღიმღისმომგვრელად დასვა შემდეგი შეკითხვა: ხომ არ არის განპირობე-ბული ასეთი ნეგატიური პოზიციია ამ დოკუმენტისადმი თქვენი და სოზარ სუბარის ახლო ურთიერთობითა და მეგობრობით?

უჩა ნანუაშვილმა უპასუხა, რომ სო-ზარ სუბარი არ არის მისი მეგობარი, ხოლო კონკორდატში „დისკრიმინა-ციული ელემენტები ნამდვილად არ-სებობს და ეს დისკუსიის საგანი უნდა გახდეს, საზოგადოება უნდა ჩაერთოს ამ საკითხთან დაკავშირებულ განხილ-ვებში“.

სანამ კონკორდატზე მსჯელოხას შეუდგებოთ, საჭიროა მცირე გან-მარტება: არასწორია, როდესაც სა-ქართველოს მართლმადიდებელ ეკ-ლესიასა და სახელმნიფოს შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შე-თანხმება იხსენიება „კონკორდატად“, რადგან ასე იწოდება მხოლოდ ის სა-ერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ფორმდება წმინდა საყდარსა (ვატი-კანის სახელმნიფოს სამართლებრივი სახელწოდება) და სხვა ქვეყნის მთა-ვრობას შორის.

ღავინყოთ იმით, რომ საკონსტიტუ-ციო დონის ეს შეთანხმება უპრეცე-დენტო პიბრიღია: ერთი მხრივ, ქარ-თული საკონსტიტუციო შეთანხმება წარმოადგენს შეთანხმებას სახელმნი-ფოსა და ამავე სახელმნიფოში არსე-

ბულ ეკლესიას შორის, რომელსაც მხოლოდ კანონის ძალა უნდა ჰქონდეს (ასეთი სამართლებრივი სტატუსი აქვს მას ყველა სხვა ქვეყანაში), მაგრამ, მეორე მხრივ, ის ატარებს საერთაშორისო ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს: მას ხელს აწერს ქვეყნის პრეზიდენტი, კანონთან წინააღმდეგობის შემთხვევაში მას უპირატესი ძალა ენიჭება და სხვა. ამგვარ შეთანხმებას მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება [1].

ევროპულ ექსპერტთა დასკვნები ამ დოკუმენტზე საკმაოდ ნეგატიურია. მაგ., ლეიდენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, ევროკავშირის სამართლის ექსპერტი, რიკ ლოუსონი დაწვრილებით განიხილავს საკონსტიტუციო შეთანხმებას. მისი დასკვნით, მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მინიჭებული პრივილეგიებით სარგებლობის უფლება უნდა მიეცეს სხვა რელიგიებსაც; საკონსტიტუციო შეთანხმება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას [2]. ამ საკითხზე არსებობს ასევე ლატვიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორის, რინგოლდს ბალოდისის შეფასებაც [3].

კონკორდატის „საკამათო მუხლებზე“ და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის „ექსკლუზიური უფლებების“ მინიჭებაზე საუბარი ასევე ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშშიც საქართველოში რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ [4].

ამრიგად, საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან ქართული „კონკორდატის“ შეუსაბამობა ცხადია.

აღნიშნული საკონსტიტუციო შეთანხმება თავად საქართველოს კონსტიტუციასაც ეწინააღმდეგება, რომლის ძალითაც გარანტირებულია ყველა მოქალაქის თანასწორობა. კონსტიტუციის მე-14 მუხლში ვკითხულობთ: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.



ასევე ადეკვატურად არის შეფასებული კონკორდატი სახალხო დამცველის 2006 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც. სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა სფეროში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის მინიჭებული უფლებებისა და პრივი-

ლეგიების მიმოხილვის შემდგომ, ანგარიშში აღნიშნულია: „...სახელმწიფო ამ პრივილეგიებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს, ამით კი ფაქტობრივად ირღვევა კონსტიტუციითა (38 მუხლი) და საერთაშორისო ხელშეკრულებით აღიარებული თანასწორობისა და არადისკრიმინაციის ფუნდამენტური პრინციპი“ [5].

ამრიგად, სრულიად ნათელია სახელმწიფოს დემოკრატიული და ლიბერალური განვითარების დეკლარირებულ მიზნებთან ხსენებული „კონკორდატის“ შეუთავსებლობა.

ყოფილი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის ანგარიშს სამწუხაროდ, არ მოჰყოლია ადეკვატური რეაქცია. მაშინდელმა საპარლამენტო უმრავლესობამ ანუ „ნაცმოდრობამ“ განაცხადა, რომ ეკლესიასთან დადებული საკონსტიტუციო შეთანხმება გადახედვას არ დაექვემდებარება. საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში „2005 კალენდარული წლის პირველ ნახევარში ადამიანთა უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ“ სახალხო დამცველის მოხსენების თაობაზე მე-3 პარაგრაფში ვკითხულობთ: „საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ, საზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური პრინციპები ხელშეუხებელია და არ ექვემდებარება გადახედვას“ [6].

კერძოდ, რატომ არის მიუღებელი ეს დოკუმენტი? უსაგნო საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, დავასახელოთ კონკორდატის ის უმთავრესი მუხლე-

ბი, რომლებიც კონსტიტუციით გა-რანტირებული ყველა ჯგუფის (მიუხე-დავად რელიგიური და სხვა ნიშნისა) თანასწორობის პრინციპთან შეუთავ-სებლად მიიჩნევა:

1. საგადასახადო შეღავათების (ზო-გჯერ კი სრული გათავისუფლება) მხოლოდ ერთი კონფესიისთვის მი-ნიჭება;

2. საჯარისო ნაწილებში, სასჯე-ლალსრულებით დაწესებულებებსა და საავადმყოფოებში კაპელანის (მოძლ-ვრის) ინსტიტუტის შემოღების უფლე-ბა მხოლოდ ერთი კონფესიისთვის;

3. სამხედრო სავალდებულო სამსა-ხურისგან მხოლოდ ერთი კონფესიის სასულიერო პირების გათავისუფლება;


4. სასწავლებლებში პედაგოგთა შერჩევის, დანიშვნისა და გათავისუ-ფლების უფლების მინიჭება მხოლოდ ერთი კონფესიისთვის (უფრო ზუს-ტად: ამგვარი ქმედებების განხორციე-ლება „ეკლესიის წარდგინებით“).

5. კონკორდატის ძალით ეკლესიის საკუთრებადაა გამოცხადებული არა მხოლოდ მუზეუმებში დაცული სა-განძურის ნაწილი, არამედ უძველესი მონასტრების ნანგრევებიც გარშემო არსებული მიწის ფართობების ჩა-თვლით (მუხლი 7 და 8). აღნიშნული გარემოების გამო არქეოლოგები ხში-რად დაბრკოლებებს აწყდებიან სა-პატრიარქოსა და ტაძრის მსახურთა მხრიდან საკუთარი კვლევების წარ-მოების დროს.

საინტერესოა, როგორი დამოკიდე-ბულება აქვთ კონკორდატისადმი სხვა კონფესიებს. საპატრიარქოს ყოფილი საპარლამენტო მდივანი, ბ-ნი გიორგი ანდრიაძე აცხადებდა: „...კონსტიტუ-ციური შეთანხმების გაფორმება არა-ნაირ პრობლემას არ უქმნის სახელ-მწიფოში სხვადასხვა რელიგიას. მათი მხრიდან ერთობლივი განცხადებების გაფორმება, რომლის მიხედვითაც მათ სრული მხარდაჭერა გამოუცხა-დეს აღნიშნულ პროცესს, იყო იმის მაჩვენებელი, რომ ეს სამართლებრი-ვი მოდელი მისაღებია საქართველო-ში არსებული სხვა რელიგიებისთვისაც“ [7].

რელიგიური უმცირესობების წარ-მომადგენლები ასე არ ფიქრობენ და კარგი იქნებოდა, თუ მათ ნაცვლად არ ისაუბრებდა ბ-ნი ანდრიაძე. ცნო-ბილია, საპატრიარქომ პირობა დადო, რომ კონკორდატის გაფორმების შე-მდეგ მათი (რელ. უმცირესობების) იურიდიული სტატუსის საკითხიც გადაწყდებოდა, თუმცა იმ პირობით, რომ მათ ჯერ წერილობითი უნდა გა-მოეთქვათ თანხმობა სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შო-რის საკონსტიტუციო შეთანხმების დადებაზე. თუმცა, შემდეგ რელი-გიური უმცირესობებისადმი გაცემუ-ლი დაპირება დაივიწყეს. უფრო მე-ტიც: როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის ანგარიშშიც (2008) არის დაფიქსირებული, „საკონსტიტუციო შეთანხმების საბოლოო ტექსტი, რო-მელიც საჯაროდ ცნობილი გახდა პარლამენტის მხრიდან მისი რატი-ფიკაციის შემდგომ, მნიშვნელოვნად განსხვავდება (significantly differs) იმ ვერსიისგან, რომელზეც თანხმობა გამოთქვეს რელიგიურმა უმცირესო-ბებმა“ [8].

უჩა ნანუაშვილის ამ უხერხულ „დაკითხვას“ ესწრებოდნენ საპარ-ლამენტო უმცირესობის ისეთი წე-ვრებიც, რომლებიც ლიბერალური ღირებულებებისადმი პატივისცემას ყოველთვის და ყველა გარემოებაში ამჟღავნებდნენ. ამიტომ, დანამდვი-ლებით შეიძლება ითქვას, რომ მათ ხათუნა გოგორიშვილისგან კარდი-ნალურად განსხვავებული პოზიცია აქვთ კონკორდატთან დაკავშირებით. მათი გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან მკითხველისთვის ადვილი მისახვედრია, ვინ შეიძლება იგულისხმებოდეს აქ.

სამწუხაროდ, მათ რატომღაც დუ-მილი ამჯობინეს ნანუაშვილზე თავ-დასხმის დროს: როგორც ჩანს, ნაც-მოძრაობაში პრინციპი „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ კვლავ სათაყვანო კერ-პის ფუნქციას ასრულებს, რომელიც პირადი მსოფლმხედველობისა და პო-ზიციის შეწირვას ითხოვს. 

შენიშვნები

[1] ვრცლად ამის შესახებ იხ. შემდეგი პუბლიკაცია: ლ. აბაშიძე. რელიგიური კა-ნონმდებლობის პერსპექტივები საქარ-თველოში // რელიგია, საზოგადოება და სახელმწიფო. სტატიათა კრებული. თბ., 2005 გვ. 96 (სტატია, მცირე ცვლილებით (შესავალი თავის გარეშე) ხელმეორედ გა-მოქვეყნდა ასევე ჟურნალში „სოლიდარო-ბა“ №9 (18) 2007).

[2] ლოუსონის პოზიცია დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ ჟურნალში „თავისუ-ფლება“ №3, 2002, გვ. 20-26.

[3] საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალიურ მართლ-მადიდებელ ეკლესიას შორის შეთანხმე-ბის ვარიანტის სამართლებრივი ანალი-ზი. მოამზადა გიორგი მელაძემ // http://www.liberty.ge/geo/menu_pages_full.php?article=yes&id=60&subTitleId=29&from=subTitles

[4] ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენ-ტის ანგარიში საქართველოში რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლების შესახებ // ჟურნ. „სოლიდარობა“ №7, 2006, გვ. 26

[5] საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენება. 2005 წლის პირველი ნახევარი, გვ. 77

[6] საქართველოს პარლამენტის თა-ვმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავა-რიანი. თბილისი, 2006 წლის 17 თებერვალი №2668-ს. // გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“ №12, 2006, გვ. 10

[7] ინტერვიუ საპატრიარქოს საპარლა-მენტო მდივანთან ბ-ნი გიორგი ანდრიაძეს-თან ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერ-ობის შესახებ // გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“ №23, 2001, გვ. 12

[8] State of Freedom of Religion in Georgia since the adoption of Constitutional Agreement between the Government and Orthodox Church of Georgia, Religious Freedom Report, Human Rights Centre, 4/25/2008, p. 5



სხალი
შოკოლადი
98.5 FM

☎ 2 985 985
✉ radio@shokoladi.ge
🌐 radio.shokoladi.ge



	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
07:50	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები		
08:00							
09:00							
10:00							
11:00						უიკენდი	ღვინის გზამკვლევი
12:00					უიკენდი	ტეჩუუ	ნიგნები
13:00	ღვინის გზამკვლევი	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	არტ ვაუსი	ცოცხალი ზონა
14:00						ცხოვრების საუნდტრაკი	უიკენდი
15:00							
16:00							
17:00							
18:00	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
19:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
20:00				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი	ცხელი შოკოლადის ისტორიები	
21:00						სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები
22:00							
23:00							
00:00							
01:00							
02:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
02:30	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
03:15				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი		

კვირის პროგრამა

● LIVE / ჩანაწერი ● განმეორება ● მუსიკა და ახალი ამბავი

თბილისის ფიცხვები

ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევების მიხედვით, თბილისის გამწვანება მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, არასაკმარისია. არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცის“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად კი, დედაქალაქის პარკების საერთო ფართობი ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა.

ეკა მაღალაძე

ქალაქის გენერალური გეგმის ბოლო მონაცემების მიხედვით, ერთ სულ მოსახლეზე გამწვანებული ადგილი 5,6 კვადრატული მეტრია. ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება როგორც 80-იანი წლების (13 მ²), ისე არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმას (11მ²).

2006 წელს საქართველოს პარლამენტმა თბილისის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები დაადგინა. გარემოსდამცველების შეფასებით, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული გამწვანების მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალი იქნება, თუ თბილისს ძველი საზღვრებით განვიხილავთ, რადგან რამდენიმე წლის წინ თბილისს შინდისი, ტაბახმელა, წავკისი და სხვა სოფლები შემოუერთდა. ახლად მიერთებული რაიონები კი სასოფლო-სამეურნეო, ტყით დაფარული, სარეკრეაციო და საცხოვრებელი სარტყლებისგან შედგებოდა.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) გარემოსდაცვითი პროგრამების კოორდინატორი რეზო გეთიაშვილი ამბობს, რომ დედაქალაქში გამწვანების პრობლე-

მა 2009 წლიდან კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან ამ წელს თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, 40-მდე გამწვანებულ ტერიტორიას სტატუსი შეეცვალა და ისინი სამშენებლო ან საქმიან-საზოგადოებრივ ზონებად გადაიქცა. რეკრეაციული ზონის სტატუსი ტერიტორიას კონკრეტული ტიპის მშენებლობების ან საქმიანობისგან იცავს.

თბილისის გამწვანების პრობლემებზე ყურადღება გარემოს დაცვის ახალმა მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ გაამახვილა. რამდენიმე დღის წინ მან თბილისის მერიას საგანგებოდ მიმართა. მინისტრის განცხადებით, ბოლო ათწლეულების მანძილზე მოუწესრიგებელი და დაგეგმვას მოკლებული მშენებლობების გამო დედაქალაქის გამწვანებული ტერიტორიები სამშენებლო ზონებად იქცა.

„სამწუხარო რეალობაა, რომ თბილისის ურბანული განვითარება ხშირად მწვანე ზონების ფართობის მნიშვნელოვნად შემცირების ხარჯზე ხდება. დაგეგმვის დროს სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს და ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად განიხილებოდეს ქალაქის გა-



ფართობი საზღვრების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, მათ შორის მწვანე ზონების შენარჩუნებისა და შექმნის საკითხი. ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ურბანული განვითარების დაგეგმარების პროცესის საჯაროობა კანონმდებლობის შესაბამისად და გადაწყვეტილების მიღება მოხდეს დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში“, – ვკითხულობთ მინისტრის განცხადებაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „უსაფრთხო სივრცე“ თბილისის პარკების მა-



ფოტო: ლეანა სარაჯიანი

რეგულირებელ ნორმატიულ აქტებსა და ტერიტორიების სამართლებრივ მდგომარეობას თითქმის ერთი წლის განმავლობაში იკვლევდა. ურბანისტიკმა და იურისტიკმა ოთხი სარეკრეაციო ზონის: ვერის ბაღის, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“, ვაკის პარკისა და დიღმის ტყე-პარკის მდგომარეობა შეისწავლეს. გამოიკვეთა, რომ თბილისის პარკების ტერიტორიები მნიშვნელოვნადაა შემცირებული, პარკები ნაკვეთებად არის დაყოფილი. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში კი ამ ნაკვეთების ნაწილი კერძო საკუთრებაში გადავიდა, ნაწილი კი თვითმმართველი

ერთეულის – ქალაქის მერიის მფლობელობაში დარჩა.

ვერის ბაღის მთლიანი ტერიტორიის ძირითადი დაუნაწევრებელი ნაწილიდან 2008 წელს 93 % იყო დარჩენილი, 2011 წელს კი – 72 %. ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ დაუნაწევრებელი ტერიტორიის ფართობი 2000-2007 წლებში მართალია შემცირდა, მაგრამ თავდაპირველი მოცულობის 90%-ს შეადგენდა, მაშინ, როცა 2011-2012 წლებში ეს მაჩვენებელი 7%-მდე შემცირდა. ვაკის პარკის დაუნაწევრებელი ტერიტორიის ფართობი კი 2002-დან 2012 წლებში 66%-მდე დაინია.

დიღმის ტყე-პარკის ტერიტორია მთლიანად დანაწევრდა და გაიყიდა, თუმცა, 2007-2012 წლებში სახელმწიფოს მთელი 205, 000 კვ/მ-ის 38,44% დაუბრუნდა.

„უსაფრთხო სივრცის“ კვლევაში დეტალურადაა აღწერილი როგორ ნაწევრდებოდა და სხვისდებოდა პარკების ტერიტორიები. იურისტი თემურ ანდლულაძე ამბობს, რომ პარკების ტერიტორიების გასხვისების პროცესში საეჭვო გარიგებების ნიშნები ჩანს, ნაკვეთები ხშირად რეალურზე ძვირად ან პირიქით ძალიან იაფად იყიდებოდა. შექენილი მიწები კი კერძო მესაკუთრეების ნაწილმა თბილი-

სის მერიას აჩუქა.

ანდლულაძე ამ პროცესებში კიდევ ერთ სამართლებრივ ხარვეზზე მიუთითებს. მისი თქმით, საქმეში ფიგურირებს ტერმინები „მინა გადაეცეს“, „დაუმავრდეს“. მისი განმარტებით, ამგვარ ტერმინებს საქართველოს არცერთი საკანონმდებლო აქტი არ იცნობს. „ამ ტერმინებით მანიპულირება მმართველობის ორგანოებს გზას უხსნის შეუზღუდავად მიიღონ ის გადაწყვეტილებები, რაც მათ აწყობთ. ამგვარად შედგენილი ადმინისტრაციული აქტები, სხვას რომ თავი დავანებოთ სახელმწიფოებრივი უკულტურობის მანიპულაციები,“ – ვკითხულობთ „უსაფრთხო სივრცის“ კვლევაში.

როგორც გარემოსდამცველმა ორგანიზაციამ გაარკვია, თბილისის არცერთ პარკს დადგენილი საზღვრები, ე.წ. ნითელი ხაზები არ აქვს. დედაქალაქის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი გიორგი ქორქაშვილი ამბობს, რომ არქიტექტურის სამსახურს სპეციალური რუკა აქვს, რომელზეც ყველა შენობა-ნაგებობის თუ პარკის, კერძო ტერიტორიების ფართობებია დატანილი.

ურბანისტი თენგიზ ანდლულაძე, რომელიც „უსაფრთხო სივრცის“ პროექტზე მუშაობდა, იხსენებს, რომ მათ მერიის ყველა სამსახურს და არქივს წერილობით მიმართეს, თუმცა პარკების დაზუსტებული საზღვრების შესახებ ინფორმაცია ვერ მიიღეს. არქივიდანაც და მერიის სამსახურებიდანაც მათ სწერდნენ, რომ ეს ინფორმაცია არ ჰქონდათ.

დედაქალაქის პარკებს უშუალო ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურა არ აქვს. პარკს არ ჰყავს დირექტორი, მმართველი, დარაჯი ან რიგითი თანამშრომელი, რომელიც კონკრეტულ პარკზე იქნებოდა პასუხისმგებელი. ყველა პარკის ზედამხედველობას გამწვანების საქალაქო სამსახური ახორციელებს. გიორგი ქორქაშვილი ამბობს, რომ ეს სისტემა 2011 წლიდან გაუქმდა, რადგან ამის აუცილებლობა არ არსებობდა: „ეს ზედმეტი რგოლი, ზედმეტი ხარჯი იყო და ამ ფუნქციების შესრულება საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა შეითავსეს“.

თბილისის გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობაზე მთლიანად ტენდერებით გამოვლენილი კომპანიები ზრუნავენ. „უსაფრთხო სივრცემ“ გასულ წელს ამ ტიპის სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგიც ჩაატარა. მაგ., 2011 წლის თებერვალში მერიასა და შპს „ფორესტ კონსალტინგს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა და განუვლი მუშაობის შესახებ ანგარიში უნდა უძღოდეს წინ. თუმცა, სასამართლოშიც მერიამ მიღება-ჩაბარების აქტები წარმოადგინა და განაცხადა, რომ სხვა დოკუმენტაცია არ არსებობდა. „ფორესტ კონსალტინგს“ მერიამ განუვლი მომსახურებისთვის 40 000 ლარი გადაუხადა. გიორგი ქორქაშვილი ამბობს, რომ მიღება-ჩაბარების აქტში ყველაფერი ზუსტადაა განვირული და კონკრეტული ანგარიშებიც მასშია ასახული.

„აქტებში ყველგან მითითებულია, რომ მეორემ შეასრულა, ხოლო პირველმა ჩაიბარა ქ. თბილისისა და მისი შემოგარენის მწვანე საფარის ფიტოსანიტარიული გამოკვლევის, მავნებელ დაავადებათა შესწავლა-გამოვლინებისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის კომპლექსური ღონისძიებების დაგეგმვის სამუშაოები“. ჩვენ გვაქვს უფლება ვიცოდეთ, კონკრეტულად სად და როდის ჩატარდა ეს კვლევები, მითითებული „თბილისის შემოგარენი“ ინფორმაციულად ძალიან ზოგადი და არაფრისმთქმელია, – მიიჩნევს ანა გაბრიაძე.

გამწვანების სამსახურის უფროსი გაბრიაძის პასუხად ამბობს, რომ მიღება-ჩაბარების აქტებში ყველაფერი ზუსტად არის ხოლმე ასახული. მას ორივე მხარე აწერს ხელს. შესრულების მონიტორინგზე კი სამსახურის კონკრეტული თანამშრომლები არიან პასუხისმგებელნი.

გარემოსდამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ სატენდერო მოთხოვნები ზოგჯერ აბსურდულიც კი ჩანს. მაგალითად კი 2011 წლის დეკემბრის ბოლოს შპს „გამწვანება 94“-თან კიკვიძის ბალის მოვლა-პატრონობაზე გაფორმებული 151 988 ლარად შეფასებული ხელშეკრულების პირობები მოჰყავთ. ხელშეკრულებაში არაა განსაზღვრული პარკის სრული ფართობი,

არაა განმარტებული ტერმინი „მოვლა-პატრონობა“. კომპანია კისრულობს წელიწადში ყვავილების 292-ჯერ მორწყვას.

„გაუგებარია, რა ნორმის საფუძველზე და რომელი ყვავილები მოირწყოს იანვარში რვაჯერ, თებერვალში – შვიდჯერ და ა.შ. პროფესიული აგრონომიული გამოცდილების გარეშეც გვიჩნდება კითხვა: ბაღში იანვარ-თებერვალში რა ბალახი გაითბა ან დეკემბერში რას გაითბავს შემსრულებელი კომპანია? მთელი წლის განმავლობაში მან სულ 38-ჯერ გათბვის ვალდებულება აიღო და ეს სამუშაო 7.296 ლარად შეაფასა. ბალის 7000 კვ.მ ტერიტორიაზე ბალახის საფარის გაფოცება-დასუფთავება, ბორდიურების გასწვრივ სარეველებისაგან და თვითა-მონაყარი მცენარეებისაგან გასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა კი წელიწადში 366-ჯერ ანუ ყოველდღიურად უნდა ხდებოდეს და ეს სამუშაო სულ 1281 ლარადაა შეფასებული“.

გაბრიაძე ამ ყველაფერს აგროტექნიკური სტანდარტების განმსაზღვრელი ნორმატიული აქტების არარსებობით ხსნის და ეჭვობს, რომ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები ან საერთოდ არ შესრულებულა ან ცუდად შესრულდა. მისი თქმით, პრობლემა კონკრეტული ნორმატიული აქტების არარსებობაა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავდა მწვანე ზონების მოვლა-პატრონობასა და ზრუნვის მექანიზმების, აგრონომების არარსებობის პირობებში, გაუგებარია, რის საფუძველზე წყვეტს გამწვანების სამსახური როდის და რამდენჯერ მორწყას, გადაბელოს, შეათეთროს მწვანე ნარგავები, – ამბობს გაბრიაძე.

გიორგი ქორქაშვილი კი განმარტავს, რომ ნარგავების შექმენისგან გამყიდველი კომპანია მათ მოვლასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს გასცემს, თუ მოვლის შემთხვევაში ნარგავები მაინც დაზიანდა, კომპანია პასუხს აგებს. ამ რეკომენდაციების შესრულება კი უკვე მოვლაზე პასუხისმგებელ კომპანიას ევალება.

ქორქაშვილი ამტკიცებს, რომ სპეციალისტთა რეკომენდაციები საკმარისია და ეს სისტემა უფრო მოქნილია, რადგან კლიმატური პირობების ან კონკრეტული



ფოტოსტატუსი: ვერის ბაღი

ვერის ბაღი, დეკემბერი 2012

ცვლილებების მიხედვით, შესაძლებელი ხდება ლონისციების რაოდენობის ან ინტენსივობის კორექცია.

გასულ წელს „გარემო და უსაფრთხოების“ მხარდაჭერით თბილისის გარემოს შესახებ ანგარიში „Global Environmental Outlook – ქალაქები“ მომზადდა, ანგარიშში ხაზგასმული იყო, რომ ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობასთან შედარებით, პარკების, ეროვნული ბაღებისა და გამწვანების საერთო ფართობი „ძალზე მცირეა“. თბილისის ეკოსისტემა საკმაოდ მწირია, მცენარეული საფარი ძირითადად გარეუბნებშია. ქალაქის ყველაზე დიდი – მთანმინდის, ლისის ტბისა და თბილისის ზღვის პარკები – საცხოვრებელი უბნებიდან საკმაოდ შორსაა და ყოველდღიურად რთულად მისაწვდომია მოსახლეობისთვის.

დედაქალაქის მოსახლეობის ნაწილი მწვანე ნარგავების ჭრას პერიოდულად აპროტესტებდა. კიკვიძის ბაღში პოლი-

როგორც გარემოსდამცველმა ორგანიზაციამ გაარკვია, თბილისის არცერთ პარკს დადგენილი საზღვრები, ე. წ. წითელი ხაზები არ აქვს.

ციის შენობის მშენებლობა ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა. ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ნიკა მუჟვანაძის მტკიცებით, პარკს რეკრეაციული ზონის სტატუსი აქვს და მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის ტერიტორია კერძო საკუთრებაა, იქ მსგავსი ქმედება დასაშვები არაა. საქმე კვლავ განხილვის ეტაპზეა.

„მწვანე ალტერნატივას“ ხელმძღვანელი მანანა ქოჩლაძე მწვანე ნარგავების რაოდენობის შენარჩუნება-გაზრდას ქალაქის მოსახლეობისთვის სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნევს.

„გარემოს ეროვნული სააგენტოს მო-

ნაცემებითაც, თბილისის ჰაერი ძალიანა დაბინძურებული. ჯანდაცვის ეროვნული სტატისტიკაც საგანგაშოა. გაზრდილია სასუნთქი გზების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რაოდენობა. ის ხეები, რომლებიც ბოლო პერიოდში აქტიურად იჭრება: ჭადარი, ნეკერჩხალი, ცაცხვი ქალაქისთვის შემთხვევით არაა შერჩეული. ისინი დიდი ოდენობით შთანთქავენ მძიმე მეტალებს, გამოწვავს და მათ ნივთიერებებს. ამდენად, ურბანული დასახლებებისთვის და დიდი ქალაქებისთვის ოპტიმალური სახეობებია. მათ ფუნქციას ახალდარგული დეკორატიული ხეები ვერ შეასრულებს“, – აცხადებს ქოჩლაძე.



ფოტორეპორტაჟი

ნისლი სოფელ რიშკაში

არწილ ქიქოძე



ფოტორეპორტაჟი

როშკაში, ხევსურეთში, ნოემბრის ერთ საღამოსაც დაბლიდან ნისლი შემოვიდა და დილით გაღვიძებულს დამხვდა ის, რასაც ფოტოებზე ხედავთ. უკვე ვიცოდი, როგორც უნდა გადამეღო, ნისლი, თრთვილი და აქა-იქ ნისლში გამკრთალი ადამიანები, რომლებიც რამდენიმე დღეში ჩემსავით გზას უნდა დადგომოდნენ. ბარში უნდა ჩასულიყვნენ – ზოგიერთი სამუდამოდ.

– არა მგონია, ყუნჭა და იმისი და გაიხად აქ ამობრუნდნენ, – მითხრა შოთამ


– ჩემმა მეგობარმა და მასპინძელმა. სადღაც ნორიოსკენ სახლივით რაღაცა აქვთ ნაყიდი და იქ იცხოვრებენ, ალბათ...

ნინა ღამეს ერთად ვსვამდით, მინდია, შოთა, ყუნჭა... რაზე არ ვილაპარაკეთ. ყველა და ყველაფერი თავის ადგილზე იყო თითქოს – მათ შორის, მეც. ისინი სახლში იყვნენ და ისეთები იყვნენ, როგორც ხევსური მხოლოდ ხევსურეთშია და სხვაგან – არსად. მე მხოლოდ იმით ვიყავი კარგად, რომ მათ გვერდით ადგი-

ლი მქონდა. მთის ამბებს ვუსმენდი, ბარში რომ ვერასოდეს მოისმენ კაცი – ისეთს.

როშკაში ზამთარში სულ ორი ოჯახი რჩება, სამიც – გუდანში, უფრო მჭიდროდ დასახლებულ ბარისახოს და კორშას თუ არ ჩავთვლით, სულ ეგ არის პირაქეთა ხევსურეთში მოზამთრე მოსახლეობა. პირიქით ხევსურეთზე და იქაურ უსაშველო სიცარიელეზე ლაპარაკაც არ მინდა. მე არ ვიცი და ვერც წარმომიდგენია, რა უნდა ეშველოს ამ პროცესს, რომლის მაცქერალიც ღამის



მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება ვარ...
ოჯახს ჩვენში კომლსაც ეძახიან, ხე-
ესურები კი უბრალოდ – კვამლს. ზა-
მთარში სახურავიდან ამოსული კვამლი
– ოჯახია. ცარიელი სოფლები და გა-
მოკეტილი სახლები კი საზარელი რამაა.
წელს ბოლოჯერ ვიყავი ხევსურეთში
ამ ბოლო წასვლიდან ეს სურათები და-
მრჩა – ნისლი და თრთვილი თითქმის
ცარიელ სოფელში და ნისლში მოჩვენე-
ბებივით გამკრთალი და მერე გამქრალი
ადამიანები. ზოგი – სამუდამოდ. 







ყოველთვის ახსოვსაქ

ახალი წესებით Google-მა თვალთვალის, ინფორმაციის შეგროვების და მისი რეკლამის მიზნებისთვის გამოყენების უფლება თავს ოფიციალურად მისცა.

ნინო ნატროშვილი

„გახსოვთ, რაზე ფიქრობდით ერთი წლის წინ, ორი დღის წინ, სამი თვის წინ? არ გახსოვთ... აი, Google-ს კი ახსოვს“, – ეს ჯულიან ასანჟის ციტატაა მისი ახლახან გამოცემული წიგნიდან „Cypherpunks: freedom and the future of the internet“. მასში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილი ინტერნეტ-კომპანიების მუშაობას და მათ მიერ მომხმარებლების პირადი ინფორმაციის გამოყენებას ეხება. „თუ თქვენ აქტიურად სარგებლობთ Google-ით, მაშინ მან თქვენზე ყველაფერი იცის: ვისთან კონტაქტობთ, ვის იცნობთ, რას ეძებთ, როგორია თქვენი სექსუალური ორიენტაცია, რელიგიური შეხედულებები, მან თქვენს შესახებ უფრო მეტი იცის, ვიდრე თავად თქვენ“, – აღნიშნავს ასანჟი.

Wikileaks-ის შემქმნელი აცხადებს, რომ ადამიანები ცდებიან, როცა ინტერნეტს აღიქვამენ იდეების სივრცედ, სადაც შესაძლებელია საკუთარი აზრების გამოთქმა, მიმონერის წარმოება, წიგნების გამოქვეყნება და ჰგონიათ, რომ ყველაფერი არსებობს სადაც

„იქ“. სინამდვილეში კი ინფორმაცია მთლიანად ინახება ინტერნეტ-სერვერებზე, რომლებიც ნიუ-იორკში, ნაირობიში ან პეკინში არსებობს. ჩვენამდე კი ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელებით ან თანამგზავრული კავშირით მოდის. „ამიტომ ჩვენი აზრები და მიმონერა იმ ადამიანების ხელში იმყოფება, რომლებიც სერვერებს აკონტროლებენ“, – აღნიშნავს ის.

Wikileaks-ის შემქმნელი იმასაც ამბობს, რომ მარკ ცუკერბერგის სოციალური ქსელი ისეთი ინფორმაციული რესურსია, რომელზეც ნებისმიერი ქვეყნის დაზვერვის სამსახური იოცნებებდა, რომ ინტერნეტ-გიგანტები Facebook-ი და Google დროთა განმავლობაში სპეცსამსახურების დახმარე მექანიზმებად ჩამოყალიბდნენ, ჩვეულებრივი მომხმარებლები კი Google-ს თავადვე აცნობენ საკუთარ ინტერესებს. მაგალითად, მაშინ, როცა საძიებო მოთხოვნებს აგზავნიან, ან როცა ელექტრონულ წერილებს წერენ. საბოლოოდ კი ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებენ, იწერება და ინახება.

ასანჟის განცხადება პირველი შემთხვევა არ არის. სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის ბრალდების გარეშეც, Google-ს ურთიერთობა მომხმარებლების პირად მონაცემებთან განსჯის საგანი არაერთხელ გამხდარა. კომპანიის კონფიდენციალობის ახალ პოლიტიკას კი, რომელიც ძალაში მარტში შევიდა, კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა. ევროკავშირის ქვეყნებმა ინტერნეტ-გიგანტს ოფიციალური განცხადებით მიმართეს, ახალ წესებში ცვლილებების შეტანისკენ მოუწოდეს და განაცხადეს, რომ ის ევროპის მოქალაქეების პერსონალური მონაცემების დაცულობას საფრთხის ქვეშ აყენებს. უფრო ადრე კომპანია საფრანგეთის მონაცემთა დაცვის უწყებამ CNIL-მა გააკრიტიკა და ახლა სწორედ ეს უწყება კურირებს ევროკავშირის ქვეყნების ინტერნეტ-გიგანტის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას.

კონფიდენციალობის პოლიტიკის მთელი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ინტერნეტ-გიგანტი ერთი და იგივე მომხმარებლის ინფორმაციას,

რომელიც სხვადასხვა სერვისში მათი გამოყენების შემდეგ რჩება, აერთიანებს, იმასხვორებს და მას რეკლამის ჩვენებისთვის იყენებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, Google საკუთარ თავს უფლებას აძლევს, დაიმასხვოროს, რას ეძებდით მის საძიებო სისტემაში, რას წერდით ელექტრონულ წერილში, რომელ ვიდეოებს ნახულობდით youtube-ზე, რათა შემდეგ ყველა სერვისში ის რეკლამა გაჩვენოთ, რაც შეიძლება გაინტერესებდეთ. პოლიტიკის ცვლილებაში Google ყველა სერვისს გულისხმობდა, მათ შორის Gmail-ს, YouTube-ს, Google Maps-ს, Google+-სა და სხვებს. აქამდე ყველა მათგანს კონფიდენციალობის საკუთარი წესები ჰქონდა. გაერთიანების შემდეგ კი ისინი კომპანიას თითოეულ მომხმარებელზე დეტალური პორტრეტის შედგენის საშუალებას უფრო მარტივად მისცემენ, რადგან ყველა მათგანს დაიმასხვორებენ. რაც მთავარია, მომხმარებლებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ ამ ცვლილებებზე უარის თქმა. იურისტები და უფლებადამცველი ორგანიზაციები ამბობენ, რომ ყველა შეიძლება არ იყოს პერსონალური მონაცემების მონეტიზაციის მომხრე. სწორედ არჩევნის არარსებობას თვლიან კანონის დარღვევად ევროკავშირის მარეგულირებლებიც.

„პერსონალური მონაცემების ამ მასშტაბით გაერთიანება მომხმარებლების უსაფრთხოებისთვის მაღალ რისკს ქმნის, ამიტომ კომპანიამ მონაცემების შეგროვების პრაქტიკა უნდა შეცვალოს“, – აღნიშნავენ ისინი. ამას გარდა, ინტერნეტ-გიგანტს მოუწოდებენ, აცნობოს მომხმარებლებს კონკრეტულად როგორ იქნება მათი მონაცემები გამოყენებული და სთხოვოს ნებართვა მათ დამუშავებაზე.

აღსანიშნავია, რომ Google იგვევს აქამდეც აკეთებდა. მისი ყველა სერვისი ინფორმაციის დიდ საცავს წარმოადგენდა და კომპანიაც ძიების ნებისმიერ შედეგს თუ ელექტრონულ წერილს აინდექსირებდა და შედეგებს კონტექსტურ რეკლამაზე ასახავდა. ახალი პოლიტიკის წარდგენამდე კი მან საძიებო

შედეგებში სოციალურ ქსელ Google+-ის შედეგების ჩვენებაც დაიწყო, რაც პრაქტიკულად მომხმარებლების მონაცემების ინტეგრაციის წინაპირობას წარმოადგენდა. ამ ახალი წესებით კი მან უბრალოდ თვალთვალის, ინფორმაციის შეგროვების და მისი რეკლამის მიზნებისთვის გამოყენების უფლება თავს ოფიციალურად მისცა.

თუმცა ევროკავშირის საპასუხოდ Google აცხადებს, რომ ახალი რედა-

Google საკუთარ თავს უფლებას აძლევს, დაიმასხვოროს, რას ეძებდით მის საძიებო სისტემაში, რას წერდით ელექტრონულ წერილში, რომელ ვიდეოებს ნახულობდით youtube-ზე, რათა შემდეგ ყველა სერვისში ის რეკლამა გაჩვენოთ, რაც შეიძლება გაინტერესებდეთ.

ქცია კანონმდებლობას არ არღვევს. უფრო მეტიც, განმარტავს, რომ წესების შეცვლა მომხმარებლების ინტერესების გათვალისწინებით მოხდა და ეს ცვლილება საძიებო შედეგების სიზუსტის გაუმჯობესებასა და სერვისების ფუნქციონალის გამდიდრებას გამოიწვევს, რომ ეს მექანიზმი ყველასთვის მოსახერხებელია: კომპანიაც და მომხმარებლებიც უფრო რელევანტურ ინფორმაციას მიიღებენ.

როგორც ჩანს, თუკი ინტერნეტ-გიგანტი ევროპელი მარეგულირებლების მოთხოვნას შესაბამისად, პირადი მონაცემების მონეტიზირების შესაძლებლობას და სოლიდურ შემოსავალს დაკარგავს. კომპანიის ხელმძღვანელმა ლარი ფეიჯმა თანამშრომლებს ალბათ ამიტომ განუცხადა, რომ ყველას, ვისაც

არ მოსწონს ინტერნეტ-გიგანტის სწრაფვა სერვისების გაერთიანების შესახებ, შეუძლია სხვაგან იმუშაოს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ყურადღებას ევროპელი მარეგულირებლები ამახვილებენ, წესების სირთულეა. CNIL-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ ინტერნეტ-გიგანტმა მიზანმიმართულად გაართულა ნორმები, რომლებიც კონფიდენციალობის პოლიტიკას განმარტავდა, თან იმდენად, რომ მასში გარკვევა სპეციალიზირებულ პროფესიონალებსაც გაუჭირდებოდა. ინტერნეტ-კომპანიებმა არ უნდა შექმნან ძალიან რთული, გრძელი და იურიდიული ტერმინოლოგიით გაჯერებული წესები, – აღნიშნავენ ისინი.

Google-ს ამაზეც საკუთარი პასუხი აქვს: ახალი პოლიტიკა სწორედ იმიტომ შეიქმნა, რომ გასაგები და მარტივი ყოფილიყო, რომ ის ნიშნავს კომპანიის სერვისებთან უფრო მარტივ და ინტუიციურ ურთიერთობას: „მიუხედავად იმისა, რომელ კონკრეტულ სერვისთან მუშაობთ, თქვენ უნდა გქონდეთ საშუალება, მომენტალურად ისარგებლოთ ნებისმიერი სხვა პროდუქტით პირდაპირ მიმდინარე ფანჯრიდან“, – აღნიშნავენ Google-ს წარმომადგენლები.

ჯერჯერობით ინტერნეტ-გიგანტი ევროპის მოთხოვნებს უბრალოდ აიგნორებს. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ის კომპრომისზე წავიდა, სამხრეთ კორეა იყო. ქვეყნის კომუნიკაციების კომისიამ კომპანია დაავალდებულა, დეტალურად აეხსნა მომხმარებლებისთვის რისთვის და როგორ იყენებდა მათ პირად მონაცემებს. ინტერნეტ-გიგანტმა ახალი პოლიტიკისა და მისი ნიუანსების შესახებ დეტალური ახსნა-განმარტება გააკეთა, თუმცა ეს დათმობა მხოლოდ სამხრეთ კორეელ მომხმარებლებს შეეხო.

ჯულიან ასანუმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში თქვა, რომ ახლა ჩვენ იმ ეტაპზე ვართ, როცა ადამიანებს უნდა აუუხსნათ, სინამდვილეში რა ხდება. და რადგან Google-ს პოლიტიკა, ევროპელი მარეგულირებლების პროტესტის მიუხედავად, მაინც მოქმედებს, ყოველთვის არის ვილაც, ვისაც ახსოვხართ. **Q**

მოვიძიე და მოვიძლიე



კაბა თოლორდავა
ჟურნალისტი

სომელიეები ღვინის პროფესიონალები არიან, ადამიანები, ვინც რესტორნებში ღვინის მოყვარულებს და „ჩაინიკებს“ ურჩევენ, თუ რომელი ღვინო შეარჩიონ და რომელ კერძს რომელი ღვინო შეიძლება რომ მოუხდეს. იმავეს გვირჩევენ ღვინის მწარმოებელი კომპანიებიც, – „მიირთვით მწვადთან და სხვადასხვა ხორცეულთან“ ან, „კლასიკური თანმხლები ამ ღვინისთვის გრილზე შემწვარი ფილე ან ჩანახი იქნებოდა“, – ასეთ წარწერებს ღვინის კონტრეტიკეტებზე ან ღვინის კომპანიების ინტერნეტ საიტებზე ნებისმიერი ბრენდის დახასიათებისას ხშირად შეხვდებით. რა თქმა უნდა, ეს რჩევები შეიძლება უგულებელყოთ და სომელიეს ჯიბრზე კარგ, ტანინით გაძეძგილ კახურ ღვინოს ჰალვა მიაყოლოთ, თუმცა, არა მგონია ამ შემთხვევაში განსაკუთრებულად ისიამოვნოთ ან ღვინით ან ჰალვით. მეორე მხრივ, თუ პირის გემო გაქვთ და ღვინოშიც სულ ცოტას ერკვევით, ექსპერიმენტმა შეიძლება მოულოდნელად გაამართლოს, რადგანაც საკვების და ღვინის თქვენებურმა აღქმამ შეიძლება გემოების და არომატების კომბინაციის ჯერ კიდევ გაუკვალავ ტერიტორიაზე შეგაგდოთ. მოკლედ, როგორც ჩვენი დიდი მეზობლები (ამდენი ხანი რომ ვერ შევთანხმდით, მტრები არიან თუ მოყვარეები) იტყვიან, – *Дерзайте, ребята!*

სწორედ ღვინოზე და დიდ მეზობლებზე ფიქრისას მომივიდა თავში ის, რომ დიდი ისიამოვნებით მივითვისებდი ქალაქ თბილისის სომელიეს ტიტულს, ოღონდ არა ღვინოსთან და კერძებთან, არამედ თბილისის ქუჩებსა და მუსიკასთან მიმართებ-


ბაში. აუდიო-სომელიე, ასეთი იქნებოდა ჩემი ტიტული! თუ გაუგებრად ვამბობ, მაშინ კიდევ უფრო დავაკონკრეტებ, – ქალაქში ხეტიალის ჩემი მრავლწლიანი გამოცდილება საშუალებას მაძლევს, სრული უტიფრობით განვაცხადო, რომ ქ. თბილისის უკეთ აღსაქმელად შემიძლია, გარკვეულ საფასურად, ვურჩიო ჩამოსულებს ან ადგილობრივებს, თუ თბილისის რომელ უბანს ან ქუჩას როგორი ან რომელი მუსიკა უხდება. უფრო მეტიც, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ სწორედ შერჩეული მუსიკა თბილისის ამა თუ იმ ქუჩას ან უბანს დაუფინყარს ხდის! „ხუმრობ?“ – მკითხავთ. გიპასუხებთ, – სრულიადაც არა და სასწრაფოდაც აგიხსნით თუ რატომაც არა.

აი, მისმინეთ: ქალაქში მრავალწლიანი, უმიზნო თუ მიზანდასახული ხეტიალისას ერთ რამეს მივხვდი, – თბილისს (ნიუ-იორკს, ამსტერდამს, ვენას, ლონდონს და ა. შ.) არავითარი მუსიკა არ ესაჭიროება, მის ქუჩებში, უბრალოდ, უნდა ისეირნო, ყურადღებით იყო და ზოგჯერ, ადამიანების, ფრინველების, ავტომობილების, ნიავის, ფოთლების შრიალის, ძაღლების ყეფის, ნაბიჯების კაკუნის, ყურმოკრული საუბრების და კიდევ უამრავი სხვა საუნდის მეშვეობით თბილისის ქუჩები თავად მოგასმენინებენ ძალიან დახვეწილ, მხოლოდ ამ ქალაქისათვის დამახასიათებელ, მხოლოდ ამ ქალაქში აუღერებულ მუსიკას. ყველა ქალაქს თავისი ს ა უ ნ დ ი აქვს, ყველა ქალაქი თავისებურად გუგუნებს.

ყველაფერი ეს ძალიან კარგი, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კარგ ხასიათზე ხარ, დროც გაქვს და გინდა ქალაქში გახვიდე, ყურში სასმენები გაიჭო, უბრალოდ, ისეირნო და კარგ მუსიკას უსმინო (ყველაფერი ეს არ ვრცელდება ზოგადად დეპრესიულ ადამიანებზე, მათზე, ვისაც ხელფასი დაუგვიანეს, ვისაც კბილი სტკივა, მუსიკა არ უყვარს, ქალაქი არ უყვარს, არ სეირნობს, მხოლოდ პარლამენტის სხდომებს

უყურებს, დაბარებულია დაკითხვაზე, უპირებენ დაპატიმრებას და ა. შ.) აი, სწორედ ასეთ დროსაა გამოსადეგი გამოცდილი ადამიანი, რომელიც ჯერ გამოცდის, თუ ქალაქის რომელ უბანში შეიძლება რომ შეეხეტოთ, მერე კი ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით გირჩევთ. თუ რომელ და როგორ მუსიკას მოუსმინოთ. „გვეშეაყირები?“ – მკითხავთ. გიპასუხებთ, – რა თქმა უნდა, მაგრამ რაც შეეხება ქალაქის უბნებს და სწორედ შერჩეულ მუსიკას, სრულიადაც არა. ამ შემთხვევაშიც სასწრაფოდ აგიხსნით, თუ რატომაც არა.

მუსიკალური ინსტრუმენტები, მსოფლიოს რომელ კუთხეშიც არ უნდა იყვნენ შექმნილი, აკუსტიკური თუ ელექტრო, ერთმანეთთან თუ ადამიანების ხმებთან კომბინაციაში, ისევე როგორც სხვადასხვა მუსიკალური ჟანრი თუ სტილი, როგორც წესი, განსხვავებულ მოსასმენ გარემოს თუ სივრცეს ითხოვს. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ორღანის ან საბავშვო გუნდის მოსმენა ეკლესიაში სჯობს, თუმცა აქვე, როგორც გაირკვა, აქვე საკმაოდ კარგად ისმინება მძიმე მედიტაციური მეტალიც; ან, ვთქვათ, შაკუჰაჩის, იაპონურ ბამბუკის ფლეიტას, ღია ცის ქვეშ საკონცერტო დარბაზში ისე ვერ მოუსმენ, როგორც უფრო კამერულ გარემოში. მუსიკის თანმხლებ სივრცეზე და მათი კომბინაციების რაოდენობაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს; უბრალოდ წარმოიდგინეთ, რამდენი სწორი თუ არასწორი კომბინაცია შეიძლება არსებობდეს ქალაქში ხეტიალისას. ხშირად, როგორც დავაკვირდი, სივრცობრივი ან აკუსტიკური ნორმების დარღვევამ შეიძლება საკმაოდ ნეგატიური აკუსტიკური გარემო შეგიქმნათ. ყველაფერ ამას ემატება ჩვენი უნარიც ვიზუალურად აღვიქვათ მუსიკა, რაც ნიშნავს იმას, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ვიზუალური მოცემულობა უკვე არსებობს (ანუ, ვთქვათ, ქალაქის ესა თუ ის



www.facebook.com/TalkShowLiberali

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც ნესი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება; იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი, ქსენოფობიის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში, უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების შელახვა და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: ყოველი სამუშაო დღე - 19:00

განმეორებით: ყოველი სამუშაო დღე - 02:00



სხაი
შოკიანი
98.5 FM

ტოკ-შოუ "ლიბერალის" ავტორები და წამყვანები:



შორენა შავერდაშვილი



ნინო ბექიშვილი



ლიკა ზაკაძე



ნინია კაკაბაძე




თინა ყიფშიძე

ქუჩა, სადაც ჩვენ ვსეირნობთ იმ დროს, როდესაც მუსიკას ვისმენთ), მაშინ არასწორად შერჩეულმა მუსიკალურმა ნაწარმოებმა შეიძლება ან ესა თუ ის მუსიკალური ნაწარმოები/ინსტრუმენტი/ჯგუფი შეგვაძლოს, ან ქალაქის რომელიმე უბანი, ანკი სულაც იდიოტურ სიტუაციაში ჩაგაყენოთ (მაგალითად, თუ საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციასთან სიახლოვეს სეირნობ და „ბილზების“ You Never Give Me Your Money-ს უსმენ). ყველაფერი ეს მიუნიშნებს იმაზე, რომ თუ ქალაქში ხეტიალს მუსიკის თანხლებით აპირებ, ერთიც კარგად უნდა იცოდეს და მეორეც იმისთვის, რომ სწორად შეარჩიო მარშრუტი და მუსიკა მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად.

დარწმუნებული ხართ, რომ კარგად გაქვთ შესწავლილი საკუთარი ქალაქი ამ მხრივ? დარწმუნებული ხართ, რომ არ გჭირდებათ უფრო კარგად გაერკვეთ ურბანულ-აკუსტიკურ ფენ-შიში? დარწმუნებული ხართ, რომ არ გესაჭიროებათ პირველი ქართველი აუდიო-სომელიეს, ანუ ჩემი დახმარება?

კიდევ უფრო რომ გავაღრმავო თქვენი ცნობისმოყვარეობა, გეტყვით იმას, რომ თბილისს ძალიან არ უხდება გასული საუკუნის 80-90-იანი წლების როკი, პანკ-როკი, რუსული პოპი, თავისუფალი ჯაზი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ქართული სიმღერების უმრავლესობა თბილისზე. მეორე მხრივ, აღმოჩნდა, რომ თბილისის ქუჩები ადვილად იტანენ ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა ვიბროფონი, აკორდეონი/ბანდელეონი, კორა (აფრიკული 21-სიმიანი ინსტრუმენტი), ბას-კლარნეტი ან, თუ მუსიკოსებს მივხედავთ, ამერიკელი მინიმალისტები, ჩრდილო-აფრიკული ტრანსული მუსიკა, სხვადასხვა ჯურის სინგერ-სონგრაითერები და ჟაკ ბრელი. თბილისის ყველა ქუჩა ერთნაირად კარგად ვერ იტანს ინდურ ტრადიციულ ინსტრუმენტებს, ისევე როგორც თანამედროვე ელექტრონულ მუსიკას ან

ჰიპ-ჰოპს, მაგრამ სწორი მარშრუტების შერჩევას ყველა ეს ინსტრუმენტი თუ აკუსტიკური მოვლენა მაქსიმალურად ეფექტურად აჟღერდება ხოლმე. თბილისი ძალიან კარგად იტანს გასული საუკუნის სამოციანი წლების მესამე ეშელონის ჯგუფებს, ანუ იმ ჯგუფებს, რომლებიც დღეს ლამის მივიწყებულნი არიან, მაგრამ ისევე როგორც ინდური ტრადიციული ინსტრუმენტების შემთხვევაში, საჭიროა განსაკუთრებული მარშრუტის შერჩევა, თუ სეირნობისას ამავე პერიოდის ცნობილ ჯგუფებს გინდა უსმინო. დიდი მნიშვნელობა



■ თუ ქალაქში ხეტიალს მუსიკის თანხლებით აპირებ, ერთიც კარგად უნდა იცოდეს და მეორეც იმისთვის, რომ სწორად შეარჩიო მარშრუტი და მუსიკა მაქსიმალური სიამოვნების მისაღებად.

აქვს რამდენად ხმაურიან თუ შედარებით წყნარ ქუჩებში სეირნობ, რადგანაც შენ გარშემო დატრიალებული ქალაქი და ადამიანების ფუსფუსი სერიოზულად განაპირობებენ იმას, თუ როგორ ალიქვამ მუსიკის მეშვეობით მათაც და მუსიკასაც. მაგალითად, სრულიად წარმოუდგენელია მეტრო „ვარკეთილის“ მიდამოში ორლანდო დი ლასოს მოტეტების ან მადრიგალების სმენა, რადგანაც რამდენადაც ხმაბალა არ უნდა უსმენდე ჩანაწერს, შენი სმენის არეში მაინც შემოვარდება ალა პუგაჩოვას რომელიმე სიმღერის ფრაგმენტი, რაც, როგორც წესი, თუ პირადად ჩემზე ვილაპარაკებთ, სერიოზულად მიუფუჭებს ხოლმე ხასიათს. აეროპორტის გზატკეცილს (განსაკუთრებით ფეხით თუ მიუყვები) ძალიან უხდება ბრაზილიელი „ტროპიკალისტები“, მაგრამ სრულიად აუტანელია პოლირითებით გადატვირთული იმპროვიზირებული მუსიკა. ვარიანტები, როგორც გითხარით, უამრავია (პლუს, თბილისის ყველა ქუჩა ვერ იტანს მუსიკას. ნებისმიერს!) და თქვენ წარმოიდგინეთ მათი უმრავლესობა ნაცადი მაქვს...

წურვ იოცნებებთ, რომ საკუთარი უნარებით დაბრმავებული, იაფფასიანი პოპულარობის მოხვეჭის სურვილით შეპყრობილი, მე, პირველი ქართველი აუდიო-სომელიე აქვე ჩამოგიწერთ სიებს თუ რომელ შემსრულებელს, ბენდს თუ მუსიკას უნდა უსმინოთ ამა თუ იმ უბანში თუ ქუჩაზე. მე პროფესიონალი აუდიო-სომელიე ვარ და პროფესიონალები უსასყიდლოდ არავის არაფერს ურჩევენ. ჯერ ფული, მერე მუსიკა ან, როგორც აზნაუკი იტყოდა „მე ვიღებ!“ „ისევ გველადავები?“ – იკითხავთ. გიპასუხებთ, – რა თქმა უნდა, მაგრამ ყველაფერ დანარჩენზე სრული სერიოზულობით ვსაუბრობ. ასე რომ, თუ აუდიო-სომელიესთვის გადასახდელი თანხები არ გაგაჩნიათ, – Дерзайте, ребята! – საკუთარი რისკის ხარჯზე, რა თქმა უნდა. 📌



www.ucnobifm.ge



ახალი დინამიკი

www.tv9.ge